საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№36 (554)
7 - 13 ოქტომბერი, 2020
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## რომის პაპი: კაპიტალიზმის «ჯადოსნურმა თეორიებმა» კრახი განიცადა და მსოფლიოს სჭირდება ახალი ტიპის პოლიტიკა

24

# გვეშველება რამე?

6-7



# რატომ უნდა გვეშველოს?



ვაჟა ოთარაშვილი:

## განათლების სამინისტრო იქცა ფულის საკეთებელ სკად, რომლიდანაც ყველანაირი ჯურის კრაზანას გამოაქვს თაფლი

4

9

ალექსანდრე ჭაჭია:

## თუ ჩვენ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ «ღირებულებებს», დავიღუპებით!







## საბჭოთა კავშირის გმირის — მელიტონ ქანთარიას 100 წლის იუბილე





მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ვიქტორ ცაავამ და მისმა გუნდმა წალენჯიხაში პატივი მიაგეს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების გმირს — მელიტონ ქანთარიას

3




ლევან ჩაჩუა: მოუსყიდველი, ღირსეული მამულიშვილების მხარდაჭერის შემთხვევაში რეალურად ჩნდება შანსი, აქტიურ ფაზაში გადავიყვანოთ ბრძოლა ძირგამომპალი მართვის სისტემის დემონტაჟისთვის! ყველა კანონი და ნორმა მხოლოდ ქართველი ერის ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს!

5

შიმშილის ზღვარზე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში 541 100 დოლარის ღირებულების 561.7 ტონა ყურძენი შემოვიდა და გაიყიდა. როგორ გგონიათ, საიდან შემოვიდა ყველაზე მეტი? სწორია — სომხეთიდან, რომლის წილი 355 200 დოლარია, მას რიგში თურქეთი უდგას 117 300 დოლარით. სატირალია ის, რაც ახლა მოგახსენეთ. ჩვენ ვყიდით ათჯერ ნაკლებ ყურძენს, ვიდრე ვყიდულობთ და თანაც რომელი ქვეყნებიდან?**

# პროდუქტები ძვირდება, შემოსავალი იგივე რჩება და მოსახლეობა ნელ-ნელა ეჩვევა შიმშილს

**რამდენიმე დღის წინათ თურქეთიდან სარფის საბაჟოს გავლით საქართველოში 25 ტონა კარტოფილი შემოვიდა. სანიტარული, ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს თანამშრომლებმა შეამოწმეს პროდუქცია და კვლევისთვის აღებულ ნიმუშში მავნე ორგანიზმი, კერძოდ, სოკოვანი დაავადების — კარტოფილის კიბოს არსებობა დადასტურდა. საქართველოს მთავრობის დადგენილების თანახმად, დაავადებული საქონელი უკან, ექსპორტიორ ქვეყანაში დააბრუნეს.**

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, რომ სარფის საბაჟოს გავლით თურქეთში საქართველოდან ასობით ტონა ახალციხისა და წალკის კარტოფილი გადის. რეალურად, აქ მოწეული კარტოფილი ჩვენ არ გვყოფნის, მაგრამ გასაყიდად გაგვაქვს და უცხო ქვეყნიდან კი შემოგვაქვს. ძაღლის თავიც ამ გატანა-შემოტანაშია დამარხული. **თვითონ თურქეთსაც (არამხოლოდ თურქეთს — ირანს, აზერბაიჯანს) არ ჰყოფნის თავისი პროდუქტი, მაგრამ საქართველოში შემოაქვს, აქედან კი გააქვს და მიზეზი არის ის, რომ ქართული კარტოფილი შემოტანილს ათი თავით სჯობს.** შედეგად, ვიღებთ იმას, რომ უცხო ქვეყნები საკუთარ ხალხს უფრთხილდებიან, ჩვენ — არა. **ვყიდით კარგს, ვყიდულობთ ცუდს და ამით ორმაგად ვზარალობთ: დახლზე ქართულ კარტოფილს სხვა ფასი აქვს, ბითუმად ნაყიდს — სხვა. ასე რომ, გლეხი ცალკე ზარალობს, იაფად რომ აძლევს საქონელს; მომხმარებელი — ცალკე, ძვირად რომ ყიდულობს არცთუ სასარგებლო პროდუქტს.**

თავი დავანებოთ კარტოფილს და ყურძენზე ვთქვათ, პროდუქტზე, რომელზეც ლამის სრულიად საქართველოს ისტორია გვაქვს მიბმული და ღვინის სამშობლოდ ვიწოდებით. მიმდინარე წლის იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით საქართველოდან ექსპორტზე 50 100 დოლარის ღირებულების 26.3 ტ ყურძენი გავიდა. ამ თანხიდან 22 600 დოლარის ყურძენი **აზერბაიჯანს** მივყიდეთ, 13 800 დოლარის — **რუსეთს,** 12 100 დოლარის — სომხეთს, ხოლო **უკრაინაში** 1 600 დოლარის ყურძენი გასაღდა. იმავე პერიოდში **საქართველოში 541 100 დოლარის ღირებულების 561.7 ტონა ყურძენი შემოვიდა და გაიყიდა. როგორ გგონიათ, საიდან შემოვიდა ყველაზე მეტი? სწორია — სომხეთიდან, რომლის წილი 355 200 დოლარია, მას რიგში თურქეთი უდგას 117 300 დოლარით. სატირალია ის, რაც ახლა მოგახსენეთ. ჩვენ ვყიდით ათჯერ ნაკლებ ყურძენს, ვიდრე ვყიდულობთ და თანაც, რომელი ქვეყნებიდან?** ახლა არ მითხრათ, სომხეთსა და თურქეთში ვაზის მოვლა ქართველებზე უკეთ იციან, უფრო დიდი ტრადიციები და ისტორია აქვთო. არა, ბატონებო, **მათ არც ვაზის მოვლა იციან ჩვენზე უკეთ და არც ყურძნის ფასი, მაგრამ მათ შენახვა იციან. ააშენეს ამ ქვეყნებში სამაცივრე მეურნეობები და, პრაქტიკულად, მთელ მოსავალს მაცივრებში ინახავენ. ღვინის ქარხნებსა და სახელმწიფოს კი არ ეხვეწებიან, — არიქა, სუბსიდია მოგვეცი და ძვირად ჩაიბარეო, არამედ ინახავენ და მაშინ, როცა ყურძენი სანატრელი ხილია, ექსპორტზე გააქვთ. რადგანაც საქართველოში ყურძენი წლის ნებისმიერ დროს ფასობს, ჩვენთან დიდი ოდენობით შემოდის და საღდება კიდეც.** ზუსტად ისე, როგორც შემოდის იმავე სომხეთიდან და თურქეთიდან გარგარი, ატამი, ვაშლი... ეს პროდუქტებიც მაცივრებში აქვთ შენახული და, თუ სეზონზე ჩვენთან კარგი ატამი და ვაშლი შეიძლება ლარად იყიდო, ზამთარში მისი ფასი ხუთჯერ მეტია, ე.ი., ხუთჯერ ძვირად ვყიდულობთ და ჩვენი ფული სხვა ქვეყნებში მიდის.

სანამ მთავარ სათქმელზე გადავალ, მოდი, იმ ფასნამატს გადავხედოთ, შარშანდელთან შედარებით წელს რომ გვაქვს პროდუქტებზე. **საქსტატის ცნობით, 2020 წლის სექტემბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0,7 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 3,8 პროცენტი შეადგინა.** შესაბამისად, გაძვირდა ყველაფერი და, კონკრეტულად, ციფრებში ეს ასე აისახა — **ყავა, ჩაი და კაკაო** გაძვირდა 14,4 პროცენტით, **თევზეული** — 11,7 პროცენტით, **ზეთი და ცხიმი** — 11,1 პროცენტით, **პური და პურპროდუქტები** — 8,7 პროცენტით, **ხილი და ყურძენი** — 8,2 პროცენტით, **რძე, ყველი და კვერცხი** — 6,1 პროცენტით, **ხორცი და ხორცის პროდუქტები** — 5,7 პროცენტით, **მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები** — 5,1 პროცენტით, **შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული** — 4,1 პროცენტით, **თამბაქოს ნაწარმი** — 13,3 პროცენტით, **ალკოჰოლური სასმელები** — 5,1 პროცენტით, **პირადი ჰიგიენის საშუალებები** — 13,0 პროცენტით...

და ამ გაძვირების ფონზე ადამიანებს შემოსავალი არ მომატებიათ. შეგნებულად არ ვამბობ ხელფასი-მეთქი, რადგან ჯერ ისედაც ჭირდა სამუშაო ადგილები და ახლა, პანდემიის პირობებში, სამუშაო სანთლით საძებარია, შესაბამისად, ხელფასების მატება რომც მომხდარიყო, ამას მოსახლეობის უმრავლესობა ვერ იგრძნობდა. საინტერესო ის არის, რომ ანალოგიური რამ მოხდა შარშანაც — დაახლოებით ამ პროცენტულობით მოიმატა ფასებმა პროდუქტებზე, მოსახლეობის შემოსავალი კი იგივე დარჩა. რა გამოდის? **პროდუქტები ძვირდება, ადამიანების შემოსავალი იგივე რჩება და მოსახლეობა ნელ-ნელა, მაგრამ მყარად ეჩვევა შიმშილს.**

საქართველოს ბიუჯეტი გადასახადებზე რომ დგას, უცხო არავისთვისაა. ჰოდა, **რომდე შეძლებს დაუსაქმებელი და „მოჩალიჩე“ მოსახლეობა ამ გადასახადების გადახდას, როდემდე ექნება ამის უნარი, არავინ იცის. სახელმწიფო კი არ თუ ვერ ფიქრობს რამის წარმოებაზე, რაღაც ისეთის შექმნაზე, რომელიც ქართულ ეკონომიკას სულს მოათქმევინებს. სამაცივრე მეურნეობა ავიღოთ. სომხეთმა თუ შეძლო, ჩვენ რატომ ვერ ვახერხებთ?** ნუთუ ასე ძნელია, იმ უზარმაზარ დაუსახლებელ ტერიტორიებზე, რომელსაც ვერაფერში ვიყენებთ (საგარეჯოს რაიონში, დასავლეთში მიტოვებულ სოფლებში), შეიქმნას რამდენიმე ისეთი სამაცივრე მეურნეობა, რომლებიც შეძლებს ტონობით ყურძნის, ვაშლისა და ატმის შენახვას, და მერე ჩვენ გავყიდოთ ხუთმაგ ფასში თუ უარს იტყვის ვინმე ქართულ პროდუქტზე? სამუშაო ადგილებს თავი რომ დავანებოთ, გლეხის მიერ ნაწარმოებ პროდუქტს ფასი დაედება, მაგრამ ამაზე რატომღაც არავინ ფიქრობს. უფრო მარტივია სხვა ქვეყნიდან შემოტანა, სხვა ქვეყნის პროდუქციის გასაღება და **იმაზე არ ვფიქრობთ, რომ ეს პროდუქცია, რომელიც მწარმოებელსაც კი არ უნდა და სხვებს „ტენის“, ჩვენი და ჩვენი შვილების ორგანიზმში წლების განმავლობაში ილექება და, თუ ვინმეს ჰგონია, რომ სიმსივნური დაავადებების გახშირება დიდწილად უვარგისი საკვების ბრალი არ არის, ძალიან ცდება.**

წინასაარჩევნო პერიოდი გვიდგას და, ნებისმიერი პარტიის პროგრამას რომ გადახედოთ, საინტერესო რაღაცებს იპოვით. ოპოზიცია, ძირითადად, სამუშაო ადგილების შექმნით „იმუქრება“, ხელისუფლებამ იცის, რომ სამუშაო ადგილებს არ შექმნის და აღარც გვპირდება. პრაქტიკულად ყველა (ხელისუფლების გარდა) გადასახადების შემცირებას გვპირდება. იმ გადასახადების, რომელზეც დგას ბიუჯეტი და, ისიც რომ შეამცირონ, ხელფასებისა და პენსიების დარიგების პრობლემის წინაშე დავდგებით. **სამუშაო ადგილების შექმნას კი გვპირდებიან, მაგრამ როგორ, არავინ ამბობს. გამოდის, სიტყვაზე უნდა ვენდოთ. ასე ვენდეთ ჯერ ნაციონალებს, მერე „ქართულ ოცნებას“ და გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ სხვაც იმავე წრეზე წაგვიყვანს.** ხელისუფლებაში მისულთ აღარ ახსოვთ, რომ სამუშაო ადგილებია შესაქმნელი, რადგან ისინი დასაქმებულები არიან და პრინციპით, მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო, გაოცებულები სვამენ კითხვას — **„როგორ, საქართველოში ბავშვები შიმშილობენ?“** ბავშვები რომ შიმშილობენ, ვიცით, მაგრამ იმ მშობლებზე რა ვთქვათ, ბავშვების ხათრით ლუკმას რომ იკლებენ და საკვებს მათ უტოვებენ? გასულ კვირას სოფელში მისულმა დეპუტატობის ერთ-ერთმა კანდიდატმა იქაურებს განუცხადა: გზას დაგიგებთ, გარე განათებას გავაკეთებთო; მოხუცმა კი უთხრა: რა გზა და განათება, შვილო, გვშია, საჭმელი მოგვეციო. აი ეს არის მწარე რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ და ამ სიმწარეს ეროვნული ვალუტის გაუფასურებაც ემატება. ყველაზე საინტერესო, იცით, რა არის? **ფინანსთა მინისტრი, ეკონომიკის მინისტრი და არაერთი ძალად ექსპერტი ლარის გაუფასურებას, ძირითადად, საზოგადოებაში არსებული ცუდი მოლოდინით ხსნის — საზოგადოებას ჰგონია, მომავალში უფრო გაჭირდება ცხოვრება და ეს მოლოდინი ლარს აუფასურებსო. ათი დღეა, სომხეთი და აზერბაიჯანი ომობენ და მათი ვალუტები არ გაუფასურებულა. რა გამოდის? ჩვენთან მშვიდობიან პერიოდში მოსახლეობას აქვს ცუდის მოლოდინი და ქვეყნებში, სადაც ომი მძვინვარებს, ხალხი იხოცება, კარგის მოლოდინის იმედად არიან და ვალუტა მყარად ამიტომ დგას?** ხვდებით თქვენი სიტყვების აბსურდულობას, ბატონებო? ლარის სიმყარე პირდაპირ არის მიბმული ეკონომიკის სიმყარეზე და იმის გამო, რომ მოსახლეობა დღითიდღე გადასახადების გადახდის უუნარო ხდება, ლარიც დღითიდღე უფასურდება — შესაბამისი რეაქცია აქვს მიმდინარე პროცესებზე, ამიტომ, გზა და განათება კი არა, იმის შესაძლებლობა მიეცით ადამიანებს, პურის ფული ჰქონდეთ და საღამოს მშივრებმა არ დაიძინონ.

**ბესო ბარბაქაძე**




**თურქეთს (არამხოლოდ თურქეთს — ირანს, აზერბაიჯანს) არ ჰყოფნის თავისი პროდუქტი, მაგრამ საქართველოში შემოაქვს, აქედან კი გააქვს და მიზეზი არის ის, რომ ქართული კარტოფილი შემოტანილს ათი თავით სჯობს... ვყიდით კარგს, ვყიდულობთ ცუდს და ამით ორმაგად ვზარალობთ: დახლზე ქართულ კარტოფილს სხვა ფასი აქვს, ბითუმად ნაყიდს — სხვა. ასე რომ, გლეხი ცალკე ზარალობს, იაფად რომ აძლევს საქონელს; მომხმარებელი — ცალკე, ძვირად რომ ყიდულობს არცთუ სასარგებლო პროდუქტს**

**ფინანსთა მინისტრი, ეკონომიკის მინისტრი და არაერთი ძალად ექსპერტი ლარის გაუფასურებას საზოგადოებაში არსებული ცუდი მოლოდინით ხსნის — საზოგადოებას ჰგონია, მომავალში უფრო გაჭირდება ცხოვრება და ეს მოლოდინი ლარს აუფასურებსო. ათი დღეა, სომხეთი და აზერბაიჯანი ომობენ და მათი ვალუტები არ გაუფასურებულა. რა გამოდის? ჩვენთან მშვიდობიან პერიოდში მოსახლეობას აქვს ცუდის მოლოდინი და ქვეყნებში, სადაც ომი მძვინვარებს, ხალხი იხოცება, კარგის მოლოდინის იმედად არიან და ვალუტა მყარად ამიტომ დგას? ხვდებით თქვენი სიტყვების აბსურდულობას, ბატონებო?**

გმირის იუბილე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოს ბევრი გმირი ჰყავს, მაგრამ ის, რომ რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა ჩვენმა თანამემამულე მელიტონ ქანთარიამააფრიალა, განსაკუთრებულ როლს სძენს ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში“.**

# საბჭოთა კავშირის გმირის — მელიტონ ქანთარიას 100 წლის იუბილე

## მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ვიქტორ ცაავამ და მისმა გუნდმა წალენჯიხაში პატივი მიაგეს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების გმირს — მელიტონ ქანთარიას

**დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების ერთ-ერთი სიმბოლო გამარჯვების დროშაა, რომელიც რაიხსტაგზე ქართველმა მელიტონ ქანთარიამ რუს მიხეილ ეგოროვთან ერთად აღმართა. საბჭოთა ჯარის ნაწილები 1944 წლის 29 აპრილს მიადგნენ ფაშისტური იმპერიის მთავარ შენობას — რაიხსტაგს, რომელსაც გააფთრებით იცავდნენ „ეს-ეს-ის“ ნაწილები, მათ მხარდამხარ არანაკლები თავგანწირვით იბრძოდნენ კოლაბორაციონისტი ლატვიელები, ნორვეგიელები, შვედები და სხვები.**

რაიხსტაგის შტურმი 30 აპრილს დაიწყეს ბელორუსიის პირველ ფრონტში შემავალი პოლკოვნიკ **ალექსეი ნეგოდას** 171-ე და გენერალ-მაიორ **ვასილ შატილოვის** 150-ე დივიზიებმა. რაიხსტაგის შტურმი წარმატებით დასრულდა საღამოს, როდესაც საბჭოთა ჯარისკაცებმა შეაღწიეს შენობაში და ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს გერმანელებს. ჯარისკაცთა რამდენიმე ჯგუფმა მიიღო დავალება — მიეღწიათ რაიხსტაგის სახურავამდე და აღემართათ გამარჯვების დროშა, რომელიც გადასცეს ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ლეიტენანტი **ალექსეი ბერესტი,** სერჟანტი **მიხეილ ეგოროვი** და უმცროსი სერჟანტი **მელიტონ ქანთარია.** ეს დროშა თავდაპირველად აღმართეს რაიხსტაგის მთავარი შესასვლელის ფრონტონზე — მიამაგრეს ცხენზე ამხედრებული ვილჰელმ II-ის ქანდაკებას. 2 მაისს კი, დღის მეორე ნახევარში, გამარჯვების დროშა გადაიტანეს რაიხსტაგის გუმბათზე. ასე რომ, ფაშიზმზე გამარჯვების დროშა რუსმა და ქართველმა ჯარისკაცებმა ააფრიალეს. ეს ფაქტი ისტორიულ სამართლიანობას გამოხატავს, რადგან მეორე მსოფლიო ომში ყველაზე დიდი ტვირთი რუს ხალხს დააწვა მხრებზე და ყველაზე მეტი მსხვერპლიც მან გაიღო, ხოლო მელიტონ ქანთარიას თანამემამულე იოსებ სტალინი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ ომში გამარჯვებული არმიის უმაღლესი მთავარსარდალი გახლდათ.

**2020 წლის 5 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის გმირის, მელიტონ ქანთარიას, დაბადებიდან ასი წლისთავი შესრულდა. მის მშობლიურ კუთხე წალენჯიხაში, დაბა ჯვარში, ამ დღეს „პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა მარტვილი-აბაშა-ჩხოროწყუ-წალენჯიხის ოლქში — ვიქტორ ცაავამ და მისმა გუნდმა პატივი მიაგეს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების გმირს — მელიტონ ქანთარიას.**



### «მელიტონ ქანთარიას ასი წლისთავი ისე აღვნიშნეთ, დიდხანს ემახსოვრებათ წალენჯიხელებს»

**თემურ ფიფია, ერთიანი კომუნისტური პარტიის ლიდერი:**

— მელიტონ ქანთარია გახლდათ დიდი სამამულო ომის გმირი, დიადი საბჭოთა კავშირის გმირი. ყველას კარგად მოეხსენება, რომ სწორედ წალენჯიხელმა პატარა ბიჭმა, ომის ქარცეცხლში გამოვლილმა მელიტონ ქანთარიამ და რუსმა მიხეილ ეგოროვმა აიტანეს გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე. ეს სიმბოლური ფაქტი იყო. ახლა ვიღაცებს სურთ, რომ სტალინის სახელს მიაწერონ ეს ყველაფერი, ამბობენ, სტალინს ასიამოვნეს და დროშა იმიტომ აატანინეს ქართველს, თანაც მეგრელსო და ამ მეგრელობას **ბერიას** პატივსაცემად მოფიქრებულს უწოდებენ. მაგრამ ასე არ არის. მელიტონ ქანთარია ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე გაიწვიეს ომში, წალენჯიხელმა ბიჭმა, რომელსაც სოფლიდან ფეხი არ ჰქონდა გადგმული, გერმანიამდე ბრძოლებით იარა. საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩნდა და დროშის რაიხსტაგზე ატანის პატივი ერგო. მელიტონ ქანთარიამ ვალი სამშობლოს წინაშეც მოიხადა და მსოფლიოს წინაშეც, რადგან **საბჭოთა ჯარისკაცებმა დაამარცხეს ფაშისტური გერმანია და მსოფლიო ყავისფერი ჭირისგან იხსნეს.** ვამაყობ, რომ საბჭოთა კავშირის გმირის, მელიტონ ქანთარიას, მიწა-წყლის შვილი ვარ, მეც წალენჯიხელი გახლავართ, რაც ჩემთვის დიდი პატივია. ჩემთვის პატივიამეთქი ვამბობ, მაგრამ მხოლოდ მე და ჩემნაირები არ ვართ საკმარისი გმირისთვის შესაფერისი პატივის მისაგებად. **მელიტონ ქანთარიას დაბადებიდან ასი წელი შეუსრულდა და სახელმწიფოს მხრიდან არ ყოფილა ენთუზიაზმი, პატივი მიეგო დიდი ქართველისთვის — ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების სიმბოლოსთვის.** ჩვენ ყველას გავაგებინეთ, რომ ვაპირებდით მელიტონ ქანთარიას დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ჩატარებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ღონისძიებაში მონაწილეობის დიდი სურვილი ადგილობრივ მმართველებს არ გამოუთქვამთ. უარი გვითხრეს ტელევიზიებმა თუნდაც პატარა სიუჟეტის გაკეთებაზეც და მიზეზად პარტიის ინიციატივა დაასახელეს. არადა, რა შუაშია პარტია, გაუგებარია. მელიტონ ქანთარია არავის საკუთრება არ არის, ის ქართველი გმირია. მართალია, ღონისძიების ჩატარების ინიციატივა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის გუნდს ეკუთვნის, მაგრამ ამ ინიციატივას სიხარულით შეხვდა წალენჯიხის საზოგადოება. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ჩვენი ძალებით ვერაფერს მოვახერხებდით, რომ არ დაგვხმარებოდა „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი **ფრიდონ ინჯია.** მისი დამსახურებით, მელიტონ ქანთარიას ასი წლისთავი ისე აღვნიშნეთ, დიდხანს ემახსოვრებათ წალენჯიხელებს. განსაკუთრებით მინდა, მომავალ თაობებს ახსოვდეთ.





### «სწორედ ამ გმირების სულები დაგვეხმარებიან, რომ ლიბერალთა პარპაში მალე დავასრულოთ ჩვენს ქვეყანაში»

**ფრიდონ ინჯია, „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

— მქონდა პატივი, პირადად გამეცნო მელიტონ ქანთარია. ეს გახლდათ ადამიანი, რომელიც ყველა ქართველის ქომაგი იყო, მაგრამ, უპირველესად, ის იყო გმირი. **მელიტონ ქანთარიამ ომის ქარცეცხლში ღირსეულად იარა და რაიხსტაგზეც დროშა დამსახურებულად აიტანა. მელიტონ ქანთარიას გმირობა იმჟამინდელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა და მის სახელს დღესაც პატივს მიაგებს მადლიერი შთამომავლობა.**

საქართველოში არ არსებობდა ოჯახი, რომლის წარმომადგენელიც ომში არ ყოფილიყო ნაბრძოლი. ჩვენი ოჯახიდანაც ყველანი ფრონტზე იყვნენ — მამაჩემი და მისი ორი ძმა — ვალოდია ბიძია და სერგო ბიძია. ვალოდია 1943 წლის 19 მარტს დაიჭრა და 20 მარტს გარდაიცვალა ჰოსპიტალში. ის ქერჩის ძმათა სასაფლაოზეა დაკრძალული, მის საფლავზე ყოველდღე ცვლიან ყვავილებს და მარადიული ცეცხლი ანთია. ეს ამბავი ხუთი წლის წინათ შევიტყვეთ, მანამდე დაკარგულად მივიჩნევდით. სერგო ბიძია კი ინვალიდი დაბრუნდა ფრონტიდან — ფეხი დაკარგა. რაც შეეხება მამაჩემს, ის სამშობლოში 1956 წელს დაბრუნდა ჯანმრთელი. დიდი სამამულო ომის გმირებმა მსოფლიო იხსნეს ფაშისტებისგან. **საქართველოს ბევრი გმირი ჰყავს, მაგრამ ის, რომ რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა ჩვენმა თანამემამულე მელიტონ ქანთარიამ ააფრიალა, განსაკუთრებულ როლს სძენს ჩვენს ქვეყანას მსოფლიოში.** მისი დაბადების დღის არაღნიშვნა სულმდაბლობაა. 5 ოქტომბერს მელიტონ ქანთარიას დაბადებიდან ასი წელი გავიდა, როგორ შეიძლებოდა, ამ დღეს არ მისულიყო მის საფლავთან ადამიანი და შესაბამისი პატივი არ მიეგო, მუხლი არ მოედრიკა გმირის საფლავთან, გმირისა, რომელიც ფაშიზმზე გამარჯვების სიმბოლოა. რომ არა მელიტონ ქანთარიასნაირი გმირები, ცოტა ადრე ვიქნებოდით ლიბერალების ბრჭყალებში მოქცეულები და, ალბათ, გადაგვარებულებიც, მაგრამ მათ გასაგონად ვიტყვი: სწორედ ამ გმირების სულები დაგვეხმარებიან, რომ ეროვნული ფასეულობების მტერი ლიბერალების პარპაში მალე დავასრულოთ ჩვენს ქვეყანაში.

### «მახსოვს მელიტონ ქანთარიას სიტყვები: «დალოცვილი აფხაზეთის მიწა ქართველთა და აფხაზთა შემაკავშირებელია, ეს მიწა ერთად უნდა დავიცვათ, რადგან ამ ულამაზესი მხარის დაუფლების სურვილი ბევრს აქვს»

**ვიქტორ ცაავა, „პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი მარტვილი-აბაშა-ჩხოროწყუ-წალენჯიხის რაიონში:**

— ჩემთვის დიდი პატივია, რომ პირადად ვიცნობდი მელიტონ ქანთარიას. ტკბილად მახსენდება მასთან გატარებული დღეები აფხაზეთში. 1982 წლის ზაფხულში ოჩამჩირეში ზღვის სანაპიროზე ვისხედით და ვსაუბრობდით, უფრო ზუსტად, ის საუბრობდა, მე კი ვუსმენდი. მახსოვს მისი სიტყვები: **„დალოცვილი აფხაზეთის მიწა ქართველთა და აფხაზთა შემაკავშირებელია, ეს მიწა ერთად უნდა დავიცვათ, რადგან ამ ულამაზესი მხარის დაუფლების სურვილი ბევრს აქვს. თუკი ერთად არ დავდგებით ქართველები და აფხაზები და ცალ-ცალკე გადავწყვეტთ მის დაცვას, მიწაც განწირული იქნება და ხალხიც“,** — მითხრა უკვე მხცოვანმა გმირმა. მაშინ მისი სიტყვებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ დღეს ვფიქრობ ამ ყველაფერზე... გმირი და ბრძენი ადამიანი გახლდათ მელიტონ ქანთარია. დღეს ვდგავარ „პატრიოტთა ალიანსთან“, რომელიც, სხვებისგან განსხვავებით, ცდილობს, აღადგინოს ჩატეხილი ხიდი აფხაზებსა და ოსებთან. მხოლოდ ჩატეხილი ხიდის აღდგენით იქნება შესაძლებელი დიდი მელიტონ ქანთარიას სურვილის ხორცშესხმა.

ჩემს გუნდთან, **ჩემს მეგობრებთან — ირაკლი უბილავასთან, თემურ ფიფიასა და დავით კუჭავასთან ერთად მელიტონ ქანთარიას საფლავს ვესტუმრე და პირობა დავდეთ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობის აღსადგენად.**

საბჭოთა კავშირის ამ ყველასგან გამორჩეულმა გმირმა — მელიტონ ქანთარიამ, რომელმაც ფრონტის ხაზი წარბშეუხრელად გაიარა, საბოლოოდ დროშის ტარის დარტყმით დაასრულა ფაშისტური გერმანია. დიდება მის ხსოვნას! დიდება ჩემს სამშობლოს! ღმერთმა დალოცოს საქართველო!

**მოამზადა**
**ეკა ნასყიდაშვილმა**



მელიტონ ქანთარია, 1945 წ.



მელიტონ ქანთარია და მისი უახლოესი მეგობარი, აფხაზი ვარლამ გაბლია — საბჭოთა კავშირის ორი გმირი ოჩამჩირედან

განათლების სისტემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დღევანდელი განათლების მინისტრი თავისი განცხადებებით, მოქმედებით ეწინააღმდეგება ერის განვითარების კონცეფციას. ის, ისევე, როგორც თავის დროზე სოროსის ფონდიდან მოვლენილი ლომაია, შემდეგ შაშკინი, შემდეგ კომბლესთან მებრძოლი ჯეჯელავა და ა.შ., ასრულებს მისი უცხოელი ბოსების დავალებებს, რომელთა უმთავრესი მიზანი ჩვენი მომავალი თაობების გამოდებილებაა“.

# განათლების თაფლს შესეული კრაზანები



## ვაჟა ოთარაშვილი: განათლების სამინისტრო იქცა ფულის საკეთებელ სკად, რომლიდანაც ყველანაირი ჯურის კრაზანას გამოაქვს თაფლი

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ 2020 წლის საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციაზე უწყების სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ დღეს ხელისუფლების უმთავრესი პრიორიტეტი ქვეყანაში განათლების დონის გაუმჯობესებაა. მისი თქმით, ამისთვის „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, თუმცა, მინისტრის განმარტებით, პროგრესი საკმარისი არ არის და ხელისუფლება მომავალშიც ყველაფერს გააკეთებს, რათა ქართულმა განათლებამ მსოფლიოში ღირსეული ადგილი დაიკავოს.**

**«დღეს საქართველოში მოზარდები, განსხვავებით განვითარებული და ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნისგან, კარგავენ სკოლაში გატარებულ 4,6 წელს... ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში განათლების დონე კრიტიკულად დაბალია. რაც შეეხება კონკრეტულად საშუალო განათლებას, ბავშვების მიერ სკოლაში გატარებული 12 წელი (მიღებული განათლების ხარისხისა თუ ეფექტიანობის თვალსაზრისით) რეალურად 8,3 წელს უდრის...»**

**ცნობისთვის:** მსოფლიო ბანკმა რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნა ადამიანური კაპიტალის 2020 წლის ინდექსი, რომელიც ზომავს, რა პოტენციალს მიაღწევდა დღევანდელი ბავშვი (18 წლისა) სრულყოფილი განათლების მიღებისა და ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობის შემთხვევაში. კვლევის დეტალებზე საუბრისას აღნიშნული ორგანიზაციის სამხრეთ კავკასიის რეგიონულმა დირექტორმა **სებასტიან მოლინეუსმა** განაცხადა, რომ დღეს საქართველოში მოზარდები, განსხვავებით განვითარებული და ზოგიერთი განვითარებადი ქვეყნისგან, კარგავენ სკოლაში გატარებულ 4,6 წელს. მისივე განმარტებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში განათლების დონე კრიტიკულად დაბალია. რაც შეეხება კონკრეტულად საშუალო განათლებას, ბავშვების მიერ სკოლაში გატარებული 12 წელი (მიღებული განათლების ხარისხისა თუ ეფექტიანობის თვალსაზრისით) რეალურად 8,3 წელს უდრის...

**განათლების სფეროს მდგომარეობაზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პოეტი ვაჟა ოთარაშვილი.**

**— ბატონო ვაჟა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრ მიხეილ ჩხენკელის მიერ ერთ-ერთ შეხვედრაზე გაკეთებულ განცხადებას თუ დავუჯერებთ, ხელისუფლების მიერ სათავეში მოსვლიდან დღემდე განათლების მიმართულებით გატარებულმა რეფორმებმა სისტემა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა და ამ რეფორმების შედეგად დღეს ქართული განათლება უფრო მაღალ დონეზეა... რეალურია ეს განცხადება და სინამდვილეში რა რეფორმები გაატარა განათლების სფეროში „ქართულმა ოცნებამ“?**

— 2003 წლიდან დღემდე ყველა მინისტრი — **ლომაია, შაშკინი, გვარამია, სანიკიძე, ჯეჯელავა** თუ **ჩხენკელი** ხაზგასმით იმეორებდა, რომ თურმე მათმა გატარებულმა რეფორმებმა გააუმჯობესა განათლების დონე და ხარისხი, რაც ტყუილია. ე.წ. რეფორმებმა ხარისხი კი არ გააუმჯობესა, ფაქტობრივად, გაანულა და შედეგად მივიღეთ ის, რომ დღეს განათლების სისტემის დონე არათუ განვითარებული, განვითარებადი ქვეყნების დონესაც ჩამორჩება. სხვათა შორის, **განათლების სფერო იყო ერთ-ერთი, რომელშიც „ქართულმა ოცნებამ“ წინა ხელისუფლების კურსი ასპროცენტიანი სიზუსტით განაგრძო, თანაც ძალიან „წარმატებით“ — „ქართულმა ოცნებამ“ ლოგიკურ შედეგებამდე მიიყვანა წლების წინათ სოროსის ფონდის მიერ ლომაიას ხელით დაწყებული ე.წ. რეფორმები.**

რას უნდა ემსახურებოდეს წარმატებული განათლების სისტემა? ის, უწინარესად, უნდა ემსახურებოდეს დიდი განმანათლებლების მიერ დაგროვილი ცოდნის გადაცემას მომავალი თაობისთვის. ეს აქსიომაა ამ სფეროში, იმიტომ, რომ სხვანაირად შეუძლებელია კაცობრიობის ინტელექტუალური განვითარება... რაც შეეხება კონკრეტულად ბატონ ჩხენკელის განცხადებას, **გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ დღევანდელი განათლების მინისტრი თავისი განცხადებებით, მოქმედებით ეწინააღმდეგება ერის განვითარების კონცეფციას. ის, ისევე, როგორც თავის დროზე სოროსის ფონდიდან მოვლენილი ლომაია, შემდეგ შაშკინი, შემდეგ კომბლესთან მებრძოლი ჯეჯელავა და ა.შ., ასრულებს მისი უცხოელი ბოსების დავალებებს, რომელთა უმთავრესი მიზანიც არის ჩვენი მომავალი თაობების გამოდებილება.** სხვათა შორის, მან ერთხელ **ბიძინა ივანიშვილი ექვთიმე თაყაიშვილს** შეადარა... აი, ასეთი ხალხის ხელშია განათლების სისტემა და გასაკვირია, რომ ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება?

**— რა არის მთავარი გარემოებები, რომლებიც განათლების სისტემის დონესა და ხარისხს განსაზღვრავს?**

— დავიწყოთ თავიდან. პირველი — ეს არის სახელმძღვანელოები. დღეს საქართველოს სკოლებში მოქმედი სახელმძღვანელოების 80% კრიტიკას ვერ უძლებს — შედგენილია აბსოლუტურად არასწორად; და მეორე — არ არსებობს მეთოდოლოგიური საბჭო, რომელიც კომპეტენტური ადამიანებით იქნებოდა დაკომპლექტებული. ცალკე თემაა ე.წ. სახელმძღვანელოთა გრიფირების სისტემა, რომელიც მაფიის ხელშია. განათლების სამინისტრო იქცა დიდძალი ფულის საკეთებელ სკად, რომლიდანაც ყველანაირი ჯურის კრაზანას გამოაქვს თაფლი.

**— უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ, სახელმძღვანელოების გრიფირება კორუფციასთანაა დაკავშირებული?**

— რა თქმა უნდა! წარმოიდგინეთ, სკოლები თვითონ ირჩევენ სახელმძღვანელოს ისეთ საგნებში, როგორებიცაა ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა... რამდენიმე სახელმძღვანელო არსებობს და დირექცია თვითონ ირჩევს, რომლით ასწავლოს ბავშვებს. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა — რა საჭიროა ამდენი სახელმძღვანელო, რა, ბევრი გვყავს ახალი **მუსხელიშვილი, ვეკუა** და **ხარაძე?** არა, ბატონო... პითაგორას თეორემა ერთია, მაგრამ ამ თეორემას ბეჭდავენ ცხრანაირად, იმისთვის, რომ განათლების მაფიამ დიდძალი ფული იშოვოს. ახლა მეორე, რაც ასევე განსაზღვრავს განათლების ხარისხს: ძალიან **დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ ასწავლის ბავშვს და რა მეთოდოლოგიით. ვგულისხმობ იმას, რომ მასწავლებელი აუცილებლად უნდა იყოს პროფესიონალი პედაგოგი. თუმცა საქართველოში ამ მხრივაც სრული კატასტროფაა იმის გამო, რომ ერთმანეთის მიყოლებით დაიხურა პედაგოგიური პროფილის უმაღლესი სასწავლებლები — თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი, გორის ინსტიტუტი, სულხან-საბას სახელობის ინსტიტუტი, რომელიც ილიას უნივერსიტეტად გადაკეთდა და ახლა ლიბერალური ელიტის ყველაზე დიდი საბუდარია...** აი, ეს არის მიზეზი იმისა, რომ პედაგოგები, ფაქტობრივად, აღარ არიან ქვეყანაში და ყველა სკოლაში ხშირად მიდიან შემთხვევითი ადამიანები. სხვათა შორის, ამ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სკოლებიდან მასობრივად წასულიყვნენ ძველი თაობის პედაგოგები, რომლებსაც მიღებული ჰქონდათ მსოფლიოში აღიარებული უმაღლესი დონის საბჭოთა განათლება...

**— რა მიზანს ემსახურებოდა ეს ყველაფერი?**

— ეს ადამიანები, თავიანთი ცოდნითა და მსოფლმხედველობით ვერ ჯდებოდნენ თანამედროვე ლიბერალური დღის წესრიგის სტანდარტებში. ისინი ვერ „აკმაყოფილებდნენ“ ლომაიას, შაშკინისა და სხვა სოროსელების მიერ დაწყებული „რეფორმების“ მოთხოვნებს, ამიტომ უნდა მოეშორებინათ. რაც შეეხება განათლების მინისტრის იმ განცხადებას, რომ პედაგოგებს მოუმატეს ხელფასები, ეს არის ჩვეულებრივი წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი; იმ კამპანიის, რომლის მიზანიც, ამასთანავე, არის საარჩევნო პროცესში მასწავლებელთა ჩართვა, რაც, სულ არ არის გამორიცხული, გარკვეული ზემოქმედებითაც ხდებოდეს. ეს ჩემი სუბიექტური აზრია... ძალიან მნიშვნელოვანია გარემოც, რომელშიც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს. ვგულისხმობ იმას, რომ სკოლაში მასწავლებელი უნდა იყოს თავისუფალი. **მანდატურის ინსტიტუტის შექმნით, რომელიც სააკაშვილის მიერ მოგონილი ფაშისტური სისტემაა, პედაგოგებს პროფესიული უფლებები შეეზღუდათ. პედაგოგი, გარდა იმისა, რომ ღირსება შეელახა,** გახდა მეორეხარისხოვანი, მასზე დაწესდა ერთგვარი ზედამხედველობა. ეს იყო ჩვეულებრივი ფაშისტური მეთოდი, რომლის მსგავსიც 1929-33 წლებში შექმნა **ადოლფ ჰიტლერმა** სასწავლებლებში. სამაგიეროდ, სკოლებში აიკრძალა ხატების კუთხე, თურმე ამით სხვა რელიგიური კონფესიების უფლებები ირღვევა და გააუქმეს რელიგია, როგორც საგანი... ძალიან მაინტერესებს: **თუკი ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანსა და თურქეთში ყველა სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში სავალდებულოა ყურანის სწავლა, ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში კი — თეოლოგიის, რა დაშავდება იმით, რომ ჩვენთან სახარება ისწავლებოდეს?** რა არის ამაში ცუდი და მიუღებელი?! **აი, ეს საგნები რომ არ ისწავლება და ახალგაზრდები დაცლილები არიან სულიერებისგან, ამიტომაა ასე გახშირებული მეძავობა და ნარკომანია.** კონკრეტულ ფაქტსაც გეტყვით: თბილისში, ახვლედიანის ქუჩაზე, მეტროპოლიტენის სადგურ რუსთაველის მახლობლად, 13-14-15 წლის გოგონები მეძავობენ. ეს ხდება დღისით, მზისით თუ შუაღამით. ამის გამო ადგილობრივმა მცხოვრებლებმა პრემიერსაც მისწერეს, მაგრამ უშედეგოდ — განმკითხავი არავინ არ არის. აი, ეს არის ამათი განათლების სისტემის „წარმატება“ და „მიღწევა“. ჩვენს მომავალ თაობას, ფაქტობრივად, ვკარგავთ.

**— რა არის საჭირო იმისთვის, რომ ეს ყველაფერი თუნდაც ნაწილობრივ შეიცვალოს და განათლების დონე მეტ-ნაკლებად გაუმჯობესდეს? რის გაკეთებაა რეალურად შესაძლებელი?**

— სანამ შეკითხვაზე გიპასუხებთ, მინდა, მოკლედ შევეხო კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც განათლების ხარისხს განაპირობებს — ეს არის საგნების საათობრივი განაწილება. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ **ისეთ ფუნდამენტურ საგნებს, როგორებიცაა ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, ანატომია, მათემატიკა, მშობლიური ენა და ლიტერატურა, ისტორია, იმის ნახევარიც არ ეთმობა, რაც რეალურად უნდა ეთმობოდეს.** არადა, უნდა ნახოთ, რამდენი საათი ეთმობა ხატვას, ცეკვას, ხტუნვას, ფიზკულტურას და ა.შ. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა — როგორ შეიძლება, ხატვასა და ფიზკულტურასაც იმდენივე საათი ეთმობოდეს, რამდენიც მათემატიკას ან ქიმიას და ენა-ლიტერატურას?! ეს ხომ ღუპავს ბავშვს? აი, ამის პირდაპირი შედეგია ის, რომ **მოდის უცოდინარი თაობა, რომელმაც არ იცის, „ვისი გორისაა“. ამ ვითარებიდან გამოსავალს ვხედავ მხოლოდ არსებული „ლიბერალური“ სისტემის სრულ დემონტაჟში, რომელიც მიზანმიმართულად ანადგურებს ყველაფერ ქართულს. სხვა გზა მე, უბრალოდ, არ ვიცი და ვერც წარმომიდგენია,** ამიტომ ეს ადამიანები უნდა წავიდნენ პოლიტიკიდან მგლის ბილეთით. აი, ამის შემდეგ თუ მოხერხდება და ხელისუფლების სათავეში მოვა ეროვნულ-პატრიოტული ძალა, ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ არის მარტივი და მსგავსი ცვლილებები ერთი ხელის მოსმით არ ხდება.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**„საქართველო იქცა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ინტერესების გადაკვეთის წერტილად და ტელემედიის მიერ წარმოდგენილი პოლიტიკური ძალები სწორედ უცხო ქვეყნების ინტერესების გამტარებელ მარიონეტებს წარმოადგენენ. ცხადია, ყველა იმ ინიციატივას თუ კანონპროექტს, მიმართულს ქართული ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის წინააღმდეგ, ჩანასახშივე ჩავშლით“.**

დეპუტატობის კანდიდატი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ლევან ჩაჩუა:

# მოუსყიდველი, ღირსეული მამულიშვილების მხარდაჭერის შემთხვევაში რეალურად ჩნდება შანსი, აქტიურ ფაზაში გადავიყვანოთ ბრძოლა ძირგამომპალი მართვის სისტემის დემონტაჟისთვის!

**კარსმომდგარი საპარლამენტო არჩევნები სამართლიანი რომ არ იქნება და თითოეულ ჯანსაღ ძალას, რომელსაც ძირეული ცვლილებები სურს ქვეყანაში, სერიოზული ბრძოლა მოუწევს თავისი ხმების დასაცავად, ამთავითვე ცხადია. ამის ნათელი დადასტურებაა, ერთი მხრივ, ხელისუფლების და, მეორე მხრივ, მისი მოკავშირე ე.წ. პროდასავლური ოპოზიციის მიერ პოლიტიკური სპექტრის სრული მონოპოლიზაცია, რომელიც ორ ძალას შორის წლების წინათ კოაბიტაციის სახელით მიღწეული შეთანხმების შედეგია. თანმდევ მთავარ შტრიხს წარმოადგენს დანარჩენი ძალების სრული საინფორმაციო ბლოკადა, რომელიც, ტრადიციულად, ყველა არჩევნებზე გვიჩვენებს, რომ „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ ტანდემისთვის მიუღებელია ძირეული ცვლილებები, მეტიც, ე.წ. ლიბერალური მედია, რომლის ერთ ნაწილს ხელისუფლება, ხოლო მეორე ნაწილს მის მიერვე შეკოწიწებული ოპოზიცია — ნაცები და ევრონაცები — აკონტროლებენ, ერთგვარი პროპაგანდისტული შტურმით ცდილობს, ეროვნულ ძალებს ჩაუშალოს წინასაარჩევნო კამპანია.**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ქართული იდეა“ ერთ-ერთია იმ ჯანსაღ და ავტორიტეტულ პოლიტიკურ სუბიექტებს შორის, რომელიც, მიუხედავად აშკარა უთანასწორობისა ლიბერალურ დღის წესრიგთან ბრძოლაში, მათ შორის ფინანსური რესურსების ფლობის, საინფორმაციო ველის კონტროლისა და სხვა თვალსაზრისით, კონსერვატიული ფლანგის ინტერესებს ღირსეულად წარმოადგენს. ამას არაერთი ფაქტი ადასტურებს, თუმცა მთავარი უპირატესობა, რომელიც აღნიშნულ ძალას ხელოვნური წინააღმდეგობის მიუხედავად აქვს კონკურენტებზე, მის მიმართ საზოგადოების ფართო მხარდაჭერა და თანადგომაა...

**რა არის დღევანდელ ვითარებაში კონსერვატიული ბანაკის მთავარი პოლიტიკური გზავნილი საზოგადოებისადმი, რა სტრატეგიას ირჩევენ ლიბერალური დიქტატის წინააღმდეგ საბრძოლველად და რას შეცვლის მომავალი არჩევნები? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „ქართული იდეის“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა.**

**— ბატონო ლევან, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი 31 ოქტომბრის შემდეგ ხელისუფლებაში მნიშვნელოვან ცვლილებებს ელოდება. თქვენ, როგორც კონსერვატიული ფლანგის ერთ-ერთ გამორჩეული ლიდერი, რა ცვლილებებს ელოდებით მომავალი არჩევნების შემდეგ?**

— ჩვენ, ფაქტობრივად, დახურული გვაქვს საინფორმაციო ველი — ეს ერთგვარი ომია ჩვენ წინააღმდეგ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მივმართო სრულიად კონსერვატიულ საზოგადოებას, რომ დღეს პოლიტიკურ სპექტრში „ქართული იდეა“ ერთადერთი ძალაა, რომელიც არ იმართება სისტემის მიერ. ეს არის იმის მიზეზი, რომ სრულ საინფორმაციო ბლოკადაში ვართ. რაც შეეხება მოლოდინს, ვფიქრობ, **ერთ-ერთი უტყუარი ინდიკატორი იმისა, რომ არსებული პოლიტიკური სისტემა ძირგამომპალია, არის ის, რომ ლიბერალური დღის წესრიგის ორივე მხარე — ნაცებიც და ქოცებიც — კოლოსალურ თანხებს ხარჯავს წინასაარჩევნო კამპანიის საწარმოებლად. მათ, პრაქტიკულად, ათეულობით მილიონის დახარჯვა უწევთ ძალაუფლების შესანარჩუნებლად; მეორე მხარეს კი არის უფულო და უსახსრო ბანაკი, რომლის ერთადერთი ძალა საზოგადოების მხარდაჭერაა.** ისე, მოლოდინი ძირეული ცვლილებების დაწყებაზე გაცილებით დიდი იყო საზოგადოებაში, სანამ არსებობდა იმედი, რომ ეროვნული ძალები გაერთიანებას შეძლებდნენ. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა...

**— რამ შეუშალა ამ პროცესს ხელი?**

— ერთი რამის თქმა შემიძლია დანამდვილებით: „ქართულმა იდეამ“ და პირადად მე ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ერთობა შემდგარიყო. ამისთვის არაერთი შეხვედრა გავმართეთ. ჩვენ ყველა ჭეშმარიტ ეროვნულ ძალას, რომლებთანაც შესაძლებელი იყო გაერთიანება, ყოველგვარი ამბიციის გარეშე მოვუწოდებდით, რომ დიდი გაერთიანება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო და ვთავაზობდით წამყვან პოზიციებს.

**— რა გიპასუხეს?**

— სამწუხაროდ, ზოგი საერთოდ არ ჩაერთო არჩევნების ბატალიებში და ზოგმაც სულ სხვა, ე.წ. პრაგმატული გათვლა გააკეთა. შეუერთდა კონკრეტულ პარტიას, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია **ივანიშვილთან.** ახლა მათი დასახელებისგან თავს შევიკავებ, გამგები ისედაც გაიგებს... თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, **„ქართულმა იდეამ“ შეძლო თავისი გუნდის დაკომპლექტება ღირსეული მამულიშვილებით, რომლებსაც აქვთ საკმაო ავტორიტეტი, კომპეტენცია და, რაც მთავარია, სუფთა წარსული. მათ რამდენიმე დღეში წარვუდგენთ საზოგადოებას.** მომავალი პარლამენტი, დიდი ალბათობით, ყველაზე ოდიოზური იქნება, ვიდრე ოდესმე ჰყოლია საქართველოს. ამის თქმის საფუძველს მაძლევს თუნდაც ის, რომ ე.წ. ლიბერალური ფლანგი, რომელსაც ადრე მხოლოდ ნაცები და ქოცები წარმოადგენდნენ, ახლა უფრო ფართო სპექტრისაა... ეს ყველაფერი ივანიშვილის ინტერესშია და ამის უკან იმალება დიდი მზაკვრობა, **ამიტომ არის აუცილებელი ეროვნული ადამიანების ყოფნა მომავალ საკანონმდებლო ორგანოში, თუნდაც მინიმალური წარმომადგენლობით, რათა ჩანასახშივე მოხდეს ანტიქართული კანონპროექტების გამოვლენა და მათი ჩაგდება. სულ რაღაც, 20 ათასი ხმაა საჭირო, რომ „ქართული იდეა“ საპარლამენტო პარტია გახდეს, ხოლო 100 ათასი ხმის მიღების შემთხვევაში პარლამენტი ვერც ერთ სერიოზულ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს ქართული ეროვნული ინტერესების საზიანოდ.**

ამიტომ თქვენი გაზეთის მკითხველი ღირსეული საზოგადოების მხარდაჭერას ამ არჩევნებზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ვიქნებით ის ძალა, რომელიც არა მხოლოდ პარლამენტში ატეხავს განგაშს ამა თუ იმ მავნებლური კანონპროექტის გატანაზე, არამედ პარლამენტს გარეთაც ფართო სამოქალაქო ფრონტს გავშლით და ყველაფერს გავაკეთებთ ძირეული სისტემური ცვლილებებისთვის...

**— ე.ი., ქართული ინტერესების საზიანო კანონშემოქმედების ხელშემშლელი ძალა იქნებით?**

— ბოლო წლებში **საქართველო იქცა უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ინტერესების გადაკვეთის წერტილად და ტელემედიის მიერ წარმოდგენილი პოლიტიკური ძალები სწორედ უცხო ქვეყნების ინტერესების გამტარებელ მარიონეტებს წარმოადგენენ. ცხადია, ყველა იმ ინიციატივას თუ კანონპროექტს, მიმართულს ქართული ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის წინააღმდეგ, ჩანასახშივე ჩავშლით.**




**— თქვენს საარჩევნო პროგრამაზე ვისაუბროთ. თქვენ „ქართული იდეის“ საპარლამენტო სიის პირველი ნომერი ხართ. რას ჰპირდებით ამომრჩეველს? რა იქნება ის საწყისი ნაბიჯები, რომლებსაც პარლამენტში შესვლის შემთხვევაში გადადგამთ?**

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა კანონი მხოლოდ ქართველი ერის ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს. რაც შეეხება კონკრეტულად ჩვენს საარჩევნო პროგრამას, „ქართული იდეის“' 2020 წლის საარჩევნო პროგრამის ძირითადი ასპექტებია:

*** კონსტიტუციის 52-მუხლის მე-2 პუნქტში „რეფერენდუმის გზით კანონის მიღების ან გაუქმების წესის„ აღდგენა;**

* არსებული სახით ანტიდისკრიმინაციული კანონის, ასევე მშობლებისთვის შვილების ჩამომრთმევი იუვენალური იუსტიციისა და ე.წ. ბავშვთა უფლებების კოდექსის გაუქმება;

*** ჩვილთა მკვლელობის (აბორტის) აკრძალვა. დემოგრაფიული კრიზისიდან გამოსვლის მიზნით კი სახელმწიფოს მხრიდან სოციალური შეღავათებისა და დახმარების განსაზღვრა ახალდაქორწინებულებისა და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის;**

* მიწის, წყლის, ტყისა და სახელმწიფო სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების გასხვისებაზე უარის თქმა. უკანონოდ გასხვისებული წიაღისეულის და ბუნებრივი რესურსების ნაციონალიზაცია;

*** სოფლის შესანარჩუნებლად (განსაკუთრებით სასაზღვრო რეგიონებში) და ასაღორძინებლად სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა, სოფლის მეურნეობის დაზღვევა (აშშ, იაპონიის მაგალითზე) და სუბსიდირება, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება და მისი ექსპორტის ხელშეწყობა. შიდა ბაზარზე იმპორტირებული (უხარისხო) პროდუქციის ადგილობრივი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებით ჩანაცვლება;**

* მოქალაქეობის, ბინადრობისა და მიგრანტების მიღებაზე მკაცრი საემიგრაციო კონტროლის დაწესება;

*** ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფოს მიერ სუბსიდირება;**

* სააფთიაქო, სამშენებლო, საწვავისა და სხვა მონოპოლიების გაუქმება. ოფშორული კომპანიების ხელში არსებული ბიზნესების კანონიერების დადგენა და შესაბამისი ზომების მიღება;

*** ანაკლიის პორტის პოტენციალის სასწრაფოდ გამოყენება ჩვენი ქვეყნის მსოფლიო დონის ეკონომიკური და სტრატეგიული განვითარებისათვის;**

* საგანმანათლებლო პროცესში მართლმადიდებელი ეკლესიის ჩართულობის გაზრდა. განათლების სისტემის მაღალ სტანდარტებზე აყვანა, თანამედროვე და ფუნდამენტური მეცნიერებების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიულ პრიორიტეტად დასახვა;

*** თავისუფალი, მიუკერძოებელი და კვალიფიციური ჟურნალისტიკის განვითარებისთვის მასმედიის აღვირახსნილობის (სიცრუის, უზნეობისა და ცილისწამების ტირაჟირების) კანონიერ ჩარჩოებში მოქცევა;**

* აზარტული თამაშების, ნარკომანიისა და პროსტიტუციის ლეგალიზაციაზე უარის თქმა;

*** ნარკო და სექსტურიზმის რეგიონულ დერეფნად გადაქცევის ნაცვლად, საკურორტო-ბალნეოლოგიური, საოჯახო და მომლოცველობითი ტურიზმის განვითარება. საერთაშორისო სპორტული ღონისძიებების საქართველოში გამართვა;**

* ვეტერანებზე, შშმ პირებსა და სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე ზრუნვა;

*** ბანკების მიერ მოსახლეობის ძარცვისა და ქუჩაში გასახლების აღკვეთა;**

* დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფა;

*** გაბერილი ჯარიმების, საურავებისა და გადასახადების გონივრული განაკვეთის განსაზღვრა მოსახლეობის გადამხდელუნარიანობის გათვალისწინებით;**

* ღირსეული საპენსიო უზრუნველყოფა;

*** ორგზის პარლამენტარობის შემთხვევაში არჩევნებში შემდგომი მონაწილეობის აკრძალვა;**

* ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის წინააღმდეგ მოქმედი ანტისახელმწიფოებრივი სექტების ფუნქციობის შეჩერება. შეიარაღებულ ძალებში საყოველთაო გაწვევის კანონში ხარვეზების აღმოფხვრა და სამოქალაქო თავდაცვისუნარიანობის გაზრდა;

*** სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, თანამშრომლობა მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასა და საერთაშორისო ორგანიზაციასთან; ქვეყნის დეოკუპაციის მიზნით აფხაზებთან, ოსებთან და რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყება;**

* საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობისა და კულტურული ფასეულობების დაცვა და მოვლა-პატრონობა. დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსზე ისტორიული მესაკუთრეობის აღდგენა;

**— დასასრულ, საზოგადოებაში არსებულ განწყობებზეც გკითხავთ. იმის მიუხედავად, რომ არჩევნებში ეროვნული ძალები მონაწილეობენ და ამით არჩევანის რეალური ალტერნატივა არსებობს, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ნიჰილიზმი მაინც იგრძნობა... რით არის ეს უნდობლობა განპირობებული და რას ეტყვით იმ ადამიანებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ თუ ვერ გადაუწყვეტიათ, წავიდნენ თუ არა არჩევნებზე?**

— არ გვაქვს ილუზია, რომ ამ არჩევნებით პოლიტიკური დღის წესრიგი ძირეულად შეიცვლება, მაგრამ, თუ ჩვენ გავჩერდებით, ბოროტება კიდევ უფრო გაძლიერდება. ნიჰილიზმს რაც შეეხება, ნებისმიერი სახის ნიჰილიზმს დღეს საზოგადოებაში „ნაც-ქოცები“ აღვივებენ. დღევანდელ ვითარებაში თუ ვინმეს აძლევს ხელს ხელჩაქნეული საზოგადოება, ზუსტად ეს ორი მორალურად გაკოტრებული ძალაა. აი, ეს არის რეალობა და ამიტომ კიდევ ერთხელ მივმართავ ჩვენს საზოგადოებას: **„ქართული იდეისთვის“ ხმის მიცემა ნიშნავს მანკიერი პოლიტიკური სისტემის დემონტაჟის აქტიურ ფაზაში გადასვლას, რომელიც ჩვენი ბრძოლით, ძალისხმევითა და თავგანწირვით მივა თავის ლოგიკურ შედეგებამდე!**

**შემოხაზეთ №4!**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუკი ხედავ, რომ ოცდაათი წელიწადია, ქვეყანა თავზე გენგრევა, ტერიტორიებს კარგავ, მოსახლეობა მცირდება, ეკონომიკა გაჩანაგდა, მეცნიერება, ხელოვნება კვდება, სულიერება და ზნეობა მოირყა, ერი დეგრადაციის გზას ადგას და სრულმა დეკადანსმა მოიცვა, ჰო, თუკი ხედავ ყველაფერ ამას და არაფერს ცვლი, ისევ იმ გზას ადგახარ, რა გზამაც აქამდე მოგიყვანა და ისევ იმ მიმართულებით მიდიხარ, რომელმა მიმართულებამაც უფსკრულში გადაგჩეხა, რატომ უნდა გეშველოს?**

# «ოქროს კვეთა»



## ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია

### ოცდამესამე გადაცემა

# გვეშველება რამე? რატომ უნდა გვეშველოს?



**ვალერი კვარაცხელია:** — გამარჯობა ძვირფასო ტელემაყურებელო, ეთერშია გადაცემა „ოქროს კვეთა“, რომელსაც, როგორც ყოველთვის, გავუძღვები მე, ვალერი კვარაცხელია.

ჩვენმა დიდებულმა მსახიობმა **კახი კავსაძემ** რამდენიმე წლის წინათ ახალი სახუმრო თემა შემოიტანა.

— **გვეშველება რამე?** — დასვა მან შეკითხვა. უფრო სწორად, ხელი ჩაავლო ხალხში მოარულ შეკითხვას, რომელიც თავისთავად ღაღადებს იმაზე, რომ უმძიმესი ვითარება შექმნილი. **უნიჭიერესმა მსახიობმა დაიჭირა ის ვითარება, რომ უკვე ათეულობით წელიწადია, რაც ნირწამხდარი და სასოწარკვეთილი ქართველები შეხვედრისას ერთმანეთს კი არ ესალმებიან, შემზარავი შეკითხვით უყურებენ:**

— **გვეშველება რამე?**

ბატონმა კახიმ ხალხში მოარული ეს შეკითხვა პროფესიულ სამსახიობო დონეზე აიყვანა და მას მაღალი იუმორისტული ჟღერადობა მიანიჭა. მის მიერ ამ თემაზე აგებული მშვენიერი სახუმრო სიუჟეტის შემდეგ, შეკითხვამ ტრაგიკულთან ერთად კომიკური დატვირთვაც შეიძინა და ისეთი პოპულარული შეიქნა, რომ საქართველოში ადამიანი არ დარჩენილა, რომელსაც სადმე, რომელიმე კონტექსტში არ დაესვას, თუმცა ამით მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. საერთო ეროვნულ სატკივრად ქცეული ეს უმძიმესი შეკითხვა კვლავაც დამოკლეს ხმალივით კიდია საქართველოს თავზე.

— **გვეშველება რამე?**

მე სხვა კუთხიდან შევხედავ ამ საკითხს და შეკითხვას ასე შევაბრუნებ:

— **რატომ უნდა გვეშველოს?**

ოცდაათი წელიწადი ერთი თაობისთვის კი არა, ისტორიისთვისაც არ არის ცოტა. **თუკი ხედავ, რომ ოცდაათი წელიწადია, ქვეყანა თავზე გენგრევა, ტერიტორიებს კარგავ, მოსახლეობა მცირდება, ეკონომიკა გაჩანაგდა, მეცნიერება, ხელოვნება კვდება, სულიერება და ზნეობა მოირყა, ერი დეგრადაციის გზას ადგას და სრულმა დეკადანსმა მოიცვა, ჰო, თუკი ხედავ ყველაფერ ამას და არაფერს ცვლი, ისევ იმ გზას ადგახარ, რა გზამაც აქამდე მოგიყვანა და ისევ იმ მიმართულებით მიდიხარ, რომელმა მიმართულებამაც უფსკრულში გადაგჩეხა, რატომ უნდა გეშველოს?**

თუკი არ გინდა რომ გეშველოს, თუკი არაფერს აკეთებ იმისთვის, რომ გეშველოს, საიდან ელოდები შველას ან რატომ ელოდები, რომ გეშველება? ამიტომაა, რომ შეკითხვაში, რომელსაც წარამარა ვიმეორებთ, ლოგიკა არ ჩანს, მასში მხოლოდ უიმედობა, სასოწარკვეთილება, ხელჩაქნეულობა და საყოველთაო ნიჰილიზმი ჩანს.

ასე დაუპირისპირდა ერთმანეთს ორი შეკითხვა:

— **გვეშველება რამე?**

— **რატომ უნდა გვეშველოს?**

საზოგადოებრივი ცნობიერება მოჯადოებულია დასავლური ცხოვრების წესით. დასავლეთით მოჯადოება ახლა არ დაწყებულა, ამ ამბავს დიდი ხნის ისტორია აქვს და მან რამდენიმე ეტაპი გამოიარა.

პირობითად ეს ეტაპები შეიძლება ორ დიდ ნაწილად დავყოთ: **არადანაშაულებრივი ეტაპი** და **დანაშაულებრივი ეტაპი.** არადანაშაულებრივ ეტაპს მივაკუთვნოთ პროპაგანდისტული ეტაპი, დანაშაულებრივს კი — ფსიქიკაზე ზემოქმედების მეცნიერულად დამუშავებული მეთოდი, რომელიც დღემდე საიდუმლოა და გამოუსწორებლად აზიანებს ადამიანს, მის ფსიქიკას, მის ჯანმრთელობას, საზოგადოდ.

დასავლეთი ამ მეთოდებს, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული დღემდე, წარმატებულად იყენებს. **1942 წლის 24 თებერვალს მაუწყებლობა დაიწყო რადიოსადგურმა „ამერიკის ხმამ“. 1949 წელს კი ევროპაში დაარსდა რადიოსადგური „თავისუფლება“, როგორც ანტიკომუნისტური ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალება ცივი ომის პერიოდში. „თავისუფლების“ ცენტრალური ოფისი მიუნხენში მდებარეობდა.** საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რადიოს უპირატეს ზონად აღმოსავლეთი ევროპა იქცა და მისმა შტაბბინამ მიუნხენიდან პრაღაში გადაინაცვლა. რადიო „თავისუფლების“ უმთავრესი დევიზი მისსავე სახელში ჩანდა, **ხოლო რადიო „ამერიკის ხმა“ მაუწყებლობდა დევიზით: „ახალი ამბები შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი, ჩვენ კი სიმართლეს გეტყვით“.** შესანიშნავი დევიზი იყო, **ახალ ამბებში, რომლებსაც ისინი მსოფლიოში ავრცელებდნენ, მსმენელებს ყურადღება იმაზე კი არ უნდა გაემახვილებინათ, ეს ამბები კარგი იყო თუ ცუდი, არამედ იმაზე, რომ ყველაფერი, რაც ამ რადიოსადგურიდან ესმოდა, ბაჯაღლო ჭეშმარიტებას წარმოადგენდა.** საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამ დეზინფორმაციულმა მონსტრებმა ისე აიფარეს სახეზე თავისუფლებისა და სიმართლის ნიღაბი, რომ წარბიც არ შეტოკებიათ, მაგრამ მსოფლიოში, ალბათ, არც ერთი საინფორმაციო საშუალებიდან იმდენი სიცრუე და უსამართლობა არ გავრცელებულა, რამდენიც ამ რადიოსადგურებიდან ილვრებოდა, რომლებიც არსებობის არც ერთ მონაკვეთზე დამოუკიდებელი არ ყოფილან. „ამერიკის ხმა“ 1942-1945 წლებში აშშ-ის სამხედრო ინფორმაციის ოფისს ექვემდებარებოდა; 1945-1953 წლებში — სახელმწიფო დეპარტამენტს; 1953-1999 — წლებში ინფორმაციის სააგენტოს; 1999 წლიდან კი მას მაუწყებლობის მმართველთა საბჭო მართავს.

**ინტერნეტმასალებიდან:** — „ამერიკის ხმისთვის“ ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი ცივი ომი იყო. 1947 წლიდან დაიწყო გადაცემები რუსულ ენაზე. ამ პერიოდში რადიო აშშ-ის მთავრობის საგარეო პოლიტიკის ნაწილად იქცა, რომელიც ცდილობდა რკინის ფარდის მიღმა დარჩენილი ერების ინფორმირებას.

**ცნობიერებაზე მანიპულირების მძლავრი იარაღების გამოყენებით ამერიკელებმა მოახერხეს, რომ საქართველო საქართველოს ინტერესებისთვის დაეპირისპირებინათ. დღეს საქართველო საკუთარ თავს ებრძვის, ქართველები კი ერთმანეთს ვეკითხებით — გვეშველება რამე?**

**ვალერი კვარაცხელია:** — ხომ ხვდებით, რა კეთილშობილურ მიზნებს ემსახურებოდა „ამერიკის ხმა“ — რკინის ფარდის მიღმა დარჩენილი ერების ინფორმირებას. ინფორმირებად თუ ჩავთვლით მათ მიერ მიზანში ამოღებული ერების ცნობიერების მოწამვლას, მათ გაბრუებას „ამერიკული დემოკრატიისა“ და „ამერიკული თავისუფლების“ საკენკით, მაშინ ყველაფერი გასაგები ხდება. რა თქმა უნდა, ნათელია, რომ „ერების ინფორმირების“ ქვეშ ისინი სწორედ იმას გულისხმობდნენ, რაც **ალენ დალესის** მიერ საბჭოთა კავშირში ამერიკული სპეცსამსახურების სამოქმედო დოქტრინის სახით მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ჩამოყალიბდა.

**ალენ დალესი, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსი: — მწერლობა, თეატრი, კინო, გამოცემები უნდა გამოსახავდნენ და ქებას ასხამდნენ ადამიანის ყველაზე მდაბალ გრძნობებს. ჩვენ ყველანაირად დავუჭერთ მხარს და წინ წამოვწევთ ისეთ ხელოვანთ, რომლებიც ადამიანთა ცნობიერებაში დაამკვიდრებენ სექსის, ძალადობის, გარყვნილების კულტს, ერთი სიტყვით, ყოველგვარ უზნეობას.**

**ვალერი კვარაცხელია:** — აი ამგვარ მიზნებს ისახავდნენ ისინი და მათ ამ მიზნების მისაღწევად მრავალი მიუღებელი და დანაშაულებრივი მეთოდი გამოიყენეს. 1950 წლის სექტემბერში ამერიკულ პრესაში გამოქვეყნდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოპერატიული მუშაკის, **ედვარდ ჰანტერის,** სენსაციური სტატია „ტვინის რეცხვის ტაქტიკა“, ▶

**ამერიკელები საქართველოში ხელისუფლებას პერიოდულად ცვლიან — ხან სახელმწიფო გადატრიალებით, ხან «ფერადი რევოლუციით», ხან არჩევნებით, მაგრამ არ ცვლიან მიმართულებას, რომელსაც მე დასავლურ ხაფანგს დავარქმევდი, რომელშიც ორივე ფეხით გავებით და, ოცდაათი წელიწადია, უმწეოდ ვფართხალებთ. გზა ჭეშმარიტებისა უარვყავით, გზას სიცრუისა შევუდექით და ახლა, თავგზააბნეულნი, ერთმანეთს ვეკითხებით — გვეშველება რამე? ჩვენივე შინაგანი ხმა კი, თითქოს ცივი წყალი გადაგვასხაო, ნაღვლიან შეკითხვას გვიპირისპირებს — რატომ უნდა გვეშველოს?**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიოში, ალბათ, არც ერთი საინფორმაციო საშუალებიდან იმდენი სიცრუე და უსამართლობა არ გავრცელებულა, რამდენიც ამ რადიოსადგურებიდან იღვრებოდა, რომლებიც არსებობის არც ერთ მონაკვეთზე დამოუკიდებელი არ ყოფილან. „ამერიკის ხმა“ 1942-1945 წლებში აშშ-ის სამხედრო ინფორმაციის ოფისს ექვემდებარებოდა; 1945-1953 წლებში — სახელმწიფო დეპარტამენტს; 1953-1999 წლებში ინფორმაციის სააგენტოს; 1999 წლიდან კი მას მაუწყებლობის მმართველთა საბჭო მართავს.**

◀ სადაც მოთხრობილი იყო შოკისმომგვრელი ისტორია ადამიანთა ფსიქიკასა და ცნობიერებაზე ზემოქმედების მექანიზმების ძიების ისტორიიდან. იმავე ავტორის მიერ მოგვიანებით გამოცემულ წიგნებში მოთხრობილია ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორ ალენ დალესისა და ფსიქიატრიის პროფესორ **ევენ კამერონის** დანაშაულებრივ კავშირებზე.

**ედვარდ ჰანტერი, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოპერატიული მუშაკი:** — კამერონმა, რომელსაც ბრწყინვალე სამედიცინო განათლება ჰქონდა, მიზნად დაისახა ადამიანის აზროვნებისა და ქცევის კონტროლისა და მართვის მექანიზმის შექმნა.

**ვალერი კვარაცხელია:** — ეს ყველაფერი გასული საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო. ამ მიმართულებით მუშაობა დღემდე არ შეუწყვეტიათ. ადვილი წარმოსადგენია, რა დონეზე იქნება ეს საქმე დღეს, თუკი გავითვალისწინებთ, რომ საგრძნობი შედეგები თავიდანვე იქნა მიღწეული. უფრო სრული სურათი რომ შეგვექმნას, რას წარმოადგენს ამერიკელთა მიერ შექმნილი ეს მონსტრი იარაღი, კიდევ ერთ წინადადებას მოგაწვდით ედვარდ ჰანტერის მონათხრობიდან.

**ედვარდ ჰანტერი:** — პაციენტები გადიოდნენ კურსის სამ სტადიას. პირველ სტადიაზე ისინი კარგავდნენ მეხსიერების უდიდეს ნაწილს. მეორე სტადიაზე ისინი კარგავდნენ წარმოდგენას დროისა და სივრცის შესახებ, თუმცა რაღაცას მაინც ინახავდნენ მეხსიერებაში. მათ აღარ შეეძლოთ ეპასუხათ შეკითხვაზე, სად იმყოფებოდნენ. ეს მათში იწვევდა ძლიერ გაღიზიანებასა და შეშფოთებას. მესამე სტადიაზე შფოთვა და გაღიზიანებაც ეხსნებოდათ, ვინაიდან დგებოდა მეხსიერების სრული წაშლისა და ყველაფრის დავიწყების მომენტი. ამ პროგრამებს ერქვა **ARTICHOKE** და **MK Ultra.**

**ვალერი კვარაცხელია:** — დააკვირდით და აღმოაჩენთ, რომ **ბოლო ოცდაათი წელიწადის განმავლობაში ქართული ეროვნული ცნობიერება ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს იმ საშინელი პროგრამების — ARTICHOKE და MK Ultra-ს — გავლენის ქვეშ მყოფ ცნობიერებას ჰგავს, მეხსიერებაწაშლილს, გაბრუებულსა და გარედან მართულს.**

ასე მიაღწიეს მათ თავიანთ მიზნებს. **საბჭოთა კავშირი დაშალეს, სოციალისტური სისტემა დაანგრიეს და საზოგადოებას, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მაღალი სოციალური დაცულობისა და სამართლიანობის ვითარებაში ცხოვრობდა, ნამდვილი ჯოჯოხეთი მოუწყვეს. ხალხს კი დღემდე ჩასჩიჩინებენ, საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის დანგრევით ნანატრი თავისუფლება მოიპოვეთო. არის დღეს საქართველო მზად ამ ჭეშმარიტების გასაგებად და მისაღებად?** ჩემი აზრით, არა!

ამიტომაც მოხდა ის, რომ ქართულ სინამდვილეში ასე საბედისწეროდ დაუპირისპირდა ერთმანეთს ორი შეკითხვა:

**— გვეშველება რამე?**

**— რატომ უნდა გვეშველოს?**

მართლაც **რატომ უნდა გვეშველოს, სანამ იმ ჭეშმარიტებას ვერ გავაცნობიერებთ, რას გვიმზადებდა დასავლეთი ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როდესაც საბჭოთა ხალხის ცნობიერებას „ამერიკის ხმითა“ და „თავისუფლების“ მონაჭორ-მონაჩმახით წამლავდა, საზოგადოებრივ ცნობიერებაზე და თითოეული ჩვენგანის ცნობიერებაზე ბოროტგანზრახული მეცნიერული მეთოდებით მანიპულირებდა და დისტანციურად გვმართავდა?**

დღევანდელი ჩვენი მდგომარეობის სირთულე ჩვენი ცნობიერების მოჯადოებული ველიდან გამოსვლის შეუძლებლობაში კი არ არის, უფრო იმ ჯაჭვურ რეაქციაშია, რომელიც ამ ველიდან გამოსვლის მცდელობას აუცილებლად მოჰყვება.

დააკვირდით: **დასავლური პროპაგანდისა და მათი მთავარი რუპორების — „ამერიკის ხმისა“ და „თავისუფლების“ მავნებლობას თუ გავაცნობიერებთ და დავგმობთ, ასეთ შემთხვევაში, თავისუფლებისთვის ჩვენი ოცდაათწლიანი ბრძოლის არა მხოლოდ უნაყოფობის, არამედ სრული აბსურდულობის აღიარებაც მოგვიწევს, ვინაიდან ეგ „თავისუფლება“ ამერიკელების მიერ შექმნილი სატყუარა იყო, მათსავე ანკესზე წამოსაგებად ჩვენთვის გადმოგდებული.** არაფერი გასათავისუფლებელი საბჭოთა კავშირში შემავალ ერებს არ სჭირდათ, ვინაიდან ისინი უკვე გათავისუფლებულნი იყვნენ სოციალური ჩაგვრისგან, ექსპლოატაციისა და უსამართლობის კაპიტალისტური მარწუხებისგან. მძიმე შეცდომათა აღიარებისა და მწარე რეალობის დანახვის ამ უცნაურ ჯაჭვს უფრო შორსაც მივყავართ. დასავლური პროპაგანდის აქაური დამქაშების, ე.წ. საბჭოთა დისიდენტების საქმიანობის დაგმობაც მოგვიწევს. **ამ ლოგიკურ ჯაჭვს თუ გავყვებით, საბოლოო ჯამში, ეროვნული მოძრაობის დაგმობაც არ დააყოვნებს, ვინაიდან ამ მოძრაობის ლიდერებად სწორედ საბჭოთა დისიდენტები გვევლინებოდნენ, რომლებიც პირდაპირ დასავლეთიდან იმართებოდნენ. ამიტომაც იყო, რომ ეს ეროვნული მოძრაობა მხოლოდ ფორმით იყო ეროვნული, შინაარსით კი — თხემით ტერფამდე დასავლური მოვლენა და მისი პროპაგანდის შემადგენელი ნაწილი.**

შეუძლებელია, დასავლურ ვერაგობასა და პოლიტიკურ სიბინძურეს აცნობიერებდე, ხოლო იმ ვერაგობისა და სიბინძურის ადგილობრივ წარმომადგენლებს, რომელთა ხელითაც ეს ეპოქალური სიცრუე და უფსკრულისკენ გზიდავს, სულმნათებს უწოდებდე, აფეთიშებდე და ეროვნულ გმირებად რაცხდე. აი, სად არის სი**რთულე, რომლის დასაძლევადაც არც საქართველო და არც ქართველი ხალხი ჯერჯერობით მზად არ არის. იმ შემთხვევაში, როდესაც დღევანდელი ხასმა და ავადმყოფობის აღიარება არ შეგვიძლია, არც იმის იმედი უნდა გვქონდეს, რომ ოდესმე მაინც გვეშველება. იმ ე.წ. ეროვნული მოძრაობიდან**

**აზერბაიჯანისადმი თურქეთის ასე შეუფარავი მხარდაჭერა ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკელები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამოყენებით თურქეთის სამხედრო ბაზების განლაგებას გეგმავენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ნატო ავტომატურად აღმოჩნდება კასპიის ზღვაზე? ეს მარტივად არ მოხდება. ეს რუსეთსა და თურქეთს შორის ომის მიზეზიც კი შეიძლება იყოს, რაც, საბოლოო ჯამში, მსოფლიო ომს ნიშნავს, მაგრამ უკვე საბოლოოდ შეშლილ აღმოსავლეთსა და დასავლეთს, როგორც ჩანს, არც ეს აკავებს**



**მრავალმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ მცდარი მიმართულება დღემდე უცვლელი რჩება. ამ მიმართულებას დასავლური არჩევანი, დასავლური გზა და ვექტორი ჰქვია.**

ამერიკელები საქართველოში ხელისუფლებას პერიოდულად ცვლიან — ხან სახელმწიფო გადატრიალებით, ხან „ფერადი რევოლუციით“, ხან არჩევნებით, მაგრამ არ ცვლიან მიმართულებას, რომელსაც მე დასავლურ ხაფანგს დავარქმევდი, რომელშიც ორივე ფეხით გავებით და ოცდაათი წელიწადია, უმწეოდ ვფართხალებთ. გზა ჭეშმარიტებისა უარვყავით, გზას სიცრუისა შევუდექით და ახლა, თავგზააბნეულნი, ერთმანეთს ვეკითხებით — გვეშველება რამე? ჩვენივე შინაგანი ხმა კი, თითქოს ცივი წყალი გადაგვასხაო, ნაღვლიან შეკითხვას გვიპირისპირებს — რატომ უნდა გვეშველოს?

ასეთია მეტისმეტად არასახარბიელო ვითარება, რომელშიც აღმოვჩნდით.

**პროცესები, რომლებიც სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირში (შიგნით) დაიწყო, არამხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაც იყო, მაგრამ ცნობიერებაზე მანიპულირების მძლავრი იარაღების გამოყენებით, რომელთა შესახებაც ზემოთ მოგახსენებდით, ამერიკელებმა მოახერხეს, რომ საქართველო საქართველოს ინტერესებისთვის დაუპირისპირებინათ. დღეს საქართველო საკუთარ თავს ებრძვის, ქართველები კი ერთმანეთს ვეკითხებით: გვეშველება რამე?**

ბოლო პერიოდის მაგალითები ავიღოთ:

კვირაზე ცოტა მეტი გავიდა, რაც აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ომი დაიწყო. საქართველო გარეგნულად ნეიტრალიტეტს იცავს და დაპირისპირებულ სახელმწიფოებს მოლაპარაკებებისთვის საკუთარ ტერიტორიასაც კი სთავაზობს, მაგრამ რეალურად, არ არის გამორიცხული, სხვა თამაშს თამაშობდეს. **ეჭვს იმაზე, რომ საქართველო, შესაძლებელია, თურქეთს აზერბაიჯანისკენ დერეფანს უხსნიდეს და სამხედრო ტვირთებს ატარებდეს, მხოლოდ პრესაში გამოთქმული ან ხალხში მოარული ვარაუდები კი არ განაპირობებს, არამედ ის კონკრეტული ქმედებები, რომლებიც დროში უცნაურად ემთხვევა ერთმანეთს.**

**IMEDINEWS.GE: — (29 სექტემბერი)** საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესი და შავი ზღვის უსაფრთხოება იყო ძირითადი თემები საქართველოს პრემიერმინისტრ **გიორგი გახარიასა** და ნატოს გენერალურ მდივან **იენს სტოლტენბერგის** შეხვედრაზე, რომელიც დღეს ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა.

**ვალერი კვარაცხელია: — ეს შეხვედრა 29 სექტემბერს გაიმართა. აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებიდან მეორე დღეს. როგორ ფიქრობთ, ეს დამთხვევა იყო თუ გახარიას სასწრაფო სპეციალური გამოძახება მისთვის საგანგებო დავალებების მისაცემად?** წინა გადაცემაში ვთქვი და დღესაც გავიმეორებ: **ეს ჩვენი გახარია, ამ გაგანია კორონავირუსის პირობებში, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის გაჩაღებული ომის ფონზე, ბრიუსელს ეწვია და პირდაპირ ნატოს შტაბ-ბინაში შეიჭრა. საქართველოს პრემიერმინისტრმა, როგორც ჩანს, გაეროს წინაშე დადებული ფიცი არ იკმარა და სიხარულისგან თვალებზე კურცხალმომდგარ იენს სტოლტენბერგს რუსეთის გულის გასახეთქად კიდევ ერთხელ შეჰფიცა მარადიული სიყვარული.**

რას ნიშნავს რუსეთის გულის გასახეთქად ნატოსთვის ფიცის მიცემა?

*** საერთოდ, რა ხდება კავკასიაში და მაინცდამაინც ახლა რატომ განახლდა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ოცდაათი წლის წინათ დაკონსერვებული შეიარაღებული კონფლიქტი?**

*** რატომ დაემთხვა ეს ყველაფერი ბელარუსში ვითარების არევას და ამერიკული „ფერადი რევოლუციის“ აქტიურ ფაზაში შესვლის პროცესს?**

*** ხომ არ არის ეს რუსეთისთვის ფორსირებული შეტევის ერთიანი ფრონტი?**

*** ხომ არ ამზადებენ საქართველოს ამ ფრონტში აქტიური მონაწილეობისთვის და სწორედ ამას ხომ არ უკავშირდებოდა გახარიას გამოძახება ნატოს შტაბ-ბინაში?**

ეს ის შეკითხვებია, რომლებზეც, მთლიანობაში გააზრების გარეშე, ცალ-ცალკე პასუხის გაცემა შეუძლებელია.

ამ გადაცემაში კიდევ რამდენიმე შეკითხვას დავსვამ. მანამდე კი განვიხილოთ, რა პროცესები შეიძლება იყოს დაკავშირებული სომხეთ-აზერბაიჯანს შორის შეიარაღებული კონფლიქტის განახლებასთან.

კასპიის ზღვა და მიმდებარე სახელმწიფოები საოცრად მდიდარი და გეოპოლიტიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი რეგიონია. **კასპიისპირა სახელმწიფოებია: რუსეთი, ირანი, ყაზახეთი, თურქმენეთი და აზერბაიჯანი, რაც იმას ნიშნავს, რომ არც აშშ-ს, არც ევროკავშირსა და არც ნატოს კასპიის ზღვასთან ხელი არ მიუწვდებათ. გასასვლელი კასპიის ზღვაზე მათი ლაჟვარდოვანი ოცნებაა, რადგან კარგად ახსოვთ, რა უზარმაზარ უპირატესობას აძლევდა კასპიის ზღვა საბჭოთა კავშირს, როდესაც კასპიისპირა ოთხი სახელმწიფო მოკავშირე რესპუბლიკებს წარმოადგენდა და კასპიის ზღვას თითქმის მთლიანად ფლობდა, ირანული ნაწილის გამოკლებით.**

**აზერბაიჯანისადმი თურქეთის ასე შეუფარავი მხარდაჭერა ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გამოყენებით ამერიკელები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თურქეთის სამხედრო ბაზების განლაგებას გეგმავენ, რომ ნატო ავტომატურად აღმოჩნდეს კასპიის ზღვაზე? ეს მარტივად არ მოხდება. ეს რუსეთსა და თურქეთს შორის ომის მიზეზიც კი შეიძლება იყოს, რაც, საბოლოო ჯამში, მსოფლიო ომს ნიშნავს, მაგრამ უკვე საბოლოოდ შეშლილ აღმოსავლეთსა და დასავლეთს, როგორც ჩანს, არც ეს აკავებს.**

ასეთ შემთხვევაში რა როლს დააკისრებს დასავლეთი საქართველოს? **თუკი დასავლეთი, როგორც ყოველთვის, საქართველოს სახიფათო და საკუთარი თავის საზიანო მდგომარეობაში ჩაყენებას გადაწყვეტს, საქართველოს ხელისუფლებას ეყოფა ძალა წინააღმდეგობის გასაწევად? თუ ისევე მოიქცევა, როგორც ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში იქცეოდა და დასავლეთის ინტერესების დასაცავად კვლავ საკუთარ თავთან და საკუთარ ხალხთან დაპირისპირებას ამჯობინებს?** ეს ის შეკითხვებია, რომლებზე პასუხის გაცემას არ ვიჩქარებ, დაე, დრომ დაგვანახოს ყველაფერი, თუმცა ისიც დასაფიქრებელია, დაგვიანებული არ აღმოჩნდეს თითზე კბენანი, რომელსაც, როგორც ჩანს, ვერ ავცდებით. ჰო, დაგვიანებული, ისევე, როგორც ის ყბადაღებული შეკითხვაა დაგვიანებული:

**— გვეშველება რამე?**

ასეთი იყო დღეს „ოქროს კვეთა“, მომავალ შეხვედრამდე!

P.S. არჩევნები ახლოვდება. შინ და გარეთ ვითარება იძაბება. კორონავირუსი ცალკე გვიტევს, მაგრამ ქართველ პოლიტიკოსებს არჩევნებმა, პანდემია კი არა, საკუთარი თავიც დაავიწყა. თავდავიწყება სიტყვიერ და ფიზიკურ დაპირისპირებაში, მუქარებსა და ქვების სროლაში გადადის. სიტყვით ყველა საქართველოს მშვიდობს იფიცებს, მაგრამ საქმით კვლავაც საქართველოს ებრძვის და დასავლეთის ინტერესებს ემსახურება.

დღევანდელი ქართველი პოლიტიკოსები ისე საოცრად ჰგვანან საბჭოთა დისიდენტებს, როგორც დღევანდელი საინფორმაციო საშუალებები ჰგავს „ამერიკის ხმისა“ და „თავისუფლებას“. ნუთუ არსად წავსულვართ და იქვე ვდგავართ, სადაც ვიდექით, თუ პოლიტიკური დეჟავიუ ისე მოგვეძალა, რომ რეალობის შეგრძნება მთლიანად დავკარგეთ? ნუთუ...

**ვალერი კვარაცხელია**

## კონფლიქტის ზონასთან ახლოს

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზესახელმწიფოები ამიერკავკასიაში მხოლოდ საქართველოთი არ არიან დაინტერესებულები და იმის გათვალისწინებით, რომ ტერიტორია სამ სახელმწიფოზეა გადანაწილებული, სამივეს ხელში ჩაგდება სურთ, სწორედ ტერიტორიის და არა იქ მცხოვრები ადამიანების, რადგან ჩვენ ზედმეტი ბარგი ვართ, არაფერში ვჭირდებით და ამიტომაც იყო, აგვისტოს ომში მხოლოდ პამპერსი და წყალი რომ მოგვაშველეს, ისიც მოგვიანებით. სომხეთსა და აზერბაიჯანსაც ანალოგიური ჰუმანიტარული დახმარება ელით.**

**ჩვენს მეზობლად, სამწუხაროდ, ომია გაჩაღებული. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ტექნიკის გამოყენებით — უპილოტო თვითმფრინავებით, ტანკებითა და საზენიტო მოწყობილობებით აზერბაიჯანი და სომხეთი ერთმანეთის ცოცხალ ძალასა თუ ჯავშანტექნიკას ანადგურებენ და, ჩანს, გაჩერებას არ აპირებენ. ყოველ შემთხვევაში, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა არაერთხელ თქვა: სანამ ბოლოში არ გავალთ, არ გავჩერდებითო. ბოლო მთიანი ყარაბაღის დაბრუნებაა, ტერიტორიის, რომელსაც, რამდენიმე წელია, მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა ჰქვია, თვითგამოცხადებული ხელისუფლება ჰყავს და რეალურად სომხეთი აკონტროლებს. აზერბაიჯანი მას საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევს და ამაში გაეროც ეთანხმება და გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ჩარევა რომ მოისურვოს, მხარე უნდა დაიჭიროს, აზერბაიჯანის მხარე.**

# დასავლეთი ჩვეული სქემით ცდილობს, ხელი მოითბოს სომხეთ-აზერბაიჯანის ომზე

## რიგითი მოქალაქეები ამ ომიდან უბედურების მეტს არაფერს ელიან, დასავლეთში კი სარგებლის მიღება სურთ




**ჯერ იარაღს შეასყიდვინებენ ორივე მხარეს, მერე, თუ ომი დასრულდება, ახალი ომის შიშით მეტ იარაღს მოამარაგებინებენ, მერე მაცივრებში წლობით შენახულ ვადაგასულ პროდუქტებს დაურიგებენ, თან დაამადლიან, თან გადასაყრელად გამზადებულ ნაგავს, პრაქტიკულად, გაყიდიან (ჩვენი ჯარი ომის შემდეგ 10-15 წლის გაყინულ თევზსა და ხორცს ჭამდა, ევროპა-ამერიკიდან შემოტანილს) და სხვისი უბედურების ხარჯზე ისეთ ნირვანას მოიწყობენ, თქვენი მოწონებული**

დღევანდელი მდგომარეობით, მთიან ყარაბაღში 150 ათასამდე სომეხი ცხოვრობს და სომხეთის პრეზიდენტიც ამბობს, ჩემს მოქალაქეებს ვიცავო. საზოგადოდ, ომი ძალიან ცუდია, განსაკუთრებით — როცა მეზობლად არის და, როგორც წესი, მას უამრავი ახალგაზრდის სიცოცხლე ეწირება.

ასეთ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია მართებული პოზიციის დაკავება, სიტყვების შერჩევა, ქმედება და, რა თქმა უნდა, ფიქრი იმაზე, რომ საქართველოს საზღვრიდან რამდენიმე კილომეტრში მიმდინარე ომმა უშუალოდ საქართველოც არ დააზიანოს. ამის მიუხედავად, ოპოზიციამ ხელისუფლებას მყისიერი ქმედებისკენ მოუწოდა, აქაოდა, უშიშროების საბჭო მოიწვიეთ, რამე მოიმოქმედეთო.

სერიოზული ეჭვი გვაქვს, პრეზიდენტად ისევ მიხეილ სააკაშვილი რომ გვყავდეს, საქართველო ომში ჩაერთვებოდა და სააკაშვილი ჩვენს ჯარისკაცებს აომებდა. ახლა არ თქვათ, სხვის ომში არ იბრძვიან ჩვენი ბიჭებიო. **სამხრეთ აფრიკაში ქართველი კაცი საომრად რომ წავა და ეს სახელმწიფო ინტერესის დონეზე იქნება აყვანილი, ცოტა არ იყოს, სასაცილოა. აფრიკაში თურმე იმიტომ ვიბრძვით, რომ ნატოს წევრობა გვინდა, თუმცა ჯერჯერობით ნატოს კარს არავინ გვიღებს და აკი წამოსცდათ კიდეც რამდენჯერმე: დროა, საქართველომ და უკრაინამ საერთო სამხედრო კავშირზე იფიქრონ, ნატოში შესვლა გაუჭირდებათო.** შესაბამისად, საქართველომ აზერბაიჯანისა და სომხეთის დაპირისპირებაში, დიდი-დიდი, მედიატორის როლი უნდა შეასრულოს და არ აჰყვეს არც ოპოზიციის მოწოდებას, — არიქა, რამე იღონეთო, არც დასავლელ პარტნიორებს, რომლებსაც ამ საკითხზე თავიანთი მოსაზრება და ამ მოსაზრებაში საქართველოს როლი უკვე გაწერილი ექნებათ. **ახლა, ამ ერთხელ მაინც, ხელისუფლებამ მხოლოდ საქართველოზე უნდა იფიქროს, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებაზე და არა იმაზე, როგორ ისარგებლონ სხვა ძალებმა საქართველოს დაუფიქრებელი ქმედებებით.** მცირე ოპტიმიზმის საფუძველს ის გვაძლევს, რომ როგორც სომხურმა, ისე აზერბაიჯანულმა მხარემ სცადა ჩვენი ჩათრევა კონფლიქტში (სომხების მიერ ჯავახეთში თურქული ტრაილერებისთვის გზის გადაკეტვა და შიდა ქართლში სომხეთისკენ მიმავალი ინტერნეტ-კაბელის გადაჭრა), მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს არ გამოუვიდათ.

**როგორც კი კონფლიქტი დაიწყო და პირველი ტყვია გავარდა, ვიმედოვნებდით, რომ დასავლეთი ვითარების გამწვავებას არ დაელოდებოდა და მაშინვე შეეცდებოდა მხარეების დაშოშმინებას, მაგრამ ომის დაწყებიდან მესამე დღეს, მაშინ, როცა ორივე მხარემ გარდაცვლილთა შესახებ პირველი მონაცემები გამოაქვეყნა, როცა ინტერნეტით ვიხილეთ აფეთქებული ტანკები და დახოცილი ხალხი, ამიერკავკასიაში ნატოს წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ ბრიფინგი გამართა და შეწუხებული სახით თქვა: ნატო მიმდინარე მოვლენებით შეშფოთებულია და ამას ვადასტურებო.**

ისე როგორ იქნებოდა, ნატოს ოფიციალური შეშფოთების შემდეგ ევროკავშირს აღშფოთება არ გამოეხატა და ასეც მოხდა — ევროკავშირის წევრი ქვეყნების მინისტრებმა თუ პირველმა პირებმა სასხვათაშორისოდ თქვეს: შეშფოთებულები ვართ, ეს რა ხდებაო. ჰო, სწორედ რომ სასხვათაშორისოდ, რადგან, რეალურად, მათზე მეტად შეფოთებული საქართველოს თითოეული მოქალაქეა, მაგრამ არაფრის შეცვლა არ ძალუძს და მხოლოდ მოვლენების განვითარებას ადევნებს თვალს. **რიგით მოქალაქეებსა და ევროპელ ლიდერებს შორის განსხვავება ის არის, რომ რიგითი მოქალაქეები ამ ომიდან უბედურების მეტს არაფერს ელიან, დასავლეთში კი სარგებლის მიღება სურთ.** ამაზე ოდნავ ქვემოთ, მანამდე ამერიკაზეც ვთქვათ. ოკეანის გაღმიდან დონალდ ტრამპმაც მოგვაწვდინა ხმა და, სავარაუდოდ, იმიტომ, რომ მას და მის პირმშვენიერ მეუღლეს ვირუსი დაუდასტურდათ, ხმა ცოტა სუსტი იყო. მოკლედ, ამერიკის პირველმა პირმა ერთ ამოსუნთქვას ამოაყოლა: მოლაპარაკების მაგიდასთან დასხედით, მეც შეშფოთებული ვარო და პლაქვენილის მისაღებად გაეშურა.

ყველაფერი იქით მიდის, რომ ორი სახელმწიფო არ გაჩერდება და ერთმანეთს როგორც ცოცხალ ძალას, ისე საკუთარ ეკონომიკას შეაკლავს. ისინი აუცილებლად დასუსტდებიან, რადგან ომის წარმოება არ არის იაფი და ყოველდღიურად რამდენიმე ათეულ მლნ დოლარის ხარჯვასთან არის დაკავშირებული. ჰო, სოროსის ფონდის დაფინანსებით მოსულდგმულე სომხეთის მთავრობა (რევოლუციის შემდეგ ისინი ზუსტად ისეთ გზას გადიან, როგორიც ნაციონალებმა გაგვატარეს) ისევ სოროსის იმედად არის, მაგრამ, მანამ არ გეტკინოთ არაფერი, სანამ სოროსმა საბრძოლო ტექნიკასა და იარაღში ფული არ ჩადოს. მას ექსპერიმენტები სჭირდება და ამიტომ ამ მიმართულებით აბანდებს თანხებს და ეს ექსპერიმენტები კი ადამიანის ქვეცნობიერის შეცვლასა და გადაგვარებას ემსახურება. თუმცა შეიძლება, ომი სოროსელებისთვისაც აუცილებელი იყოს, ჩვენც ხომ გვაომეს 2008-ში და მერე დაწყებული ექსპერიმენტი წარმატებით განაგრძეს?!

როგორც ჩანს, **ზესახელმწიფოები ამერკავკასიაში მხოლოდ საქართველოთი არ არიან დაინტერესებულები და იმის გათვალისწინებით, რომ ტერიტორია სამ სახელმწიფოზეა გადანაწილებული, სამივეს ხელში ჩაგდება სურთ, სწორედ ტერიტორიის და არა იქ მცხოვრები ადამიანების, რადგან ჩვენ ზედმეტი ბარგი ვართ, არაფერში ვჭირდებით და ამიტომაც იყო, აგვისტოს ომში მხოლოდ პამპერსი და წყალი რომ მოგვაშველეს, ისიც მოგვიანებით.** ეჭვი გვაქვს, სომხეთსა და აზერბაიჯანსაც ანალოგიური ჰუმანიტარული დახმარება ელით. ეს ომი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დასრულდება ან კონფლიქტი დაკონსერვდება და დაპირისპირებულ მხარეებს შორის გაეროს სამშვიდობოები ჩადგებიან. **ეკონომიკაჩამოშლილ, ყველა მიმართულებით დასუსტებულ სახელმწიფოებს საერთაშორისო ფონდები „დახმარების“ ისეთ ხელს გაუწვდიან, როგორსაც ქართული ბანკები უწვდიან ხოლმე კრედიტორებს და შემდეგ უმარტივესად დაიმონებენ ფინანსურად მათზე დამოკიდებულ ქვეყნებს.** რაც მთავარია, ფინანსური რესურსის გარდა, სომხეთსა და აზერბაიჯანს ადამიანური რესურსის დეფიციტი დაუდგებათ, რადგან ის ახალგაზრდა ბიჭები, რომლებიც დღეს ომში იღუპებიან, ქვეყნის მომავალია, მათ უნდა შეექმნათ, მათ უნდა ეშრომათ და ახლა ამ ადამიანურ რესურსს ტყვია იწირავს.

**მერე აუცილებლად იქნება ჟენევის ფორმატის მსგავსი, იპოვნიან აზერბაიჯანელ და სომეხ „ზურაბ აბაშიძეს“, რომელიც თვეში ერთხელ ივლის ჟენევაში ჩვენს ხარჯზე, გაუთავებლად იმსჯელებს “რიგ საკითხებზე” და რეალური ძვრა კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით იქნება ნული. სამაგიეროდ, ქვეყნის კონსტიტუციას, უკვე ადგილობრივი კანონმდებლები კი არა, ამერიკის ელჩი დაუწერთ ევროპელი ელჩების თანხლებით (როგორც ჩვენთან). ისინი გადაუწყვეტენ, რომელმა პარტიამ რამდენი პროცენტი უნდა მიიღოს არჩევნებში და ვინ უნდა იყოს ქვეყნის სათავეში.** ჰო, აუცილებელი პირობა იქნება რუსეთის ოკუპანტად მოხსენიება. მერე რა, რომ ამ ომში რუსეთი არ ერევა?! რუსეთის ფედერაციის პირველი პირი განცხადებით შემოიფარგლა და შუამავლის როლს დასთანხმდა. სამაგიეროდ, თურქეთი ჩაერია ღიად, მაგრამ არა უშავს, თურქეთზე, თურმე, ხსნილი ყოფილა. **შედეგად, კავკასია წავა ერთ წრეზე ერთი და იმავე ადამიანების გარშემო. გვეცოდინება, რომ ჩვენი ხსნა არის ნატოსა და ევროკავშირში, თუმცა იქ არასოდეს არ მიგვიღებენ. გვექნება ზუსტად იმდენი შემოსავალი, რომ მშივრები არ დავიხოცოთ** (რამდენიმე ათეულს თუ ასეულს შიმშილით თუ გაძვრება სული, არც ეგაა პრობლემა), სამივე სახელმწიფოს მოსახლეობა იცხოვრებს, პრაქტიკულად, ერთნაირად და ერთნაირი პრობლემები ექნებათ. **შესაძლოა, დილაობით ამერიკის საელჩოსთან „პოლიქრონიონ“ გვაძახებინონ და მერე დაიწყოს ვინმე წვეროსანმა ან უწვერომ: „მომძღვნელმან ჩვენის პურისა და სარჩოსი...“**

ვინმეს, შესაძლოა, ეს მწარე ხუმრობა ეგონოს, მაგრამ აქეთ დიდი ნაბიჯებით მივდივართ. სხვას რას უნდა მივაწეროთ ის, რომ ყოველდღიურად რამდენიმე ათეული (სულ ცოტა) ახალგაზრდის სიცოცხლე ქრება და, შეშფოთების გარდა, არავინ არაფერს არ აკეთებს. **თუ ეს ორი სახელმწიფოს საქმეა, მაშინ, მათ საშინაო საქმეებში რატომ ცდილობენ ჩარევას სხვა ქვეყნები მშვიდობიანობის პერიოდში?** თუ ეს სწორედ ის არის, რაც სურთ — ომი ხომ ბიზნესის კეთების საუკეთესო საშუალებაა? **ჯერ იარაღს შეასყიდვინებენ ორივე მხარეს, მერე, თუ ომი დასრულდება, ახალი ომის შიშით მეტ იარაღს მოამარაგებინებენ, მერე მაცივრებში წლობით შენახულ ვადაგასულ პროდუქტებს დაურიგებენ, თან დაამადლიან, თან გადასაყრელად გამზადებულ ნაგავს, პრაქტიკულად, გაყიდიან (ჩვენი ჯარი ომის შემდეგ 10-15 წლის გაყინულ თევზსა და ხორცს ჭამდა, ევროპა-ამერიკიდან შემოტანილს) და სხვისი უბედურების ხარჯზე ისეთ ნირვანას მოიწყობენ, თქვენი მოწონებული.** ჰო, არც ის დაგავიწყდეთ, რომ დაიწყება სომხეთსა და აზერბაიჯანში სხვადასხვა ქვეყნის ლიდერების სირბილი, ისინი სტრატეგიულ პარტნიორებად მონათლებიან, შესაძლოა, რამდენიმე ლიდერი ერთადაც კი ჩავიდეს და მარტივად მოხდება დამონება.

**...ჩვენს მეზობლად, სამწუხაროდ, ომია გაჩაღებული. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ტექნიკის გამოყენებით — უპილოტო თვითმფრინავებით, ტანკებითა და საზენიტო მოწყობილობებით აზერბაიჯანი და სომხეთი ერთმანეთის ცოცხალ ძალასა თუ ჯავშანტექნიკას ანადგურებენ და, ჩანს, გაჩერებას არ აპირებენ...**

**ბესო ბარბაქაძე**

**„აფხაზეთის ტელევიზიის ეთერში აფხაზმა დეპუტატმა თქვა: „მადლობა ღმერთს, რომ დროულად გავთავისუფლდით ქართული გავლენისგან. ახლა საქართველოს შემადგენლობაში რომ ვიყოთ, ისინი ჩვენს ახალგაზრდობას თავს მოახვევდნენ ჰომოსექსუალიზმს. ვის რა ჯანდაბად უნდა აფხაზეთში პედერასტები?!"**

თავსმოხვეული «ფასეულობები»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ალექსანდრე ჭაჭია: თუ ჩვენ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ «ღირებულებებს», დავიღუპებით!

**სერბეთის მთავრობის მეთაურად, ანუ სერბეთის ხელისუფლებაში ყველაზე მეტად უფლებამოსილ პირად კვლავ დანიშნავენ ანა ბრნაბიჩს — ლესბოსელს, რომელსაც ფართო კავშირები აქვს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტსა და როკფელერების ოჯახთან.**


ბრნაბიჩი (მარჯვნივ) და მისი „ცოლი" მილიცა ჯურჯიჩი

**დასავლური დემოკრატია და მათი ეკონომიკური მოდელი ჩიხში შევიდა, მოსახლეობის ეროვნული ინტერესების დაცვის საშუალება აღარაა. უმრავლესობის ნება — დემოკრატიის საფუძველი — აღარაფერს აღარ წყვეტს. იგი შეცვალა საგარეო პოლიტიკაში აშშ-ისა და საერთაშორისო კაპიტალის ნებამ, საშინაოში — «უმცირესობათა» მოთხოვნებმა**






**ბრნაბიჩს მისივე ბიოგრაფია ამხელს, როგორც დასავლეთის „ინკუბატორის პროდუქტს" — განსაკუთრებული ტიპის პოლიტიკოსს, რომლის მსგავსი „მოღვაწეებით" სავსეა აღმოსავლეთი ევროპა. ცივ ომში გამარჯვებულებმა იზრუნეს ყოფილ სოცქვეყნებში მათდამი ლოიალური ელიტების აღზრდაზე.**

ბრნაბიჩმა განათლება ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში მიიღო, შემდეგ კი სამშობლოში ევროკავშირისა და აშშ-ის სპეცპროგრამების ხაზით მუშაობდა; მათ შორის აშშ-ის განვითარების სააგენტოში, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის გავლენის ერთ-ერთი იარაღია. ამას გარდა, იყო ე.წ. ტრანსნაციონალური ცენტრის სამმხრივი კომისიის წევრი, რომლის დამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი გახლდათ **დევიდ როკფელერი.** ამ ყველაფერს ემატება ის, რომ ბრნაბიჩი ლესბოსელია. მისმა პარტნიორმა **მილიცა ჯურჯიჩმა** შარშან ხელოვნური განაყოფიერების მეთოდით ერთი შვილი შვა. ორი კვირის წინათ ბრნაბიჩმა ბრძანა, რომ იწყება სერბეთისა და აშშ-ის ურთიერთობის ახალი ერა. „მე ვერ ვიხსენებ სხვა დროს, როცა ჩვენს ორ ქვეყანას შორის ასეთი ახლო ურთიერთობა არსებობდა", — განაცხადა პრემიერმინისტრმა ისეთ მრავალრიცხოვან და წარმომადგენლობით ამერიკულ დელეგაციასთან შეხვედრის შემდეგ, რომლის მსგავსი სერბეთს არ ღირსებია. ისღა დაგვრჩენია, გავიხსენოთ, რომ სერბეთი არის საპარლამენტო რესპუბლიკა, რომელშიც ძალაუფლება პრეზიდენტის (ანუ ვუჩიჩის) ხელში არ არის და სრულად მთავრობის თავმჯდომარის (ანუ ბრნაბიჩის, ე.ი. სახელმწიფო დეპარტამენტის, როკფელერისა და ლგბტ ლობის) კომპეტენციაა.

მართლმადიდებელ სერბეთში პრემიერმინისტრად ლესბოსელის დანიშვნა აშშ-ის ხელდასმით მოხდა. ამერიკელებმა 1999 წელს იუგოსლავიის უმოწყალოდ დაბომბვა და დაშლა არ იკმარეს და 2017 წელს მართლმადიდებელ სერბეთში ღვთისმგმობელი ლესბოსელი, ამერიკელების ბრძანებების უსიტყვოდ შემსრულებელი გაამწესეს. აი ასე — მაღალ თანამდებობებზე დასმული ლესბოსელებისა და გეების ხელით ებრძვიან დასავლელი „სტრატეგიული" პარტნიორები მართლმადიდებლობასა და ტრადიციულ ფასეულობებს. და, დიდია ალბათობა, საქართველოშიც წამოგვისკუპონ პრემიერის პოსტზე გეი, ლესბოსელი ან ტრანსგენდერი.

**ცნობისთვის:** სერბეთის პარალელურად, ბელგიაში ამ დღეებში ვიცეპრემიერი და მინისტრი სახელმწიფო სამსახურისა და სახელმწიფო ადმინისტრაციის საკითხებში გახდა ტრანსგენდერი **პეტრა დე სუტერი.** მანამდე ის ბელგიის პარლამენტის დეპუტატი და ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეაში ლგბტ-თა უფლებადამცველი იყო. ამ ქალ (თუ კაც) ბატონს ცოტა ხანში ევრომინისტრად დაწინაურებას უწინასწარმეტყველებენ. მის გეგმებში მთავარი ადგილი უკავია ევროპაში ისეთი ვითარების შექმნას, როცა ტრანსგენდერობა, ლესბოსელ-მამათმავლობა (და სხვა ათასი უკუღმართობაც), ერთეული შემთხვევა კი არა, ჩვეულებრივი და გავრცელებული ამბავი იქნება.

ამ ყველაფრის შემყურეებმა როგორ არ გავიხსენოთ ცნობილი პოლიტოლოგის — **ალექსანდრე ჭაჭიას** გაფრთხილება-შეგონებები, რომლებიც მან სხვადასხვა დროს საგაზეთო ინტერვიუებში გააკეთა.

აი ფრაგმენტები ბატონ ალექსანდრეს 2016 წლის ინტერვიუდან, რომელიც მას გაზეთმა „ასავალ-დასავალმა" ჩამოართვა:

**„...შეხედეთ ევროპელ პოლიტიკოსებს, მათი უმეტესობა ხომ დეგენერატია — პედერასტი, ლესბოსელი, ხეპრე, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ თავიანთი ხალხების ეროვნულ ინტერესებზე. ყველა გაჰყვირის ადამიანის უფლებებზე, თუმცა, მათ სულ არ აინტერესებთ ადამიანის ბუნებრივი, ფუნდამენტური უფლებები — სიცოცხლის უფლება, შრომის, ჯანდაცვისა და განათლების უფლება, არც ხალხების უფლება, იცხოვრონ თავიანთი ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, აღმსარებლობის შესაბამისად... თავს გვახვევენ ადამიანის უფლებების გაგებას, როგორც ცხოველური ინსტინქტების, ყველაზე ქვენა გრძნობების რეალიზაციას, რომლებსაც მსოფლიოს ყველა რელიგია მომაკვდინებელ ცოდვად მიიჩნევს, ვინაიდან ცდილობს, იხსნას ადამიანების საზოგადოება გაპირუტყვებისგან.**

„ევროპული ფასეულობების" ნიღბით ამ პირუტყვული ინსტინქტების ხალხებისთვის თავსმოხვევით ძალები, რომლებიც აკონტროლებენ დასავლურ სამყაროს, ზრდიან დეგენერატების თაობას, ქმნიან დეგენერატთა პოლიტიკურ კლასს, რომლისგანაც აყალიბებენ პარტიებს, მთავრობებს, პარალელურად კი ხელში იგდებენ დაქვემდებარებული ქვეყნების რესურსებს... ახალგაზრდებზე დასავლური პროპაგანდის გავლენის სიძლიერე აკრძალვების უარყოფაშია. „ძირს მონობა! ყველაფერი დასაშვებია!" — გაჰყვირიან ეს პროპაგანდისტები. ეს მოწოდება ძალიან მიმზიდველია ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც ტრადიციულ საზოგადოებაში ბავშვობიდან ესმით: „ეს არ შეიძლება! ეს აკრძალულია! ეს არ შეეფერება ადამიანს! ეს კაცს არ ეკადრება!". ტრადიციული საზოგადოება ხომ ადამიანურ მორალზეა აგებული, მორალი კი, ფაქტობრივად, აკრძალვების სისტემაა. და უცებ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ: „მორალური ნორმები, ტრადიციები, ადათ-წესები — ეს ყველაფერი სისულელეა, ატავიზმი, წარსულის გადმონაშთი! ყველაფერი შეიძლება!". **მორალური ნორმების უარყოფა, ზნეობრივი აკრძალვების გაუქმება ადამიანებს აქცევს პირუტყვებად, რომელთა მართვაც ძალიან ადვილია. ერი ნახირად რომ არ იქცეს, საჭიროა სახელმწიფო, რომელიც თავის მოქალაქეებს გამხრწნელი გავლენისგან დაიცავს, არ დაუშვებს უზნეობის პროპაგანდას, გარყვნილებას, იზრუნებს ერის ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობაზე. ასეთი სახელმწიფო კოლონია ვერ იქნება. როდესაც პრემიერმინისტრმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ წინააღმდეგია ერთნაირსქესიანთა ქორწინებების დაკანონებისა, თქვენს გაზეთთან, თუ გახსოვთ, ვთქვი, რომ მას მოუწევს პოსტის დატოვება. ასეც მოხდა...** კოლონიის ადგილობრივ ხელმძღვანელს არ შეიძლება ჰქონდეს პატრონებისგან განსხვავებული თვალსაზრისი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს თვალსაზრისი მოსახლეობის დიდი უმრავლესობის განწყობას ასახავს... შეძლებს კი ქართველი საზოგადოება სახელმწიფოს დაუხმარებლად, თვითონ დაუპირისპირდეს ამას? არა მგონია. საზოგადოებაში ძალიან ბევრია კონფორმისტი, გულგრილი ადამიანი, ბევრია ისეთიც, ვინც დასნებოვნებულია ზნეობრივი გახრწნილების ბაცილით. ქართული ტელეარხები, უკვე მრავალი წელია, ურცხვად ეწევიან გარყვნილების, ამორალურობის პროპაგანდას, მასხრად იგდებენ ეროვნულ ტრადიციებსა და ზნეობრივ ნორმებს, მაგრამ ეს განა იწვევს საზოგადოების მასობრივ პროტესტს? არადა, მდგომარეობა კატასტროფულია! **საქართველოს „კავკასიის ბორდელს" ეძახიან! თურქები, აზერბაიჯანელები, სომხები თბილისსა და ბათუმში იმისთვის ჩამოდიან, რომ ქართველ „გოგონებთან დაისვენონ"...** როდესაც ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებას დააკანონებენ, კავკასიელები მეძავებისა და პედერასტების ერს დაგვიძახებენ. სამაგიეროდ, ჩვენს პოლიტიკოსებს დასავლეთში თავზე ხელს გადაუსვამენ და „ცივილიზებულებს" უწოდებენ. ალბათ, ასე სურთ ჩვენს პოლიტიკოსებს საქართველოს გადაქცევა მომხიბვლელ ქვეყნად აფხაზებისა და ოსებისთვის, ასე სურთ მათი სტიმულირება გაერთიანებისკენ, როგორც ამას გვპირდებიან ხელისუფლებაში მყოფი ყბედები. **გასულ წელს აფხაზეთის ტელევიზიის ეთერში აფხაზმა დეპუტატმა თქვა: „მადლობა ღმერთს, რომ დროულად გავთავისუფლდით ქართული გავლენისგან. ახლა საქართველოს შემადგენლობაში რომ ვიყოთ, ისინი ჩვენს ახალგაზრდობას თავს მოახვევდნენ ჰომოსექსუალიზმს. ვის რა ჯანდაბად უნდა აფხაზეთში პედერასტები?!.."**

**წინამდებარე წერილს გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში" 2013 წლის 29 მაისს გამოქვეყნებულ ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუს ფრაგმენტით დავასრულებთ** ***(საუბარი ეხება 2013 წ. 17 მაისს თბილისში გეიაღლუმის ჩატარების მცდელობასა და საზოგადოების წინააღმდეგობას):***

„...მე არ დავარქმევდი მომხდარს განხეთქილებას საზოგადოებაში. განხეთქილება ვარაუდობს საზოგადოების გაყოფას ორ ან რამდენიმე დაახლოებით ტოლ ნაწილად, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან. განხეთქილებაა პარიზში, ლონდონში, სადაც ჰომოსექსუალთა და მათი თანამგრძნობი მოქალაქეების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ ქალაქის მერად ღია პედერასტს ირჩევენ. განხეთქილებაა ამერიკაში, სადაც ზანგმაც კი შეძლო, გამხდარიყო პრეზიდენტი, როდესაც გეითანამეგობრობის მოთხოვნების დაკმაყოფილების პირობა დადო, ანუ თეთრკანიანი ამერიკელების გენეტიკურმა რასიზმმა პედერასტიის მომხრეთა შეტევის წინაშე უკან დაიხია. ჩვენთან, მადლობა ღმერთს, ამ მოვლენის ჯერჯერობით ამდენად სერიოზულად გავრცელება არ მოხდა... თუ ხელისუფლება და ქართველი საზოგადოება ჯიუტად გააგრძელებენ ე.წ. ევროპული ღირებულებების მიმართ ერთგულების დეკლარირებას, მაშინ უნდა გაითვალისწინონ, რომ პედერასტია თანამედროვე „ევროპული ღირებულებების" განუყოფელი ნაწილია, ეს ამა თუ იმ სახელმწიფოს „ევროპულობის" მთავარი მაჩვენებელია... მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ში ჰომოსექსუალების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ფორმირება დაიწყო. ამას ხელი შეუწყო ამერიკული ჯარის სამხედრო მოსამსახურეთა გარემოში პედერასტთა საზოგადოების წარმოქმნამ საკუთარი ცნობიერებით. ზუსტად მამათმავალმა სამხედროებმა მისცეს აშშ-ში ჰომოსექსუალიზმის რეაბილიტაციასა და ლეგალიზაციას ბიძგი. მას შემდეგ აშშ სექსუალური უმცირესობების უფლებებისთვის მებრძოლი მოძრაობის ლიდერია მსოფლიოში. ყველა ქვეყანა, რომლებიც აშშ-ის გავლენის ქვეშაა, იძულებულია, ჰომოსექსუალური კავშირების ლეგალიზება მოახდინოს და წააქეზოს... უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ შევეჯახეთ არა ერთ მუჭა გეებსა და მათ თანამგრძნობ ქართველ „ევროპელებს", არამედ მძლავრ საერთაშორისო ძალას, რომლის უკანაც შეერთებული შტატები — საქართველოს ფაქტობრივი პატრონი, და მთელი ევროპა დგანან. ძალიან არათანაბარი ძალებია... ხომ ნახეთ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის, ევროპარლამენტის, ევროსაბჭოს, თითქმის მთელი დიპლომატიური კორპუსის რეაქცია. ამიტომაც ვამბობ, რომ პედერასტიის გავრცელების საწინააღმდეგოდ მოქმედება არაა მარტივი საქმე, მით უფრო, როდესაც ეს ამერიკაზე დამოკიდებულ სახელმწიფოებს შეეხება...

დასავლური დემოკრატია და მათი ეკონომიკური მოდელი ჩიხში შევიდა, მოსახლეობის ეროვნული ინტერესების დაცვის საშუალება აღარაა. უმრავლესობის ნება — დემოკრატიის საფუძველი — აღარაფერს აღარ წყვეტს. იგი შეცვალა საგარეო პოლიტიკაში აშშ-ისა და საერთაშორისო კაპიტალის ნებამ, საშინაოში — „უმცირესობათა" მოთხოვნებმა... **თუ ჩვენ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ „ღირებულებებს", დავიღუპებით".**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

განხეთქილება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროკავშირს, რა თქმა უნდა, აქვს შესაძლებლობები, ვარშავასა და ბუდაპეშტს დაუმორჩილებლობის გამო მტკივნეულად დაარტყას ფინანსური თვალსაზრისით, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ამან დიდი ბრიტანეთი ვერ შეაჩერა, ხოლო ბრექსიტმა, ბევრ სხვა ასპექტთან ერთად, ფსიქოლოგიური ტაბუც მოხსნა ევროკავშირიდან გასვლის იდეას, როცა ყველას დაანახვა, რომ ეს სრულიად შესაძლებელია და ამის გამო ცა არ ჩამოიქცევა.**

# პოლონეთი და უნგრეთი ევროკავშირს დემოკრატიას შეასწავლიან და... დაანგრევენ

**ევროკომისიამ პირველად გამოაქვეყნა მოხსენება ევროკავშირში კანონის უზენაესობის მდგომარეობის შესახებ. დოკუმენტში სენსაციური არაფერი ყოფილა. როგორც მოსალოდნელი იყო, კრიტიკა, ძირითადად, მიმართული იყო 2 აღმოსავლეთევროპული ქვეყნისკენ, რომლებიც, დიდი ხანია, ბრიუსელის თავის ტკივილად იქცა. ეს ქვეყნებია პოლონეთი და უნგრეთი. სახელდობრ, მათი მისამართით გაისმა „ძველი“ ბრალდებები — კორუფციასთან უნიათო ბრძოლა, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა და დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობა.**

ვარშავა და ბუდაპეშტი მზად იყვნენ ამ ბრალდებებზე რეაგირებისთვის. ევროკავშირის განცხადებამდე 2 დღით ადრე ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა განაცხადეს, რომ ქმნიან ინსტიტუტს, რომელიც დაკავებული იქნება ზუსტად იმით, რასაც მიეძღვნა მოხსენება — ევროკავშირში კანონის უზენაესობის მდგომარეობის მონიტორინგით.

უნგრეთის ლიდერმა კი წერილი გაუგზავნა ევროკომისიას და მოხსენების ერთ-ერთი თანაავტორის, ფასეულობებისა და გამჭვირვალობის საკითხებში ევროკომისიის ხელმძღვანელის მოადგილის, **ვერა იოუროვას,** პოსტიდან გადადგომა მოითხოვა ანტიუნგრული გამონათქვამების გამო. აღსანიშნავია, რომ ჩეხმა დიპლომატმა ვერა იოუროვამ უნგრეთს, **ვიქტორ ორბანის** ხელმძღვანელობით, „ავადმყოფი დემოკრატია“ უწოდა.

**პოლონეთმა და უნგრეთმა შეძლეს ხელსაყრელი მდგომარეობის მოპოვება ევროკავშირში. ისინი, ერთი მხრივ, ევროკავშირისგან იღებენ ფინანსურ დახმარებას, რომლის მასშტაბებიც შურს იწვევს მეზობლებში; მეორე მხრივ, პოლონეთისა და უნგრეთის პოლიტიკის სუვერენიტეტი უფრო მაღალია კავშირის ზოგიერთი ძველი წევრის სუვერენიტეტთან შედარებით. მოკლედ, ორივე ქვეყანა აკეთებს იმას, რასაც საჭიროდ ჩათვლის — ბრიუსელისა და მის პრეტენზიებს ყურადღებას არ აქცევს, ამასთანავე, მისგან მოურიდებლად ითხოვს დოტაციებს.**

ასეთი ვითარება ბევრი დამკვირვებლის გაოცებას იწვევს: ევროკავშირი, რომელიც, დიდი ხანია, აკრიტიკებს ამ სახელმწიფოებს ევროპულ სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო, რატომ არ იღებს ქმედით ზომებს ვითარების შესაცვლელად, მაგალითად, რატომ არ სურს, დასაჯოს რენეგატები ევროთი?

**პასუხი მარტივია:** ასეთი ინსტრუმენტი არ არსებობს. უფრო ზუსტად, **დასჯა თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ პროცედურები ისეთი რთულია და ისეთ მაღალი დონის შიდა კონსენსუსს მოითხოვს, რომ პრაქტიკაში მათი გამოყენება თითქმის შეუძლებელია.**

მაგრამ ახლა აღნიშნულ საკითხზე ბუდაპეშტსა და ვარშავას ნერვიულობის მიზეზი გაუჩნდათ. ორივე ქვეყნის ხელისუფალთა ქმედებებიდან ჩანს, რომ მშვენივრად აცნობიერებენ მათთვის შექმნილ არახელსაყრელ ვითარებას.

**ევროპაში მალე დაიწყება დახმარების ფონდიდან სახსრების განაწილება პანდემიისგან დაზარალებული ეროვნული ეკონომიკების ასაღორძინებლად. ივლისში საბიუჯეტო საკითხებზე გაიმართა ევროკავშირის სამიტი, რომელზეც მიაღწიეს შეთანხმებას, რომ საფინანსო საკითხები დაკავშირებული იქნებოდა სამართლებრივი სახელმწიფოს სტანდარტებსა და ევროპულ ფასეულობებთან.**

რამდენიმე დღის წინათ კი **გერმანიამ,** რომელიც ევროპის საბჭოს თავმჯდომარეობს, მოამზადა განკარგულების პროექტი ეკონომიკური სანქციების დაწესებაზე ევროკავშირის ამ წევრი ქვეყნების მიმართ, რომლებიც არ იცავენ სამართლის უზენაესობის პრინციპს. მნიშვნელოვანი დეტალი: დარღვევის ფაქტი აუცილებლად უნდა იყოს დამტკიცებული „პირდაპირი სახით“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ევროკომისიის მიერ გამოცხადებული მოხსენება საკმარის პირდაპირ მტკიცებულებად ჩაითვლება.

მოკლედ, **პოლონეთსა და უნგრეთს დაემუქრა საფრთხე, რომ დაკარგონ სუბსიდიების მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს კი ნიშნავს, რომ ავტომატურად დადგება მათი მხრიდან დანაკარგებზე რეაგირების საკითხიც მოვლენების ასეთ განვითარებაზე. უნგრეთსა და პოლონეთს ბოლოდროინდელი მკვეთრი განცხადებები, მათ შორის დაპირება, რომ თვითონ ასწავლიან ევროპას კანონის უზენაესობის დაცვასა და დემოკრატიას, მიუთითებს იმაზე, როგორი იქნება მათი რეაქცია: შანსი იმისა, რომ ვარშავა და ბუდაპეშტი ქედს მოიდრეკენ ევროკავშირის წნეხის გამო, ძალიან ცოტაა. პირიქით, უფრო სავარაუდოა საპირისპირო შედეგი — პოლონეთისა და უნგრეთის გასვლა ევროკავშირიდან.**



თუკი ორიოდე წლის წინათ ევროკავშირის დატოვება მისი რამდენიმე წევრის მიერ წარმოუდგენელი ჩანდა, ახლა ვითარება კარდინალურად შეიცვალა, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური, ისე იდეოლოგიური თვალსაზრისით.

**უნგრეთისა და პოლონეთის ეკონომიკები ყველაზე სწრაფად ვითარდება არა მხოლოდ აღმოსავლეთ, არამედ სრულიად ევროპაში. ორივე სახელმწიფომ მშვენივრად გამოიყენა შესაძლებლობები და ფინანსური დახმარებები, რომლებსაც 15 წლის განმავლობაში იღებდა ბრიუსელისგან. მათ აქვთ საფუძველი, იფიქრონ, რომ ბრიუსელის გარეშე არ დაიკარგებიან. სამაგიეროდ, ევროკავშირში დარჩენის იდეამ, თუ ჩვეულ ფინანსურ დახმარებებს ვერ მიიღებენ, სწრაფად დაკარგა ხიბლი.**

**უნგრეთისა და პოლონეთის ეკონომიკები ყველაზე სწრაფად ვითარდება არა მხოლოდ აღმოსავლეთ, არამედ სრულიად ევროპაში. ორივე სახელმწიფომ მშვენივრად გამოიყენა შესაძლებლობები და ფინანსური დახმარებები, რომლებსაც 15 წლის განმავლობაში იღებდა ბრიუსელისგან. მათ აქვთ საფუძველი, იფიქრონ, რომ ბრიუსელის გარეშე არ დაიკარგებიან. სამაგიეროდ, ევროკავშირში დარჩენის იდეამ, თუ ჩვეულ ფინანსურ დახმარებებს ვერ მიიღებენ, სწრაფად დაკარგა ხიბლი**



პოლონეთის პრემიერმინისტრი მათეუშ მორავეცკი და მისი უნგრელი კოლეგა ვიქტორ ორბანი

ევროკავშირს, რა თქმა უნდა, აქვს შესაძლებლობები, დაუმორჩილებლობის გამო მტკივნეულად დაარტყას ვარშავასა და ბუდაპეშტს ფინანსური თვალსაზრისით, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ამან დიდი ბრიტანეთი ვერ შეაჩერა, ხოლო ბრექსიტმა, ბევრ სხვა ასპექტთან ერთად, ფსიქოლოგიური ტაბუც მოხსნა ევროკავშირიდან გასვლის იდეას, როცა ყველას დაანახვა, რომ ეს სრულიად შესაძლებელია და ამის გამო ცა არ ჩამოიქცევა.

პოლონეთსა და უნგრეთს ვითარების ესკალაციისკენ პოლიტიკური ვითარებაც უბიძგებს.

მიმდინარეობს მსოფლიო პოლიტიკური სისტემის სწრაფი დეგრადაცია, ამბიციური სახელმწიფოები მზის ქვეშ ადგილის დასამკვიდრებლად და თავიანთი სტატუსის ასამაღლებლად ბრძოლაში ჩაებნენ. ამ პროცესში უკვე ჩართულნი არიან პოლონეთიცა და უნგრეთიც, ოღონდ სხვადასხვა სტრატეგიას იყენებენ. სხვათა შორის, სწორედ ამის გამო ექმნებათ მათ პრობლემების დიდი ნაწილი ერთიან ევროპაში.

**შედეგის წინასწარმეტყველება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ ვარიანტი „გააკეთე, ოღონდ შეიძლება, ინანო“ ორივე სახელმწიფოს ხელმძღვანელისთვის უფრო მისაღებია, ვიდრე ხელების გულზე დაკრეფა, კაპიტულაცია და დასავლეთევროპული სახელმწიფოების დედაქალაქებიდან უფროსი ამხანაგების ვასალად ყოფნა.**

ევროკავშირს აღარ შეუძლია მისი ავტორიტეტისთვის ძირის გამოთხრის ატანა ორი „გათავხედებული“ აღმოსავლეთევროპული ქვეყნის მხრიდან — ის, უბრალოდ, ვალდებულია, ეს ქვეყნები მკაცრად დასაჯოს, რათა თავისი ძალაუფლება წარმოაჩინოს, მაგრამ, დიდი ალბათობით, კიდევ ორი წევრი-ქვეყნის დაკარგვა ბუმერანგივით დაარტყამს ევროპის ერთიანობას, მის წონასა და პრესტიჟს.

**ასე რომ, ვინ უფრო იზარალებს, ჯერ კიდევ საკითხავია.**

ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



**პოლონეთსა და უნგრეთს დაემუქრა საფრთხე, რომ დაკარგონ სუბსიდიების მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს კი ნიშნავს, რომ ავტომატურად დადგება მათი მხრიდან დანაკარგებზე რეაგირების საკითხიც მოვლენების ასეთ განვითარებაზე. უნგრეთისა და პოლონეთს ბოლოდროინდელი მკვეთრი განცხადებები, მათ შორის დაპირება, რომ თვითონ ასწავლიან ევროპას კანონის უზენაესობის დაცვასა და დემოკრატიას, მიუთითებს იმაზე, როგორი იქნება მათი რეაქცია: შანსი იმისა, რომ ვარშავა და ბუდაპეშტი ქედს მოიდრეკენ ევროკავშირის წნეხის გამო, ძალიან ცოტაა. პირიქით, უფრო სავარაუდოა საპირისპირო შედეგი — პოლონეთისა და უნგრეთის გასვლა ევროკავშირიდან**

ახალი მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რა თამაშები მიმდინარეობს გეოპოლიტიკურ კულისებში, ძნელი სათქმელია. იმაში კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თურქეთის ამჟამინდელი თავხედობა ადრინდელის გაგრძელებაა, როდესაც თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ საჯაროდ განაცხადა: თურქეთის საბოლოო მიზანი ე.წ. დიდი თურანის, ბათუმიდან სარაევომდე იმპერიის აღდგენაა, რასაც ტანკების გარეშე გავაკეთებთო.**



**რეზიუმე ამა თუ იმ სტატიის მოკლე შინაარსს, დასკვნის გამოტანას, მთავარი თემის ხაზგასმას ნიშნავს და სწორედ ამიტომ ამას, როგორც წესი, წერილის ბოლოს აკეთებენ ხოლმე ავტორები. აღნიშნულ „წესს“ თუ „წესრიგს“ უდისციპლინო მოსწავლესავით დავარღვევ წინამდებარე წერილში და ეპილოგად სათქმელს მოკლე პროლოგად გამოვიყენებ. შემდეგ კი შევუდგები უკვე მომხდარის, სამომავალო და სავარაუდო მოვლენების ანალიზს.**

# რუსული დათვი კუთხეშია მიმწყვდეული, კონტრშეტევისთვის ემზადება და ვაი მას, ვისაც დატორავს




მაშ ასე, წინამდებარე წერილის პროლოგში, რომელიც, ზემოაღნიშნული წესით, ეპილოგი უნდა ყოფილიყო, ვაპირებ, შევაფასო ჯერ **მიხეილ გორბაჩოვის** მოღალატეობრივი ქმედებების შედეგად სსრკ-ის დაშლისა და შემდეგ ასევე მოღალატე **ბორის ელცინის** მიერ სსრკ-ის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციის დაუძლურება-გაძარცვით მსოფლიო გეოპოლიტიკაში ბოლო 30 წლის განმავლობაში მომხდარი, რაც, საბოლოო ჯამში, რუსეთის რამდენიმე ნაწილად დაშლას ისახავდა მიზნად. და რომ არა პოლიტიკურ ასპარეზზე **ვლადიმერ პუტინის** დროული გამოჩენა (რაც, დარწმუნებული ვარ, უფლის ნების გარეშე ვერ მოხდებოდა), დასავლეთის ნეოლიბერალურ „დემოკრატიას“ (წაიკითხე, აშშ) დასახული ამოცანა უკვე კარგა ხნის შესრულებული ექნებოდა. **დაჩოქილი რუსეთის სასწაულებრივი წამოდგომა, ძველი სამხედრო ძლიერების (გნებავთ, ძლევამოსილების) აღდგენა ისტორიაში პიროვნების როლის მნიშვნელობის კიდევ ერთი კლასიკური მაგალითია.**

წინამდებარე წერილის ეპილოგ-პროლოგი შეპირებულზე გრძელი გამომივიდა, ამიტომ მოკლედ დავასრულებ — სირია იქნება ეს, უკრაინა, ბელარუსი თუ აგერ, მთიან ყარაბაღში გაჩაღებული ომი — ყველაფერი ერთად თუ ცალ-ცალკე რუსეთის წინააღმდეგ ომია. უფრო შორსაც წავალ — **30 წელიწადია, მთელი ე.წ. ლიბერალური მსოფლიო ებრძვის მართლმადიდებელ რუსეთს, რომელიც ანტიქრისტეს მეფობის ჟამს ნამდვილად მესამე რომია. ეს სულაც არ არის გადაჭარბებით ნათქვამი, რადგან ანტიქრისტეს მეფობა არ ნიშნავს აუცილებლად ჩლიქებიან-რქებიანი არსების ცხადში დანახვას. ანტიქრისტეს მეფობაა ლგბტ თემის ალლუმები, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინებები და სხვა მრავალი გარყვნილება, რომლებსაც გვთავაზობს „განათლებული“ დასავლეთი — „პროგრესულ“ ღირებულება-ფასეულობებს, რომელთა მიღება ვერაფრით აიძულეს „ველურ“ რუსეთს (და ჯერ-ჯერობით ჩვენც).** იმ უბედურების ანალიზისას, რომელსაც მთიან ყარაბაღში სრულმასშტაბიანი ომი ჰქვია, რუსი პოლიტოლოგები, გასაგები მიზეზების გამო, მტყუან-მართალს კი არ ეძებენ, არამედ იმის დადგენას ცდილობენ, როგორ და რატომ დაიწყო ეს კონფლიქტი და ამ ძებნას ზემონახსენებ გორბაჩოვს-ელცინის აშკარა ღალატამდე მივყავართ.

რუსეთის ორივე იმპერიის (მეფის რუსეთის, რომელსაც ლენინმა ხალხთა საპყრობილე უწოდა, და ბოლშევიკების წითელი) არსებობისას ერთაშორისი კონფლიქტები, პრაქტიკულად, გამორიცხული იყო, რადგან ორივე მრავალეროვნული იმპერია მსგავს მცდელობას ჩანასახშივე სასტიკი მეთოდებით სპობდა და, მიხეილ გორბაჩოვსაც ანალოგიური რამ რომ გაეკეთებინა, მთიან ყარაბაღში დღეს ომი არ იქნებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის დაპირისპირება იწყებოდა, მოღალატე გორბაჩოვს ამისთვის არ ეცალა, რადგან ე.წ. პერესტროიკის კამუფლაჟით სსრკ-ის დანგრევა-გაყიდვით იყო დაკავებული, თუმცა გაყიდვაც არის და გაყიდვაც... **ამას წინათ ბერლინის კედლის დანგრევისა და ორი გერმანიის გაერთიანების 30 წლისთავი იზეიმა დასავლეთმა. გორბაჩოვმა გერმანიის გაერთიანების საფასურად 15 მილიარდი მარკა მოითხოვა და, როგორც იმჟამინდელი ბუნდესკანცლერი მოგონებებში წერს, როდესაც ეს თანხა დაგვისახელეს, ყურებს არ დავუჯერე, რადგან 100 მილიარდის და კიდევ უფრო მეტის გადახდისთვისაც მზად ვიყავითო...** გორბაჩოვის დაწყებული საქმე დააგვირგვინა მეორე მოღალატემ — ბორის ელცინმა, რომელიც სიტყვაზე ენდო დასავლეთს (წაიკითხე, აშშ-ს), რომ ნატო ერთი დუიმითაც არ მიუახლოვდებოდა რუსეთის საზღვრებს და გალეშილმა **რუსეთის პრეზიდენტმა ცეკვა-თამაშით, სულ რაღაც, 2 მილიარდად აღმოსავლეთ გერმანიიდან, მათ შორის გერმანიის დედაქალაქ ბერლინიდან, გაიყვანა ბირთვული იარაღით აღჭურვილი უძლიერესი სამხედრო ბაზები. იმ ბერლინიდან, რომელიც გენიოსი სტალინის სარდლობით ჩვენმა მამა-პაპებმა 1945 წლის 9 მაისს ზღვა სისხლის ფასად აიღეს და მას შემდეგ სსრკ ევროპის შუაგულიდან კონტინენტს აკონტროლებდა.** ხოლო როგორც შეასრულა ძია სემმა დაპირება, ვხედავთ — მთელი აღმოსავლეთი ევროპა შეიყვანეს ნატოში და სწორედ ამან ათქმევინა ვლადიმერ პუტინს: ბერლინის კედელი კი არ დაინგრა, არამედ რუსეთის საზღვრებთან გადმოიწიაო...

## რა გეოპოლიტიკური ვითარებაა ამჟამად რუსეთის საზღვრებთან?

დონბას-ლუგანსკში ომია; ბელარუსში — სამოქალაქო ომის რეალური საფრთხე; ლანძღვა-გინება ისმის ან უკვე ნატოს წევრი ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან და პოლონეთიდან; ერთადერთი ამიერკავკასიაში იყო შედარებით სტაბილური ვითარება და ნატოს წევრმა თურქეთმა ბაქოს მეშვეობით ამიერკავკასიაშიც ააგიზგიზა ცეცხლის ალი.

**ექსპერტები ამბობენ, რომ რუსეთი არ დაუშვებს ნატოში საქართველოს გაწევრებას, რადგან ეს, უკრაინასა და ბელარუსში ვითარების გათვალისწინებით, რუსეთის სრულ ალყაში მოქცევას ნიშნავს. მის ერთადერთ მოკავშირედ სომხეთიღა რჩება და არ არის გამორიცხული, რუსეთმა ნეიტრალური განცხადებები შეცვალოს და საქმეზე გადავიდეს, რადგან, დიდი ალბათობით, შეიძლება არჩევანის წინაშე აღმოჩნდეს — ბაქო ან ერევანი. და, იქიდან გამომდინარე, როგორი იქნება რუსეთის არჩევანი, ამთავითვე ცნობილია, რომ ეს რუსეთ-თურქეთს შორის სერიოზულ დაპირისპირებას გამოიწვევს**

**რა თამაშები მიმდინარეობს გეოპოლიტიკურ კულისებში, ძნელი სათქმელია. იმაში კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თურქეთის ამჟამინდელი თავხედობა ადრინდელის გაგრძელებაა, როდესაც თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ საჯაროდ განაცხადა: თურქეთის საბოლოო მიზანი ე.წ. დიდი თურანის, ბათუმიდან სარაევომდე იმპერიის აღდგენაა, რასაც ტანკების გარეშე გავაკეთებთო...** იქიდან გამომდინარე, რომ აჭარა ჩვენს „მეგობარ“ თურქეთს პოლიტიკურ-ეკონომიკურად თითქმის უკვე აითვისებული აქვს, თურქეთის ამიერკავკასიაში აქტიურობა შეიძლება ჩავუშოღლუს მიერ გახმაურებული გეგმისკენ გადადგმული ნაბიჯია.

**ექსპერტები ამბობენ, რომ რუსეთი არ დაუშვებს ნატოში საქართველოს გაწევრებას, რადგან ეს, უკრაინასა და ბელარუსში ვითარების გათვალისწინებით, რუსეთის სრულ ალყაში მოქცევას ნიშნავს. მის ერთადერთ მოკავშირედ სომხეთიღა რჩება და, არ არის გამორიცხული, რუსეთმა ნეიტრალური განცხადებები შეცვალოს და საქმეზე გადავიდეს, რადგან, დიდი ალბათობით, შეიძლება არჩევანის წინაშე აღმოჩნდეს — ბაქო ან ერევანი. და, იქიდან გამომდინარე, როგორი იქნება რუსეთის არჩევანი, ამთავითვე ცნობილია, რომ ეს რუსეთ-თურქეთს შორის სერიოზულ დაპირისპირებას გამოიწვევს.**

ახლა კი გავიხსენოთ ისტორია: XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან ისტორიამ რუსეთსა და თურქეთს შორის 11 ომი იცის, რომელთაგან, სამის გარდა, ყველა რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. ეს ომები ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რა სარგებელი ნახა საქართველომ ამ ომებიდან. ათვლა **1768-1774 წლების რუსეთ-ოსმალეთის** ომიდან იწყება და ყველა შემდგომ ომს მოიცავს....ამ ომში საქართველოც ჩაება ირიბად: ქართლ-კახეთის მეფე **ერეკლე II** და იმერეთის მეფე **სოლომონ I.** ერეკლე II-მ სამცხე-ჯავახეთის დაბრუნების განზრახვა ამოიჭრა გულში, ხოლო სოლომონ I-ს აჭარისა და თურქთაგან მიტაცებული სხვა მიწების დაბრუნების იმედი გაუჩნდა. საბოლოოდ, ორივე ქართველი მეფე ნანატრი იმედგაცრუებული დარჩა რუსი გენერლის, **ტოტლებენის,** მუხანათური ღალატის გამო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, **ერეკლეს სამხედრო ნიჭმა ასპინძის ბრძოლაში ტრიუმფალური გამარჯვება მოუტანა საქართველოს, რომელმაც დიდი ხნით დაუკარგა თურქებს ახალციხის საფაშოდან ქართლში თარეშის სურვილი. ქუჩუკ-კაინარჯის ზავის 23-ე მუხლი კი პირდაპირ საქართველოს ეხებოდა: ოსმალეთი „საზეიმოდ“ აცხადებდა, რომ იგი ამიერიდან „სამუდამოდ“ იღებდა ხელს ხარკის მოთხოვნაზე იმერეთისგან და საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების შევიწროებაზე,** თუმცა ზავი ხანმოკლე აღმოჩნდა. ოსმალეთმა 1787-1791 წლების ომში რევანშის აღება სცადა, მაგრამ ამჯერადაც სასტიკი მარცხი იწვნია — **იასის საზავო ხელშეკრულების პირობებით რუსეთმა სამუდამოდ დაისაკუთრა ყირიმი, ტამანის ნახევარკუნძული, ყუბანი და ა.შ. ამასთანავე, თურქეთმა აღიარა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული რუსეთის პროტექტორატი საქართველოზე და ივალდებულა, რომ მის მიმართ არავითარ მტრულ მოქმედებებს არ განახორციელებდა.** რუსეთის იმპერიაში საქართველოს შესვლის შემდეგ კი ქართველები ერთმორწმუნე რუსებთან ერთად მხარდამხარ იბრძოდნენ ჯერ 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, რომელიც ბუქარესტის ზავით დასრულდა და რომლის მიხედვითაც თურქეთმა აღიარა დასავლეთ საქართველოს რუსეთის იმპერიაში შესვლა. შემდეგ 1828-29 წლების ომმა ახალციხე დაგვიბრუნა, ხოლო 1877-78 წლების ომის შედეგად აჭარა დაუბრუნდა დედასაქართველოს. ეს ყოველივე იმის დასტურია, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის მეგობრობა პრინციპულად გამორიცხულია, რადგან ეს ქვეყნები ისტორიულად მტრები არიან. იქნება ჩვენმა ხელისუფლებამ ახლა მაინც გააკეთოს სწორი არჩევანი, მაგრამ არა! როგორც დიდი **დავით აღმაშენებლის** ისტორიკოსი იტყოდა, „კუდი ძაღლისა არა განიმართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“ („ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა“), ისევ „ნატო-ნატოს“ ბღავილში ათენ-აღამებენ ქოცები და ნაცები.

არადა, **რუსული დათვი კუთხეშია მიმწყვდეული, მკვეთრ განცხადებებს ჯერჯერობით არ აკეთებს, მაგრამ ჩანს, რომ კონტრშეტევისთვის ემზადება და ვაი მას, ვისაც დატორავს.**

**დავით მხეიძე**

**P.S. 5 ოქტომბერს დაპირისპირების კიდევ ერთი ხანძარი აგიზგიზდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე — ამჯერად ყირგიზეთში.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინის სიბრძნემ და მისი არმიების გმირულმა შემართებამ წელში გატეხა არა მხოლოდ ფაშისტების მე-6 არმია ფელდმარშალ პაულიუსის ხელმძღვანელობით და თვითონ ჰიტლერი, არამედ მსოფლიოს დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომლებიც დღე-დღეზე ელოდებოდნენ წიაღისეული ნედლეულით მდიდარი რუსეთის უზარმაზარი ტერიტორიის განაწილებას, მაგრამ არ გამოუვიდათ — დედამიწის ტერიტორიის მეექვსედს კავკასიელი ჯიქი პატრონობდა.**

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. №34-35, 2020წ.)

# სტალინი სამ განზომილებაში

**სტალინი ერთნაირად მუშაობდა, როგორც ყოველდღიურ სახელმწიფო საქმეებზე, ასევე ქვეყნის წარსულსა და, რა თქმა უნდა, მომავალზე. 1936 წელს, როდესაც ის პირველ სასამართლო პროცესს უწყობდა ქვეყანაში ჩაბუდებულ მე-5 კოლონას და ყოველდღიურად უმატებდა ტემპს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად, პარალელურად, ქმნიდა სახელმწიფო კომისიას, რომელსაც უნდა აღეწერა ლენინგრადის გარეუბანში დაცული რომანოვების 300-წლიანი დინასტიის მიერ დაგროვებული აურაცხელი სიმდიდრე. ამ კომისიას უნდა განეახლებინა აღწერილობები და საგანძურისთვის, ექსპონატებისთვის ფოტოები გადაეღო.**

კომისიამ შესანიშნავად იმუშავა და სრულად აღწერა სასახლეებში განთავსებული არნახული სიმდიდრე:

**1. ცარსკოე სელოში აღმოჩნდა ხელოვნების 42 172 უბრწყინვალესი ნიმუში.**

**2. ალექსანდროვის სასახლეში — 30 382.**

**3. პავლოვსკის სასახლეში — 22 133.4**

**4. პეტერგოფის სასახლე-მუზეუმში — 54 030.**

სტალინს (ისე, რომ არავინ იცოდა, გარდა მისი და სამუშაოების შემსრულებლისა) სარკინიგზო მაგისტრალი გაჰყავდა იმიერპოლარეთში. ამ გრანდიოზული პროექტების განხორციელება სტალინისთვის ყოველდღიური სამუშაო გახლდათ.

სტალინის ფენომენი ჯერჯერობით წარსულის განზომილებაში განვიხილოთ და ამიტომ დღევანდელ სტატიაში რომანოვების დინასტიასა და მისი წარმომადგენლების ხალხის მეხსიერებაში შენახვაზე ვისაუბრებთ. კერძოდ, რომანოვების სასახლეზე ლენინგრადის (სანქტ-პეტერბურგის) შემოგარენში.

1941 წლის 22 ივნისს ლენინგრადში მორიგი ტურისტული სეზონი უნდა გახსნილიყო. შესანიშნავი ამინდი იდგა და მოსახლეობა გარეთ იყო გამოსული — ადამიანები ეგებებოდნენ თეთრი ღამეების დადგომას და სეზონის გახსნას. 22 ივნისისათვის ყველაფერი მზად იყო: პარკებში, სასახლის ეზოებსა თუ სკვერებში უკრავდა მუსიკა, ცეკვავდა ახალგაზრდობა, ქვეყანა და ხალხი სეზონის გასახსნელი ზეიმისთვის ემზადებოდა. დილის 3 საათსა და 30 წუთზე ფაშისტურმა გერმანიამ ვერაგულად გადმოლახა საბჭოთა კავშირის საზღვრები, არნახული ძალით შემოუტია საბჭოეთის ქალაქებსა და სოფლებს. ომის დაწყების პირველი დღეების ქრონიკებზე ბევრი დავწერე და ამჯერად აღარ მივუბრუნდები.

1941 წლის 22 ივნისს სასახლე-მუზეუმის შესასვლელებთან მხოლოდ ქალები გამოცხადდნენ — ყველა მამაკაცი, როგორც ერთი, ლენინგრადის დამცველთა რიგებში ჩადგა ომის პირველივე დღეს. დაიწყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ომის თუ შრომის ფრონტებზე. ლენინგრადის გმირი დამცველები დღე და ღამეს ასწორებდნენ უმოკლეს დროში განძეულის ქალაქიდან გასატანად. რთული და მეტად ფაქიზი სამუშაო უამრავ დროს მოითხოვდა. მტერი კი შეუჩერებლად მოიწევდა ლენინგრადისკენ. ღამით ქალები ნიჩბებით თხრიდნენ ორმოებს და შიგ უძვირფასესეს ქანდაკებებსა და ფილიგრანულად შესრულებულ ოქროს ნაკეთობებს მარხავდნენ. შემდეგ ამ ადგილებს ზევიდან თივას და სასოფლო-სამეურნეო ნარჩენებს აყრიდნენ შესანიღბავად. მიუხედავად იმისა, რომ შეუფასებელ განძთან ჰქონდათ საქმე და ყველაფერი ძალიან მოკლე დროში უნდა მოესწროთ, წესრიგის დაცვით, გულმოდგინედ იფუთებოდა და იკვრებოდა ნივთები, დგებოდა შესაბამისი აქტები და საგანძურს აწყობდნენ სატვირთო ავტომობილებსა თუ სარკინიგზო ეშელონებში. მიწაში საიდუმლოდ ჩამარხულ განძზე კი ადგილის მითითებით დგებოდა აქტები და საიდუმლოდ ინახებოდა. სულ 83 დღე დასჭირდათ ფაშისტებს იმისათვის, რომ მთლიანად დაეკავებინათ ლენინგრადის მიმდებარე ტერიტორიები და ქალაქი ბლოკადაში მოექციათ. 1941 წლის სექტემბრიდან 1944 წლამდე ცარსკოე სელოს, ალექსანდრეს, პეტერგოფისა და გატჩინის სასახლე-მუზეუმების სრული ბატონ-პატრონები ფაშისტები იყვნენ.

**„გერმანელებს სასახლე-მუზეუმებიდან გაჰქონდათ ძვირფასი ავეჯი, გააქრეს მსოფლიოს მერვე საოცრებად წოდებული ქარვის ოთახი. ჭრიდნენ სხვადასხვა ძვირფასი მასალისგან შექმნილ იატაკებს. ბრილიანტებით გაწყობილი რომანოვების საიმპერატორო ოქროს გვირგვინები გერმანელთა ხელში გადავიდა. წარმოუდგენელი სილამაზისა და სიმდიდრის პეტერგოფის სასახლე-მუზეუმების ცარიელი და ჩაშავებული კედლები სიკვდილისა და ცის ჩამოქცევის მომასწავებელი იყო“,** — წერდა 1944 წელს ერთ-ერთი საფრონტო გაზეთის კორესპონდენტი.

სტალინის სიბრძნემ და მისი არმიების გმირულმა შემართებამ წელში გატეხა არა მხოლოდ ფაშისტების მე-6 არმია ფელდმარშალ პაულიუსის ხელმძღვანელობით და ჰიტლერი, არამედ მსოფლიოს დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომლებიც დღე-დღეზე ელოდებოდნენ წიაღისეული ნედლეულით მდიდარი რუსეთის უზარმაზარი ტერიტორიის განაწილებას, მაგრამ არ გამოუვიდათ — დედამიწის ტერიტორიის მეექვსედს კავკასიელი ჯიქი პატრონობდა. **1943 წელს საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა შექმნა ლენინგრადის გარეუბანში რომანოვების სასახლე-მუზეუმების აღმდგენი კომისია 12 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ხელმძღვანელობდა სსრკ-ის აკადემიის აკადემიკოსი, სტალინური პრემიის ლაურეატი ალექსეი შჩუსევი. კომისიას გადაეცა ყველა სასახლე-მუზეუმის პროექტი, ევაკუირებული და საიდუმლოდ შენახული ექსპონატების ჩამონათვალი, 1936 წელს ჩატარებული აღწერის მასალები და უამრავი ფოტომასალა. დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ სასახლე-მუზეუმები უნდა აღდგენილიყო 1941 წლის 22 ივნისის მდგომარეობის მიხედვით.** საწყის პერიოდში კომისიას 22 მლნ მანეთი გამოეყო. კომისიამ, სტალინის დავალებით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოიწვია 150 განთქმული მხატვარი, რათა აღედგინათ ან ხელახლა შეექმნათ ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც ან ცეცხლმა გაანადგურა, ან გერმანელებმა გაიტაცეს. 1945 წლის პოტსდამის კონფერენციის გადაწყვეტილებით, მსოფლიოში გამოცხადდა ძებნა სასახლე-მუზეუმებიდან გატაცებული ნივთებისაა მფლობელისთვის დასაბრუნებლად. 1951 წელს, სტალინის ბრძანებით, კვლავ შეიქმნა კომისია, რომელმაც აღწერა, რა დარჩა იმ ექსპონატებიდან, რომლებიც 1936 წლის აღწერებში იყო ნაჩვენები. ამ ექსპონატებში შედიოდა როგორც საბჭოთა ჯარების მიერ გადარჩენილი ხელოვნების ნიმუშები, ასევე გერმანიაში გატანილი და უკან დაბრუნებული სამუზეუმო ძვირფასეულობა. აღმოჩნდა, რომ **ეკატერინეს სასახლე-მუზეუმში ირიცხებოდა 42 172 სამუზეუმო ნივთი, მათგან ომის პერიოდში, ფაქტობრივად, დაიკარგა 30 151; ალექსანდროვის სასახლე-მუზეუმში ირიცხებოდა 30 382 ნივთი, ომის პერიოდში დაიკარგა 22 628; პავლოვსკის სასახლე-მუზეუმში ირიცხებოდა 22 133 ნივთი, ომის პერიოდში დაიკარგა 8 715; პეტერგოფში ირიცხებოდა 54 230 სამუზეუმო ნივთი და მათგან დაიკარგა 38 151.** პეტერგოფში ყველაზე დიდ დანაკარგად ითვლებოდა გრანდიოზული შადრევნების შემკვრელი სამსონის ფიგურა, რომელიც 1706 წელს პოლტავასთან შვედეთზე გამარჯვების აღსანიშნავად აღიმართა 1735 წელს. სამსონის ფიგურის სიმაღლე 21 მეტრს შეადგენდა და ჩამოსხმული იყო ძვირფასი ლითონისაგან. გერმანელმა ფაშისტებმა ეს ძვირფასი სკულპტურა ნაწილებად დაჭრეს და გერმანიაში გაიტანეს. რადგან აღნიშნული კომპლექსი სამსონის ფიგურის გარეშე უსახურად გამოიყურებოდა, სტალინის ბრძანებით, 1947 წელს ძველი ფოტოებისა და ნახაზების მიხედვით აღადგინეს ეს ფიგურა, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა წინამორბედისგან (ლეგენდის მიხედვით, სამსონი ღარიბთა და სნეულთა შემწე სამღვდელო პირი გახლდათ. პოლტავასთან შვედეთის დამარცხება სწორედ სამსონის ხსენების დღეს მოხდა, რისთვისაც პეტერბურგში სამსონის ფიგურა გამარჯვების სიმბოლოდ აღმართეს). ლენინგრადის სასახლე-მუზეუმების აღსადგენად სულ 790 მლნ მანეთი გამოიყო სტალინის ინიციატივით...



**1945 წლის ივლისში სტალინის ხელმოწერით გამოვიდა დადგენილება, რომელშიც ნაბრძანები იყო, გერმანიიდან საბჭოთა კავშირში ჩამოეტანათ ყველა სამუზეუმო ნივთი. დაშვებული იქნა ამ ნივთების გამოფენა მუზეუმებში. დადგენილების საფუძველი იყო რეპარაცია (ფულადი ან ნატურალური გადასახადი, რომელსაც უხდის ომში დამარცხებული ქვეყანა გამარჯვებულს მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად) და კომპენსაცია იმ სამუზეუმო ნივთებისა, რომლებიც გატანილი იყო საბჭოთა კავშირიდან გერმანელების მიერ. რეპარაციით გათვალისწინებული ნივთების სია არ გამოქვეყნებულა**

გასული საუკუნის 80-იან წლებში მეგობრებთან ერთად ლენინგრადში გახლდით ფეხბურთის მატჩზე. ჩვენი მასპინძელი მაღალი პარტიული თანამდებობის პირი იყო და ამიტომ მთავრობის ლოჟაში მოგვიწია ჯდომა. ამაყად გავცქეროდით მოედანს — თბილისის „დინამო“ შესანიშნავი გუნდი იყო, ლენინგრადის „ზენიტი“ კი — აუტსაიდერი და გვეგონა, გამარჯვებას იოლად მივაღწევდით. პირველი ნახევარი 1:0 დასრულდა ლენინგრადელთა სასარგებლოდ, მაგრამ ყველა ვფიქრობდით, რომ მატჩის მეორე ნახევარში ცუდ დღეში აღმოჩნდებოდნენ მასპინძლები. სტადიონზე მოსულმა მაყურებელმა იცოდა, რომ ქართული დელეგაცია ლოჟაში იჯდა. დაიწყო მატჩის მეორე ნახევარი და 5 წუთიც არ იყო გასული, მეორე ბურთიც გაგვიტანეს. როდესაც მატჩი დასრულდა, ტრიბუნებზე მყოფი „ზენიტის“ გულშემატკივარი ჩვენკენ შემობრუნდა სტვენითა და ყვირილით, ხელები კი ყველას რატომღაც შარვლის შესაკრავთან ჰქონდა დაწყობილი. ასე შერცხვენილი გამოვედით ლოჟიდან, იქვე ახლოს მდგომ მანქანებში ჩავსხედით და ფინეთის ყურეში, ბერიას მიერ აშენებულ დივერსანტთა სკოლის შენობის ფინურ აბანოში აღმოვჩნდით.

მეორე დღეს მასპინძელმა შემოგვთავაზა ქალაქის ნებისმიერ ადგილზე ექსკურსია. ადგილი მე უნდა შემერჩია. ვთხოვე, წავეყვანეთ ცარსკოე სელოში. ყველამ სიამოვნებით თანხმობა განაცხადა. დილის 11 საათზე ეკატერინე II-ის სასახლე-მუზეუმის დირექტორის კაბინეტში ვისხედით. მასპინძელიც გვახლდა.

— დარბაზებში მე გამოგყვებით, — შემოგვთავაზა დირექტორმა.

— თქვენ არა, გამოგვაყოლეთ სხვა, რათა სტუმრებმა უფრო თავისუფლად იგრძნონ თავი, — უთხრა ჩვენმა მასპინძელმა.

ამ მომენტში ოთახში შემოვიდა ულამაზესი ახალგაზრდა ქალი.

— რადგან მე დამიწუნეთ, ამას გაჰყევით, — თავაზიანად შემოგვთავაზა მუზეუმის დირექტორმა.

მალე დარბაზებისკენ გავეშურეთ. სასახლის გრანდიოზულობისა და ზღაპრული სიმდიდრის აღწერას არ შევუდგები, ოღონდ მკითხველმა უნდა იცოდეს შემდეგი:

ყველა დარბაზში, რომლებშიც საარაკო სიმდიდრე და სილამაზე ბრწინავს და ელავს, შესასვლელშივე შავ-თეთრი ფერის მოზრდილი სურათი მოლბერტზეა განთავსებული. ეს არის ამავე დარბაზის გამოსახულება 1945 წლის ზამთარში. დარბაზი გადახდილი სახურავით, მოჩანს მოქუფრული ცა, დაცარიელებულ დარბაზში კი — მეტრ-ნახევრიანი სიმაღლის თოვლით დაფარული იატაკი. ჩამოშლილია ფანჯრის რაფები, მშიერი დათვებივით პირდაბჩენილია უზარმაზარი დარბაზები, კვამლისგან არის გაშავებული როკოკოს გირლიანდებს შერჩენილი ნაწილები და აბრეშუმის კედლის ჩამოფხრეწილი ნარჩენები. **ვერ წარმომედგინა, რომ იმ დარბაზში ვიმყოფებოდი, რომლის ფოტოსაც მოლბერტზე ვუყურებდი. ასე იყო იავარქმნილი დამპყრობლების მიერ რომანოვების უძვირფასესი სეფედარბაზები. ძვირფასეულობა ჰიტლერელთა განძსაცავებში იყო დავანებული, ხოლო უძვირფასესი ტილოები, რომლებიც გამოფენილი იყო სასახლეში, გერმანელ დიდგვაროვანთა სახლებსა და აგარაკებს ამშვენებდა ოკუპაციის პერიოდში.**

ერთ ქართულ-ხალხურ სიმღერაში ასეთი სიტყვებია:

„შენ რომ ზარი შემოჰკარი,
მტერთა გლოვის ზარი არის;
შენ რომ ციხე დაანგრიე,
მეფის ნატახტარი არის“.

მოსასმენად თითქოს სასიამოვნო იყო, მაგრამ სინამდვილეში სტალინს მეფის ნატახტარი არსად დაუნ- ►

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეკატერინეს სასახლე-მუზეუმში ირიცხებოდა 42 172 სამუზეუმო ნივთი, მათგან ომის პერიოდში, ფაქტობრივად, დაიკარგა 30 151; ალექსანდროვის სასახლე-მუზეუმში ირიცხებოდა 30 382 ნივთი, ომის პერიოდში დაიკარგა 22 628; პავლოვსკის სასახლე-მუზეუმში ირიცხებოდა 22 133 ნივთი, ომის პერიოდში დაიკარგა 8 715; პეტერგოფში ირიცხებოდა 54 230 სამუზეუმო ნივთი და მათგან დაიკარგა 38 151.**

# 1945 წლის თებერვალში სტალინმა გამოსცა დადგენილება, რომლითაც შეიქმნა საგანგებო კომიტეტი. ამ კომიტეტს ადგილი უნდა მიეჩინა ადგილობრივი თუ გერმანიიდან დაბრუნებული ძვირად ღირებული ექსპონატებისთვის, რომლებიც გადაურჩა ომს ან გატაცებული იყო ფაშისტი ოკუპანტების მიერ. სხვათა შორის, გერმანიაში გატაცებული სამუზეუმო განძის დიდი ნაწილი ამოღებული იყო ქვის სამტეხლოებიდან და ბანკების ბუნკერებიდან

◀ გრევია, პირიქით, აღადგინა. ფაშისტებმა კი ნაცარტუტად აქციეს ლენინგრადი, მისი შემოგარენი და თუ რამ ღირსშესანიშნავი იყო იქ. ომის დასრულების შემდეგ სტალინმა ცარსკოე სელო დაათვალიერა და ბრძანა: **„ცარსკოე სელოს უნდა დაუბრუნდეს პირვანდელი მდგომარეობა როგორც სანახაობრივად, ისე დეტალებით“.** პროექტები და ქონების (რომელიც ევაკუირებული იყო ომის პირველივე დღეებში) აღწერილობა საკმარისი იყო იმისთვის, რომ სპეციალისტებს დაეწყოთ რომანოვების ისტორიული სასახლეების აღდგენა-განახლება.

— ეს სტუმრების მისაღები საერთო ოთახია, ეს კი — ეკატერინეს ფავორიტების ოვალური დარბაზი, — გვითხრა გოგონამ.

— ამ დარბაზს ხელოვნების რომელიმე ნიმუში ხომ არ აკლია? — იკითხა ჩვენმა მასპინძელმა.

ახალგაზრდა ქალი-გიდი ოდნავ დაიბნა, მაგრამ გარკვევით უპასუხა:

— ის ქვედა საცავშია, რომელიც ყოველთვის არ მუშაობს.

— ჩვენთვის თუ იმუშავებს?
— არ მოეშვა მასპინძელი.

— შეიძლება. ოღონდ, ბოლოს.

დარბაზიდან დარბაზში გადავდივართ. ჯერ მოლბერტზე დადებულ შავ-თეთრ სურათს დავხედავ, შემდეგ კი საოცრებათა სამყაროში აღმოვჩნდები. ბევრი ვიარეთ თუ ცოტა (როგორც ზღაპრებშია), მივადექით დარბაზს, რომელშიც დგას უშველებელი შემაღლებული საწოლი, რომელიც რაღაცნაირი, ჩემთვის უცნობი ნაჭრით არის გადახურული. გიდი გვიხსნის, რომ ეს არის **ეკატერინე დიდის** საწოლი. ყველა ჩვენგანს ათასი რამ წარმოგვიდგა თვალწინ, მაგრამ ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ამ ლოგინთან ასე ახლოს დგომა მომიწევდა ოდესმე. დარბაზი უკან-უკან ყურებით დავტოვეთ. შევედით რომანოვების დინასტიის რჩეულთა სავანეში, რომელსაც წინ უდგას **ალექსანდრე I**-ის, **ნაპოლეონის** დამმარცხებელი მეფის, ულამაზესი და უძლიერესი იმპერატორის სურათი.

— ეს სურათები როგორღა გადარჩა ასე უვნებელი? — ვიკითხე გაოცებულმა.

**— ეს სურათები აღადგინეს სამეფო ფოტოალბომების დახმარებით და საზღვარგარეთიდან სტალინის განკარგულებით ჩამოყვანილი მსოფლიოს 150 ცნობილი მხატვრის დახმარებით.**

— ნუთუ ასეთ პატივს მიაგებდა რომანოვების დინასტიას სტალინი? — გაკვირვებულმა ვკითხე ჩვენს ლენინგრადელ მასპინძელს.

— რომანოვებს არა, ის ისტორიას სცემდა პატივს, — მიპასუხა მასპინძელმა.

გულში უნებურად გავიმეორე პოეტის სიტყვები:

„ყველგან სტალინის სიბრძნე ანათებს,
ყველგან სტალინის მარჯვენა ვიცან“.

და ლიფტის კაბინამ სასახლის სიღრმეში ჩაგვიყვანა. იქ კი ველარ ვარჩევდი, სად ვიყავი — ცხადში თუ სიზმარში. დარბაზის არცთუ კარგად განათებულ კუთხეში ჯუჯა ხე დგას მოკლედ შეჭრილი ტოტებით — შორიდან ასე მომეჩვენა. გამყოლი ოდნავ შეწითლებული სახით გვიხსნის:

— ეს უნიკალური საჩუქარი ფრანგებმა მიართვეს ეკატერინე II-ს. თქვენ ხედავთ ფალოსებს, მათი რაოდენობა 365-ია.

გაოცებულები გარეთ გამოვედით. გამყოლს დავემშვიდობეთ და მანქანებში გავნაწილდით. გეზი პეტერგოფისაკენ ავიღეთ. სიზმრიდან სიზმარში გადავედით. სანამ სასახლეში შევიდოდით, სასახლის გარშემო ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ვერ წარმომედგინა, ამ სილამაზის ჩაფიქრება და შემდეგ ხორცშესხმა თუ შეეძლო ადამიანის გონებას. **გიდმა აქ ყურადღება სამსონის ფიგურის დაკარგვა-აღდგენაზე გადაიტანა და, როდესაც დარწმუნდა, რომ მე ნამდვილი სტალინელი ვიყავი, სტალინის წვლილსა და მის როლზე ამ საოცრების განახლებაში კიდევ უფრო დაწვრილებით გვიამბო. მიგვიყვანა სურათების სტენდთან, სადაც გამოფენილი იყო გერმანელების მიერ დაბომბილი პეტერგოფის გარე პერიმეტრი.** ვერ გამოვთქვამ და აღვწერ იმ საშინელებას და ბარბაროსობას, რომელიც ამ შავ-თეთრი სურათების უზარმაზარ სტენდებზე იყო გამოფენილი. რა ხელმა შექმნა ეს მშვენიერება? რომელმა მხეცებმა შეძლეს ამ სიმშვენიერის მოსპობა და განადგურება ან რამ ჩაუნერგა ადამიანს სიზმრად ნახული მშვენიერების კვლავ აღდგენა და მისთვის სიცოცხლის დაბრუნება. სასახლეში შესულებს ულამაზესი სანახაობა დაგვხვდა. რაოდენ დიდიც იყო პეტრე დიდი, ისეთივე დიდი სასახლე და გარემო ჰქონდა, მაგრამ განსაცვიფრებელი იყო იმ ძარცვისა და ნგრევის კვალი, რომელიც გერმანელებმა დატოვეს სასახლე-მუზეუმებში მეორე მსოფლიო ომის დროს.

1936 წლის აღწერით, მუზეუმებში ირიცხებოდა 180 228 ექსპონატი. 1951 წლის აღწერით, ფონდებში აღმოჩნდა, ადგილზე გადარჩენილი და გერმანიიდან დაბრუნებული ნივთების ჩათვლით, 63 882 ექსპონატი. 116 000 უნიკალური სამკაული ან ადგილზე იყო განადგურებული ომის მიმდინარეობისას, ან გაძარცვული ფაშისტების მიერ.

ფიზიკურ, მატერიალურ და მორალურ აუნაზღაურებელ ზარალს, რომელიც გერმანელმა დამპყრობლებმა მიაყენეს საბჭოთა კავშირს, ემატებოდა იმ უზარმაზარი განძის გაქრობა ქვეყნიდან, რომელიც რომანოვების იმპერიამ 300 წლის განმავლობაში დააგროვა ომების შედეგად თუ საჩუქრების სახით. 1943 წელს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა სტალინის ინიციატივით მიიღო დადგენილება, შექმნილიყო ცენტრალიზებული სამსახური, რომელიც თავს მოუყრიდა ე.წ. ნადავლის ბრიგადების მიერ მოპოვებულ ნივთებს. **1945 წლის თებერვალში სტალინმა გამოსცა დადგენილება, რომლითაც შეიქმნა საგანგებო კომიტეტი. ამ კომიტეტს ადგილი უნდა მიეჩინა ადგილობრივი თუ გერმანიიდან დაბრუნებული ძვირად ღირებული ექსპონატებისთვის, რომლებიც გადაურჩა ომს ან გატაცებული იყო ფაშისტი ოკუპანტების მიერ. სხვათა შორის, გერმანიაში გატაცებული სამუზეუმო განძის დიდი ნაწილი ამოღებული იყო ქვის სამტეხლოებიდან და ბანკების ბუნკერებიდან.**

1945 წლის ივლისში სტალინის ხელმოწერით გამოვიდა ამ კომიტეტის დადგენილება, რომელშიც ნაბრძანები იყო, გერმანიიდან საბჭოთა კავშირში ჩამოეტანათ ყველა სამუზეუმო ნივთი. დაშვებული იქნა ამ ნივთების გამოფენა მუზეუმებში. ამ დადგენილების საფუძველი იყო რეპარაცია (ფულადი ან ნატურალური გადასახადი, რომელსაც უხდის ომში დამარცხებული ქვეყანა გამარჯვებულს მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად) და კომპენსაცია იმ სამუზეუმო ნივთებისთვის, რომლებიც გერმანელებმა გაიტანეს საბჭოთა კავშირიდან. რეპარაციით გათვალისწინებული ნივთების სია არ გამოქვეყნებულა, ის არქივის საკუთრებაა. ხელოვნების შედევრების დიდი ნაწილი შემოტანილი იყო დრეზდენიდან — ბალდინის კოლექცია, პოტსდამის სანსუსის სასახლიდან, ვარკბურგის იარაღის პალატიდან, აგრეთვე, პერგამონის მუზეუმიდან (შლიმანის ოქრო) და სხვ. 1945-1955 წლებში ნადავლი განძის უმეტესი ნაწილი არ გამოფენილა. ის სამუზეუმო რეზერვებში ინახებოდა, გარდა პერგამონის მუზეუმიდან წამოღებულისა, რომელიც ლენინგრადის ერმიტაჟის დარბაზებში იყო გამოფენილი. სტალინმა, პოტსდამის კონფერენციის დეკლარაციის საფუძველზე, მტკიცე საფუძველი შექმნა იმისთვის, რომ ყველა სამუზეუმო ნივთი, როგორც კომპენსაცია, გადასულიყო სსრ კავშირის კანონიერ მფლობელობაში და ამით შევსებულიყო რომანოვების დინასტიის განძთსაცავები.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, მის მიერ აშენებული და გაძლიერებული ქვეყნის დასაშლელად და გასაყიდად ხელისუფლების სათავეში მოსულმა ნიკიტა **ხრუშჩოვმა** 1955 წლის 30 მარტს მიიღო მინისტრთა საბჭოს დადგენილება, რომ დაებრუნებინა დრეზდენის მუზეუმისთვის უნიკალური ექსპონატები. მათ შორის **რაფაელის** „სიქსტის მადონა“, **ტიციანის** „მძინარე კესარია“, აგრეთვე, რუბენსის, რემბრანდტისა და სხვა სახელგანთქმული მხატვრების შედევრები. ცოტა ხნის შემდეგ დრეზდენში გაიგზავნა კიდევ 515 სამუზეუმო ექსპონატი. 1958 წელს დრეზდენში დააბრუნეს „პერგამონის ექსპონატები“, 1958-1959 წლებში გერმანიას 1 მლნ 574 ათასი სამუზეუმო ნივთი დაუბრუნეს. 1963-1967 წლებში ბერლინს კიდევ დაუბრუნეს 250 000 ექსპონატი. ამაზეა ნათქვამი:

„რაც მიწისძვრას გადურჩა, წარღვნამ გაანიავა“.

მაგრამ სტალინის მიერ სიცოცხლეშენარჩუნებული რუსული იმპერია და იმერატორთა სასახლეები ჯერ კიდევ სუნთქავენ.

**(გაგრძელება იქნება)**





ფაშისტების მიერ დანგრეული პეტერგოფი



პეტერგოფი დღეს



სამსონის ფიგურა

ყავისფერი ჭირი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰეიკო მაასი — გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი: „პოლონეთზე თავდასხმით გერმანიამ ერთპიროვნულად გააჩაღა მეორე მსოფლიო ომი და გერმანია ერთპიროვნულად არის პასუხისმგებელი ჰოლოკოსტზე, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე. ის, ვისაც ეჭვი შეაქვს ამაში და სხვა ხალხებს ახვევს თავს დამნაშავის როლს, სჩადის უსამართლობას მსხვერპლის მიმართ. ის ბოროტად იყენებს ატეხილ ისტერიკას და ამწვავებს ვითარებას ევროპაში“.**


ჰეიკო მაასი

# ნაციზმი თავის დროს ელოდება ევროპაში

**ცოტა ხნის წინათ გერმანია შეძრა ნაცისტური წარსულის გამო ატეხილმა სკანდალმა — გერმანიის ქალაქ მიულჰაიმის (ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის მიწა) პოლიციელები პოპულარული მესენჯერის დახურულ ჯგუფში, სულ ცოტა, 8 წლის განმავლობაში „ატრიალებდნენ“ ნაცისტური შინაარსის მასალებს და ერთმანეთს „ყავისფერი“ იუმორითართობდნენ. ეს ხდებოდა ქვეყანაში, რომელიც გულმოდგინედ ცდილობს, მსოფლიოს აჩვენოს, რომ ახსოვს ჰიტლერის მიერ ჩადენილი დანაშაულები, თავისი ბრალი კაცობრიობის წინაშე და ატარებს „ღია კარის“ პოლიტიკას მიგრანტების მიმართ.**

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ნაცისტური შინაარსის ხუმრობებით ერთობოდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები. მსგავსი სკანდალი აღინიშნა ბუნდესვერის (გერმანიის შეარაღებული ძალები) ელიტურ ქვედანაყოფებშიც.

ზოგი ამ მოვლენებს გერმანიის მთავრობის ახლომხედველურ საიმიგრაციო პოლიტიკას მიაწერს: **გერმანიის ძალიან ბევრი მოქალაქე უკმაყოფილოა და ვერ ეგუება აღვირახსნილ მულტიკულტურიზმს, ჩამოსულთა შორის დანაშაულის ჩადენის მაღალ დონეს და მათ ცხოვრებას ქვეყნის ბიუჯეტის კმაყოფაზე.**

მათ, ვისაც რაღაცები ახსოვს ისტორიიდან, იციან, რომ **ფაშიზმი აღმოცენდა იტალიაში და, როგორც ნაციზმი, გაფორმდა გერმანიაში; რომ გერმანიისა და იტალიის მსგავსი რეჟიმი გენერალმა ფრანკომ დაამყარა ესპანეთში; რომ ჰიტლერის მხარდამჭერები და ხელის შემწყობები მალე გამოჩნდნენ ევროპის სხვა ქვეყნებში და საბჭოთა კავშირშიც კი (ბალტიისპირეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში და ვლასოვის არმიის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი აშშ-მა დიდი წარმატებით გამოიყენა ფაშისტურ-ნაცისტური რესურსი საბჭოთა კავშირთან ბრძოლასა და უზარმაზარი ქვეყნის დანგრევაში.**

ნაციზმის გვერდით ყოველთვის არ არის ანტისემიტიზმი, მაგრამ საფრანგეთის პრეზიდენტმა **ემანუელ მაკრონმა** 2019 წელს განაცხადა, რომ დასავლეთის თითქმის ყველა დემოკრატიაში შეინიშნება ანტისემიტიზმი, ისეთი, როგორიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არ ყოფილა. „ანტისემიტიზმი ებრაელების პრობლემა არ არის, ეს რესპუბლიკის პრობლემაა“, — განაცხადა მაკრონმა.

ევროპელებს ეშინიათ, აღიარონ, რომ ანტიჰუმანისტური იდეები — ეს არის ის, რაც ჩამალულია ცნობიერების სიღრმეში და იქ ფესვები აქვს გადგმული. **ყბადაღებული ევროპული ჰუმანიზმი არჩევითია. ის ვრცელდება მხოლოდ ე.წ. ცივილიზებულ სამყაროზე (სხვა სახელით „ოქროს მილიარდზე“). „ცივილიზებული სამყაროს“ იდეოლოგიისთვის ერთი ამერიკელის ან ევროპელის სიკვდილი ტრაგედიაა, რომელზეც მსოფლიოს ყველა კუთხეში უნდა იყვირონ და რომლის გამოც ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს, ხოლო ვიეტნამში, ერაყში, ავღანეთში, სირიაში, დონბასში და სხვაგან „ბარბაროსების“ წამება, ძარცვა, ცოცხლად დაწვა, როგორც ოდესის პროფკავშირების სახლში გამოწვეს ადამიანები უკრაინელმა ნაციონალისტებმა, დასაშვებია.** თურმე შეიძლება ადამიანები აქციო მსხვერპლად დამანგრეველი სოციალური ექსპერიმენტებისა, სახელწოდებით „ფერადი რევოლუცია“.

ეს არის პირველყოფილი ტომის ან ბანდიტური ხროვის პრინციპი: **რაც უფრო შორს არის „სანიმუშო დემოკრატიული ცენტრიდან“, მით მეტად აგრესიულად წარმოჩნდება ევროპელის გამოქვაბულისდროინდელი ნატურა.**

გერმანიაში ხანდახან ჟონავს ინფორმაცია „წყნარ ნაცისტებზე“. საფრანგეთში დროდადრო ხდება ანტისემიტური გამოხდომები. ბალტიისპირეთში აგრესიულობით გამოირჩევიან „საბჭოთა ოკუპაციასთან მებრძოლები“, ხოლო არახელსაყრელი სიმართლე ნაცისტებთან მათი კავშირის შესახებ უკანა პლანზე გადააქვთ. მაგრამ ბრიუსელი თავისიანებს ხომ არ დასჯის?! ეს ევროპაა! **უკრაინაში, ნაციზმმა, რომელიც კარგა ხანს ელოდა თავის დროს, ისევ წამოყო თავი და მას დასავლეთი მხარს უჭერს „ბრძოლაში“. ვინ იქნება გარანტი იმისა, რომ დღევანდელი გერმანია ხვალ ბალტიისპირეთად არ იქცევა, ზეგ კი — უკრაინად? სწორედ ამას გვაფიქრებინებს „ისტორიისთვის“ გაჩაღებული ბრძოლა.**

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი **ჰეიკო მაასი** წერს:

„ბოლო თვეების განმავლობაში ისტორიის გადაწერის არაერთი მცდელობა იყო. ულირსი მეთოდით ითხოვდნენ ჩვენგან განმარტებას, რომლის აუცილებლობაც არ უნდა დამდგარიყო ურყევი ისტორიული ფაქტების გათვალისწინებით: **პოლონეთზე თავდასხმით გერმანიამ ერთპიროვნულად გააჩაღა მეორე მსოფლიო ომი და გერმანია ერთპიროვნულად არის პასუხისმგებელი ჰოლოკოსტზე, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე. ის, ვისაც ეჭვი შეაქვს ამაში და სხვა ხალხებს თავს ახვევს დამნაშავის როლს, სჩადის უსამართლობას მსხვერპლის მიმართ. ის ბოროტად იყენებს ატეხილ ისტერიკას და ამწვავებს ვითარებას ევროპაში“.**




**ფაშიზმი აღმოცენდა იტალიაში და, როგორც ნაციზმი, გაფორმდა გერმანიაში; გერმანიისა და იტალიის მსგავსი რეჟიმი გენერალმა ფრანკომ დაამყარა ესპანეთში; ჰიტლერის მხარდამჭერები და ხელის შემწყობები მალე გამოჩნდნენ ევროპის სხვა ქვეყნებში და საბჭოთა კავშირშიც კი (ბალტიისპირეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში და ვლასოვის არმიის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი აშშ-მა დიდი წარმატებით გამოიყენა ფაშისტურ-ნაცისტური რესურსი საბჭოთა კავშირთან ბრძოლასა და უზარმაზარი ქვეყნის დანგრევაში**






მაგრამ გერმანელი მინისტრი იქვე დასძენს: „პოლონეთში, ბალტიისპირეთსა და ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში ადამიანებისთვის ნაციონალ-სოციალიზმზე გამარჯვების სიხარული დაკავშირებულია არა თავისუფლების სხვა ფორმასა და სხვისი ნების თავს მოხვევასთან, არამედ ამ გამოცდილებას ისინი აღმოსავლეთ გერმანიის ბევრ მოქალაქესთან ერთად იზიარებენ“.

პოლონეთი, ბალტიისპირეთისა და ცენტრალური, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები კი აძლიერებენ ანტისაბჭოთა და ანტირუსულ მიმართულებას და ნაბიჯ-ნაბიჯ შლიან ისტორიულ სიმართლეს.

პოლონელები აცნობიერებენ, რომ ევროკავშირი, ადრე თუ გვიან, ამა თუ იმ ფორმით შეიძლება გადაიქცეს მეოთხე რაიხად, და ეწინააღმდეგებიან ამას. მაგრამ პოლიტიკური ზედაფენის დონეზე რუსებისადმი მტრობა გადაძალავს ხოლმე მეოთხე რაიხის გაჩენის შიშს. პოლონეთში ვიზიტისას ემანუელ მაკრონმა არაორაზროვნად განაცხადა:

**„რისკი, რომელსაც ვხედავ, — ეს არის ისტორიული მეხსიერების დამახინჯების გამოვლენა. მე ზოგჯერ ვხედავ პოლონეთის მცდელობას, წაშალოს 1989 წელი და თავისუფლების ეს ისტორია. ვხედავ უნგრეთის წინასწარგანზრახულ პოლიტიკას, შეცვალოს XX საუკუნის ისტორია. ვხედავ რუსეთის მცდელობას, დაადანაშაულოს პოლონელი ხალხი. ვხედავ ჩვენი მეხსიერების ფრაგმენტებს ისტორიის გადახედვის საქმეში“.**

ევროპას ძალიან არ უნდა, რომ მეორე მსოფლიო ომში მისი არასახარბიელო როლი, როცა ევროპელები ჰიტლერს „დაუწვნენ“, მამხილებელი დატვირთვის გარეშე იქცეს რიგით ისტორიულ ფაქტად. სწორედ აქედან მომდინარეობს მსხვერპლის აგრესორად ან დანაშაულის თანამონაწილედ გადაქცევის მცდელობები. **როდესაც ევროპის, ნაციზმის სამშობლოს, თავის მართლება კულმინაციას მიაღწევს, ევროპელთა ცნობიერებაში ყველა წინაპირობა მომწიფდება, რომ „ცივილიზებულმა სამყარომ“ კიდევ ერთხელ უნდა გაილაშქროს „ანტიადამიანურ“ აღმოსავლეთზე და მაშინ გერმანელი ბიურგერი კვლავ გარდაიქმნება ჯალათად და გერმანული „ვეფხვი“ კვლავ გამოძვრება ბუნაგიდან.**



fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

**ყბადაღებული ევროპული ჰუმანიზმი არჩევითია. ის ვრცელდება მხოლოდ ე.წ. ცივილიზებულ სამყაროზე (სხვა სახელით „ოქროს მილიარდზე“). „ცივილიზებული სამყაროს“ იდეოლოგიისთვის ერთი ამერიკელის ან ევროპელის სიკვდილი ტრაგედიაა, რომელზეც მსოფლიოს ყველა კუთხეში უნდა იყვირონ და რომლის გამოც ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს, ხოლო ვიეტნამში, ერაყში, ავღანეთში, სირიაში, დონბასში და სხვაგან „ბარბაროსების“ წამება, ძარცვა, ცოცხლად დაწვა, როგორც ოდესის პროფკავშირების სახლში გამოწვეს ადამიანები უკრაინელმა ნაციონალისტებმა, დასაშვებია**

**HUNT CHALLENGE 2020-ის მიზანი იყო სოციალური ქსელიდან არჩეული მოხალისეების გამოცდა, როგორ შეუძლიათ მათ მოვლენებისა და საფრთხეების პროგნოზირება. ამ შემთხვევაში IARPA-მ და ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გამოსცადეს შესაძლებლობები „ფეისბუკის“, გიგანტური სოციალური ქსელისა, რომლის მომხმარებელთა რაოდენობა 2,5 მილიარდს აღწევს.**

საინფორმაციო ჯაშუშობა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიოში ყველაზე დიდი სოციალური ქსელი „ფეისბუკი“ მჭიდროდ არის დაკავშირებული აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან (ცსს) და თავის შექმნასაც კი ამ სპეცსამსახურს უნდა უმადლოდეს.**

# «ფეისბუკი» — facebook საფარველი აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთვის

„ფეისბუკის“ ერთ-ერთი ინვესტორი იყო Accel Partners-ი, რომელიც ცსს-ს ვენჩურულ (კაპიტალი, რომელსაც იყენებენ ახალი მზარდი ან გაკოტრების პირას მყოფი კომპანიების დასაფინანსებლად — გ.გ.) ფონდ In-Q-Tel-თან არის დაკავშირებული. „ფეისბუკისა“ და აშშ-ის სპეცსამსახურების თანამშრომლობის შესახებ ცნობილი შეიქნა **ედვარდ სნოუდენის** (აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი — გ.გ.) მიერ გამომზეურებული მასალების შემდეგ. ედვარდ სნოუდენმა გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებიც მოწმობს, რომ „ფეისბუკი“, „მაიკროსოფტი“, „გუგლი“, „იაჰუუ“, „იუთუბი“, „სკაიპი“ და „ეიფლი“ თავიანთი მომხმარებლების შესახებ ინფორმაციას აშშ-ის ცსს-სა და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს აწვდიან სერვერებიდან.

ამ სკანდალმა დიდი აურზაური გამოიწვია. შედეგად მსოფლიო ინტერნეტგიგანტებმა და აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორმა **ჯეიმს კლეპერმა** განაცხადეს, რომ მსგავსი რამ აღარ განმეორდებოდა. **ცოტა ხნის წინათ კი გაირკვა, რომ ცსს და „ფეისბუკი“ წავიდნენ სხვა, კიდევ უფრო საეჭვო გზით. ამჟამად „ფეისბუკი“ დაუფარავად თანამშრომლობს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან და თავის მომხმარებლებსაც კი რთავს ამერიკული დაზვერვის სასარგებლოდ მუშაობაში, თანაც უფასოდ, მოხალისეებად.**

2020 წლის მარტში ქალაქ სპრინგფილდში (აშშ) გაიმართა აშშ-ის დაზვერვის 38-ე საგაზაფხულო სიმპოზიუმი (Spring Inteligence Symposium), რომელზეც იმსჯელეს **დონალდ ტრამპის** მიერ 2017 წელს გამოცხადებული ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის მიზნებსა და პრიორიტეტებზე.

ამერიკის სტრატეგიაში არის პრინციპი „მშვიდობის შენარჩუნება უპირატესობითა და ძალის მეშვეობით“. ამჟამად ეს მიიღწევა არა მხოლოდ შეიარაღებისა და მმართველობის სისტემებში უპირატესობით, არამედ „გამაფრთხილებელი დაზვერვით“ — შესაძლო საფრთხეებისა და მათი წარმომშობი მოვლენების პროგნოზირებით.

გამაფრთხილებელი დაზვერვა პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა Intelligence Advanced Research Projects Activity (I)-სთვის — აშშ-ის სამთავრობო სააგენტოსთვის, რომელიც 2006 წელს შეიქმნა გლობალური კრიზისებისა და კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით პროგნოზირების ტექნოლოგიების დასაფინანსებლად, აგრეთვე, იმ პოტენციური შესაძლებლობების გამოსავლენად, რომელთა დახმარებითაც აშშ-ს უპირატესობა უნდა მოეპოვებინა კონკურენტების წინაშე. **IAPPA ემორჩილება აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტივებს და ასრულებს ამოცანებს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოების ინტერესების შესაბამისად.**

გამაფრთხილებელი დაზვერვის ძირითადი ინსტრუმენტი არის ე.წ. დიდი მონაცემების (Big Data) ოპერაციები. 2010-2017 წლებში რეალიზებული იყო ათზე მეტი პროექტი, ისეთები, როგორიც არის „გუგლთან“ ერთობლივი პროექტი „ჩაწერილი მომავალი“ (Record Future), პროგნოზების პლატფორმა P2i, შექმნილი ახალი მონაცემების ნაკადებისთვის, Dunami — „ფეისბუკში“, „ტვიტერსა“ და „ინსტაგრამში“ პრინციპებსა და გავლენის ცენტრების მაკონტროლებელი, მოსახლეობის მასების გადაადგილების მონიტორინგი.

**ამ პროექტების შედეგები დამაკმაყოფილებელი არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ მათ ცსს აფინანსებდა. სოციალური კონფლიქტების, არასტაბილურობისა და ტერორისტული თავდასხმების პროგნოზირების შესაძლებლობა იყო 3-5 დღე, რაც შეიძლება აკმაყოფილებდეს რიგით ობივატელს, რომელსაც სურს, შაბათ-კვირას პიკნიკი მოიწვიოს და აინტერესებს, როგორი ამინდი იქნება დასვენების დღეებში. მსოფლიო პრაქტიკა კი აჩვენებს, რომ სოციალური კონფლიქტებისა და პროტესტების პროგნოზირების ჰორიზონტი რამდენიმე კვირა უნდა იყოს, სამხედრო მოქმედებების — არანაკლებ ნახევარი წლისა.**

აშშ-ის გამაფრთხილებელი დაზვერვის მიღწევებად მიიჩნევა 2012 წლის შემდეგი პროგნოზები: მექსიკის საპრეზიდენტო არჩევნებში საპროტესტო მოძრაობის წარმოქმნა; პარაგვაის პრეზიდენტ ფერნანდო ლუგოს იმპიჩმენტის გარშემო პროტესტების სერიების დაწყება. ეს პროგნოზები ეკუთვნის Virginia Tech-ის ექსპერტებს, მაგრამ მეცნიერთა ეს ჯგუფი პროგნოზირების კი არა, პროექტ EMBERS-ის („მბჟუტავი ნაკვერჩხლები“) ჩარჩოში სოციალური პროტესტების ორგანიზებითაა დაკავებული, ე.ი., ეს იყო არა საპროგნოზო, არამედ საპროექტო მოღვაწეობა, გამოდის, რომ IARPA-სა და ცსს-ს პროგნოზისტების გუნდს სატრაბახო არაფერი აქვთ.




**«ფეისბუკისა» და აშშ-ის სპეცსამსახურების თანამშრომლობის შესახებ ცნობილი შეიქნა ედვარდ სნოუდენის (აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი — გ.გ.) მიერ გამომზეურებული მასალების შემდეგ. ედვარდ სნოუდენმა გამოაქვეყნა დოკუმენტები, რომლებიც მოწმობს, რომ «ფეისბუკი», «მაიკროსოფტი», «გუგლი», «იაჰუ», «იუთუბი», «სკაიპი» და «ეიფლი» თავიანთი მომხმარებლების შესახებ ინფორმაციას აშშ-ის ცსს-სა და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს აწვდიან**




ძალიან ცუდი იყო **პროგნოზების სიზუსტე.** ინტელექტუალთა გუნდმა ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის პროფესორ **ფილიპ ტეტლოკის** ხელმძღვანელობით დიდი ძლისხმევის შედეგად შეძლო პროგნოზირებისას შეცდომების საშუალო რაოდენობის 48-დან 39 პროცენტამდე შემცირება. შეგახსენებთ, რომ **მონეტის აგდებით პროგნოზირებისას შეცდომის ალბათობა 50 პროცენტია, რაც ცოტა უარესია, მაგრამ გაცილებით იაფი ჯდება.**

და აი 2018 წელს დაიწყო პროექტ SWARM-ის მორიგი ეტაპი სახელწოდებით HUNT CHALLENGE 2020. ამ ეტაპის მიზანი არის შეფასების მცდელობა, რამდენად ძლიერია „ფეისბუკის“ არაპროფესიონალი მოხალისეების მეშვეობით მოგროვებული „ბრბოს სიბრძნე“ აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის დაზვერვების პროფესიონალი ანალიტიკოსების მიერ შესრულებულ სამუშაოსთან შედარებით.

**შეჯიბრების მონაწილეებს უნდა შეესრულებინათ 4 ამოცანა გეოლოკაციის, აზროვნების მოქნილობის, სადაზვერვო ანგარიშებში სუსტი ადგილების გამოვლენისა და მეკობრეების აქტიურობის პროგნოზირების მიმართულებით.**

„ფეისბუკის“ მეშვეობით შეკრებილი მოხალისეები შესანიშნავად გაუმკლავდნენ დასახულ ამოცანებს და პროფესიონალ მზვერავებზე უკეთესი შედეგები აჩვენეს. ამ მოულოდნელი შედეგების მიზეზი, როგორც პროექტის ორგანიზატორებმა განაცხადეს, იყო ის, რომ მოხალისეები ერთმანეთს გამუდმებით უზიარებდნენ მოსაზრებებს და ამოცანებს კოლექტიურად წყვეტდნენ. თითოეული პროფესიონალი მზვერავი კი, ოფიციალური ვერსიის მიხედვით, მხოლოდ საკუთარ თავს ენდობოდა და ამის გამო მათ გამოცდა წარმატებით ვერ ჩააბარეს.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **HUNT CHALLENGE 2020-ის მიზანი იყო სოციალური ქსელიდან არჩეული მოხალისეების გამოცდა, როგორ შეუძლიათ მათ მოვლენებისა და საფრთხეების პროგნოზირება. ამ შემთხვევაში IARPA-მ და ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გამოსცადეს შესაძლებლობები „ფეისბუკის“, გიგანტური სოციალური ქსელისა, რომლის მომხმარებელთა რაოდენობა 2,5 მილიარდს აღწევს.**

ტესტის წარმატებით ჩატარების შემდეგ კომპანია „ფეისბუკმა“ გადაწყვიტა, თავისი „მშობელი“ აშშ-ის დაზვერვა გაეთავისუფლებინა მომავლის პროგნოზირების ხარჯებისგან. ეს ხარჯები თავის თავზე დაიკისრა და შექმნა პლატფორმა Facebook Forecast-ი. ეს არის მობილურის დანართი იმ პირების კოორდინაციისთვის, რომლებიც პროგნოზს ინდივიდუალურად აკეთებენ.

პლატფორმა Facebook Forecast-ის ამოცანა არის არა მხოლოდ პროგნოზების გენერაცია, არამედ „სუპერპროგნოზისტის“ გამოვლენაც.

„Forecast-ის წყალობით „ფეისბუკს“ ამიერიდან ექნება საკმაოდ სანდო გამოკითხვები, რომლებსაც ის მიჰყიდის ნებისმიერ ორგანიზაციას — პოლიტიკურ ჯგუფებს, სარეკლამო კომპანიებსა და ფინანსურ სპეკულანტებს“, — ამბობენ ექსპერტები, ხოლო აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს გაუჩნდათ შესაძლებლობა, ისე, რომ ყურადღება არ მიიპყრონ, „ფეისბუკის“ საფარქვეშ შეაგროვონ კონფიდენციალური ინფორმაციები და დააპროექტონ მომავალი, ეს სამუშაოები კი ობიექტურ პროგნოზებად გამოაცხადონ.




**„FORECAST-ის წყალობით „ფეისბუკს“ ამიერიდან ექნება საკმაოდ სანდო გამოკითხვები, რომლებსაც ის მიჰყიდის ნებისმიერ ორგანიზაციას — პოლიტიკურ ჯგუფებს, სარეკლამო კომპანიებსა და ფინანსურ სპეკულანტებს“, — ამბობენ ექსპერტები, ხოლო აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს გაუჩნდათ შესაძლებლობა, ისე, რომ ყურადღება არ მიიპყრონ, „ფეისბუკის“ საფარქვეშ შეაგროვონ კონფიდენციალური ინფორმაციები და დააპროექტონ მომავალი, ეს სამუშაოები კი ობიექტურ პროგნოზებად გამოაცხადონ**

Vpoanalytics.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.**

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## ინგლისურ სკოლებს ულტიმატუმი წაუყენეს

**ბრიტანეთის სკოლებს, რომლებიც ბავშვებს ლგბტ-ის შესახებ არაფერს მოუყვებიან, დიდი პრობლემები შეექმნებათ განათლების სტანდარტიზაციის სახელმწიფო ბიუროს მიერ მოწყობილი შემოწმების შემდეგ, სკოლის ხელმძღვანელობის შეცვლის ჩათვლით.**

ყველა სკოლამ, სახელმწიფო თუ კერძო სასწავლებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ არ იზიარებს დისკრიმინაციის არანაირ ფორმას და მათი მოსწავლეები პატივისცემით არიან გამსჭვალულნი ლგბტ პირების მიმართ. ეს ეხება რელიგიურ სკოლებსაც: მასწავლებლებმა უნდა ახსნან, რომ ზოგ რამეს რელიგია კრძალავს, მაგრამ ლგბტ-ის პატივისცემით უნდა მოვეპყროთ.

## სამი იტალიელის მიერ გაუპატიურებული ქალი აივნიდან გადახტომას აპირებდა

**ეს მოხდა, როცა სამმა ახალგაზრდამ ბრიტანელ ტურისტზე იძალადა, — იუწყება Lecce Prima.**

32 წლის ქალის თქმით, მან ამ ახალგაზრდებთან საღამო გაატარა, მოგვიანებით დაბრუნდა აპარტამენტებში, რომლებიც მას და მის მეგობარს დაქირავებული ჰქონდათ. დაეწყო ისტერიკა, „ისე ყვიროდა, რომ მეზობლები შეწუხდნენ“, — წერია პუბლიკაციაში.



ინფორმაციაში ნათქვამია, რომ ტურისტი გავიდა აივანზე და გადახტომა დააპირა. ადამიანებმა, რომლებიც ამ სცენას შეესწრნენ, გამოიძახეს პოლიცია. სამართალდამცველებმა თავგანწირული ტურისტი საავადმყოფოში წაიყვანეს.

პოლიცია არკვევს დანაშაულის დეტალებს და დაკვირვებით შეისწავლის ვიდეოკამერების ჩანაწერებს.





## სექსი ბავშვების თვალწინ?

**ყველაფერი აქეთ მიდის.**

**დანიაში საბავშვო პოპულარულ ტელეშოუ Ultra Strips Down-ში ნორჩ მაყურებლებს აჩვენეს მოზრდილების გენიტალიები, — იუწყება The New York Times-ი.**

„დანიაში ეს პროგრამა ფრიად პოპულარულია“, — აღნიშნულია ინფორმაციაში.

ამ გადაცემის მიმდინარეობისას ბავშვები უფროსებს უხერხულ შეკითხვებს უსვამდნენ. გადაცემის ავტორები ირწმუნებიან, რომ მათი ნამუშევარი ბავშვების აღზრდა-განათლების ამაღლებას ემსახურება. ამბობენ, მასალის ამგვარ მიწოდებაში ჩადებულია ბოდი-პოზიტივისა და ფიზიკური ნაკლით გამოწვეული სირცხვილის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## ევროკომისიის ხელმძღვანელს ყველა გაუკუღმართებულის შვილად აყვანა სურს






**ევროკომისიამ მოითხოვა, რომ ევროკავშირის ყველა ქვეყანამ გააოფიციალუროს სოდომური „ქორწინებანი“. 2020 წლის 16 სექტემბერს ეს განაცხადა ევროკომისიის თავმჯდომარე ურსულა ფონ დერ ლაიენმა. მან თქვა, რომ ევროკომისია „სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლების უფლებების განმტკიცების სტრატეგიაზე“ მუშაობს.**

„მინდა განგიმარტოთ, რომ ლგბტ-ისგან თავისუფალი ზონები არის ჰუმანური ფასეულობებისგან თავისუფალი სივრცეები. ამ სივრცეებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენს ევროპულ კავშირში“, — განაცხადა ფონ დერ ლაიენმა ბრიუსელში ევროპარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას. ამრიგად, ევროკომისიამ მოითხოვა „ერთნაირსქესიანთა ქორწინების“ აღიარება ევროკავშირის ყველა ქვეყანაში. ვინც ამ სიგიჟის წინააღმდეგია, გავიდესო ალიანსიდან.

ნიშანდობლივია, რომ ურსულა შვიდი შვილის დედაა. მერკელის მთავრობაში შრომისა და სოციალურ საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა. მაშინ ურსულას, გერმანიის თავდაცვის მინისტრად რომ გადაიყვანეს, „ქალი-სასწაული“ დაარქვეს. ახლა ამ „სასწაულს“ ევროკავშირის ყველა გაუკუღმართებულის დედობა სურს.

დღეს პოლონეთში, უნგრეთში, ლატვიაში, ბულგარეთში, სერბეთში, მოლდოვაში ჩერნოგორიაში ჰომოსექსუალური შეუღლება კანონით არის აკრძალული. სან-მარინოში, კვიპროსზე, საბერძნეთში, ანდორაში, შვეიცარიაში, ხორვატიაში, სლოვენიაში, ჩეხეთში, უნგრეთში, ლიხტენშტეინში, ესტონეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში სამოქალაქო პარტნიორული კავშირის გაფორმება დაშვებულია.

„განათლებული“ ევროპის ყველა ქვეყანაში გავრცელებულია გაუკუღმართების ეპიდემია. სოდომელები, ლესბოსელები, ტრანსვესტიტები, ზოოფილები და „მსოფლიოს არატრადიციული ორიენტაციის სხვა მოქალაქენი“ აწყობენ თავიანთ კონგრესებსა და აღლუმებს, რომლებშიც არცთუ იშვიათად მონაწილეობენ ათასობით გაუკუღმართებული და მათი თანამგრძნობნი მაღალი თანამდებობის პოლიტიკური ფიგურების ხელმძღვანელობით.

დასავლეთში მიმდინარეობს დექრისტიანიზაციის პროცესი ლოზუნგით „ერთიანი საზღვრების, მათ შორის სექსუალური განსხვავებულობის გარეშე გლობალური მსოფლიოს შესაქმნელად“. მიზანი თვისობრივად ახალი საზოგადოების შექმნაა, რომელშიც არ იქნება სახელმწიფოები, საზღვრები, ზნეობის ნორმები და ცივილიზაციის ფასეულობები. უნდა წარმოიქმნას რაღაც ახალი, საერთო ეკონომიკური სივრცე, რომელშიც იბორიალებენ თავისუფალი უეროვნებო ინდივიდები, თითქოსდა დაცული უფლებათა რაღაც ნორმებით, სინამდვილეში კი უპარდონო მანიპულირების ობიექტები. ისინი არც თავიანთ მიწასთან არიან დაკავშირებული, არც ისტორიასთან, არც რწმენასთან, არც ოჯახთან, ამ სიტყვის ცივილიზებული გაგებით.

ეკლესია, სამშობლო, ოჯახი, ტრადიციები — ეს ცნებები აცოფებს სოდომიის იდეოლოგებს. ტრადიციული ფასეულობებისგან დაცლილი ადამიანები იოლად სამართავნი არიან, ამიტომ სურს ევროკომისიას, ურსულა ფონ დერ ლაიენის მეთაურობით, გაამართლოს თავისი არჩევანი სოდომური ცოდვის მიმართ და განამტკიცოს იგი კანონის ძალით. ეს კი აშკარა მკრეხელობაა.

# ევროპელებს დაავალდებულებენ, მოიპოვონ თანხმობა სექსზე

**დანიის მემარცხენე მიმართულების პარტიებმა მოითხოვეს, შეცვალონ სექსუალური ძალადობის შესახებ არსებული კანონები, რათა აშკარა და უტყუარი თანხმობის გარეშე განხორციელებული სექსი იდევნებოდეს ისევე, როგორც სექსუალური ძალადობა, — იუწყება საინფორმაციო სააგენტო AP-ი.**

ეს პარტიები დანიის პარლამენტში უმრავლესობით არიან წარმოდგენილნი. კენჭისყრის ოფიციალური თარიღი გამოცხადებული არ არის, მაგრამ ვარაუდობენ, რომ საკანონმდებლო ცვლილებებს 2020 წლის ბოლომდე დაამტკიცებენ.

შეთანხმების საფუძველზე, რომელსაც მიაღწიეს დანიის სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ და მემარცხენე პარტიებმა, დანიურ კანონმდებლობაში აღინიშნება, რომ სექსუალური თანხმობა მიღწეული უნდა იყოს ნებაყოფლობით, როგორც ინდივიდის თავისუფალი ნების გამოხატვა სიტყვის ან ქმედების საშუალებით.

**„ეს არის დანიაში თავისუფლებისთვის ბრძოლის ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელიც დიდი ხნით გაჭიანურდა“,** — განაცხადა დანიის იუსტიციის მინისტრმა **ნიკ ჰეკერუპმა.**



**„ძალადობის ახალი განსაზღვრა დაფუძნებულია ნებაყოფლობით პრინციპზე და არის ჩვენი ძალისხმევის მნიშვნელოვანი მიჯნა“,** — დასძინა მან.

შვედეთში, გერმანიაში, ბელგიასა და ბრიტანეთში უკვე ამოქმედდა ანალოგიური კანონები.

**„აქვს კი ევროპას პოლიტიკური, ფიზიკური და სულიერ-კულტურული ძალა, პასუხი გასცეს გლობალიზმს, რომელიც ანგრევს ქვეყნებს, ხალხებსა და კულტურებს? ეს მხოლოდ რუსეთთან თანამშრომლობით შეიძლება და არა მის წინააღმდეგ ბრძოლით“.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გერმანელი პუბლიცისტი: ნავალნი უკიდურესი მარგინალია!

**„ალექსეი ნავალნი უკიდურესად მარგინალი პოლიტიკური ოპონენტია იმისთვის, რომ მის გამო რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს საფრთხე შეექმნა გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვან პროექტ „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ისთვის“, — დაწერა ცნობილმა გერმანელმა პუბლიცისტმა ტორსტენ ჰინცმა.**


ტორსტენ ჰინცი

სტატიაში სათაურით „გაზი, შხამი და გეოპოლიტიკა“ ჰინცი ბლოგერ ნავალნის მიმართ განხორციელებულ შეტევაზე მსჯელობს.

„ნათელია, ვინ მოიგებს ამ დანაშაულით: „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის ტრანსატლანტიკურმა მოწინააღმდეგეებმა გერმანულ-რუსული პროექტის დახურვა თავიანთ მორალურ ვალდებულებად გამოაცხადეს. ბრალდებულის დასასახელებლად მათ არ სჭირდებათ მტკიცებულებები. **პუტინზე შეიძლება ბევრი რამ ითქვას, მაგრამ არა ის, რომ სულელია. და ძალიან დიდი სისულელე იქნებოდა საფრთხის შექმნა ეკონომიკურად, პოლიტიკურად და გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროექტისთვის უკიდურესად გამარგინალებული ოპონენტის გამო“**, — წერს გერმანელი პუბლიცისტი. მისი აზრით, ევროპა აშშ-ისთვის არის დამოკიდებული ტერიტორია, რომელიც, **ზბიგნევ ბჟეზინსკის** თქმით, „ამერიკული ძლიერების პლაცდარმია და, საერთოდ, პლაცდარმია ევრაზიის კონტინენტზე ექსპანსიისთვის“.


ალექსეი ნავალნი

„ყურადღებას, ძირითადად, უთმობენ გერმანიას — უმნიშვნელოვანეს ევროპულ ქვეყანას. **ისევე, როგორ ადრე ინგლისს, ახლა ამერიკას, არ სურს რუსეთის ბუნებრივი რესურსებისა და გერმანიის ტექნიკური შესაძლებლობების გაერთიანება. გერმანელები კი გერმანულ-რუსულ პროექტში ხედავენ ევრაზიის ენერგეტიკული და ეკონომიკური სივრცის ბირთვს, რომელიც აშშ-ისგან გაათავისუფლებს“**, — წერს ტორსტენ ჰინცი და სვამს კითხვას: „აქვს კი ევროპას პოლიტიკური, ფიზიკური და სულიერ-კულტურული ძალა, პასუხი გასცეს გლობალიზმს, რომელიც ანგრევს ქვეყნებს, ხალხებსა და კულტურებს? ეს მხოლოდ რუსეთთან თანამშრომლობით შეიძლება და არა მის წინააღმდეგ ბრძოლით“, — ასკვნის გერმანელი ჟურნალისტი.

**«ძალიან დიდი სისულელე იქნებოდა საფრთხის შექმნა ეკონომიკურად, პოლიტიკურად და გეოსტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი პროქტისთვის უკიდურესად გამარგინალებული ოპონენტის გამო»**

**eadayli.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

# აშშ-ის ელჩი პოლონეთს სამხედრო ხარჯების შემცირებით დაემუქრა ლგბტ თემის მიუღებლობის გამო

**„პოლონეთის ხელისუფლების მტრული დამოკიდებულება სექსუალური უმცირესობების მიმართ ქვეყანას რთული გამოწვევების წინაშე აყენებს და არაკეთილსასურველი საინვესტიციო და სამხედრო გადაწყვეტილებებისკენ მიჰყავს“, — განაცხადა პოლონეთში აშშ-ის ელჩმა ჯორჯეტ მოსბახერმა ინგლისურენოვანი გამოცემა Polish Armed Forcec New-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.**


ჯორჯეტ მოსბახერი

ამერიკელმა დიპლომატმა კომენტარი გააკეთა პოლონეთსა და დასავლეთ ევროპის ელიტას შორის კონფლიქტზე ლგბტ თემის გამო. და, თუ ბრიუსელმა ევროკომისიის ხელმძღვანელ **ურსულა ფონ დერ ლაიენის** პირით ქარაგმებით ილაპარაკა ვარშავის მიერ „კანონის უზენაესობის“ დარღვევაზე, **ამერიკის ელჩმა პირდაპირ განაცხადა, რომ პოლონეთის ხელისუფლების მიერ ლგბტ თემის მიუღებლობის გამო ქვეყანას სერიოზული პრობლემები შეექმნება საერთაშორისო დონეზე.**

„პოლონეთს დასავლეთში აქვს რეპუტაცია ქვეყნისა, რომელიც მტრულად არის განწყობილი სექსუალური უმცირესობების მიმართ. ეს გამოიწვევს არაკეთილსასურველ საინვესტიციო გადაწყვეტილებებს. ეს, აგრეთვე, გავლენას იქონიებს სამხედრო საკითხებზე. საიდუმლო არავისთვის არის, რომ აშშ-ის კონგრესმენები ჩართულნი არიან ლგბტ თემის საქმეებში და ჩვენი კონგრესი, სხვა საკითხებთან ერთად, წყვეტს სამხედრო საკითხებსაც“, — განაცხადა მოსბახერმა.

მან აღნიშნა, რომ პატივს სცემს პოლონეთს, როგორც კათოლიკურ ქვეყანას, შემდეგ კი ასე მიმართა პოლონეთის ელიტას: **„მიუხედავად ამისა, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ცდებით, როცა საქმე ეხება ლგბტ-ს. ადამიანის უფლებები უნივერსალურია, დომინაციური ეკლესიის მიუხედავად“.**

**eadayli.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

**«პოლონეთს დასავლეთში აქვს რეპუტაცია ქვეყნისა, რომელიც მტრულად არის განწყობილი სექსუალური უმცირესობების მიმართ. ეს გამოიწვევს არაკეთილსასურველ საინვესტიციო გადაწყვეტილებებს. ეს, აგრეთვე, გავლენას იქონიებს სამხედრო საკითხებზე. საიდუმლო არავისთვის არის, რომ აშშ-ის კონგრესმენები ჩართულნი არიან ლგბტ თემის საქმეებში და ჩვენი კონგრესი, სხვა საკითხებთან ერთად, წყვეტს სამხედრო საკითხებსაც»**



# ბელარუსში სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობი ფული გათავდა, ოპოზიციონერები შინ ბრუნდებიან

**ოპოზიციონერები ერთმანეთის მიყოლებით ტოვებენ ბელარუსს და ემიჯნებიან თავიანთ პროექტებს. ბელარუსის ოპოზიციური Telegram-არხის, Nexta-ს მთავარმა რედაქტორმა რომან პროტასევიჩმა „ფეისბუკში“ დაწერა, რომ 27 სექტემბრიდან ურთიერთობა აღარ აქვს არხთან.**

**პროტასევიჩის** თქმით, გადაწყვეტილება არხიდან წასვლის შესახებ „სპონტანური არ არის“. მან, აგრეთვე, განაცხადა, რომ არ გაქრება „დევაისების ეკრანებიდან“ და მალე წარმოადგენს ახალ პროექტს. Nexta — ეს არის ბელარუსის ოპოზიციური Telegram-არხი, რომელიც მეთოდურად აღვივებდა პროტესტს საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების წინააღმდეგ. უკვე რამდენიმე დღეა, არხის პოპულარობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

მეორე ოპოზიციონერი **სვეტლანა ალექსიევიჩი**, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, გერმანიაში გაემგზავრა.

„ნობელის პრემიის ლაურეატი და საკოორდინაციო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი სვეტლანა ალექსიევიჩი 28 სექტემბერს, დილით, გაფრინდა გერმანიაში. მისი გამგზავრება დაკავშირებული არ არის საკოორდინაციო საბჭოს წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან“, — მოჰყავს Sputnik-ბელარუსს ალექსიევიჩის თანაშემწის სიტყვები, რომელიც ირწმუნება, რომ ალექსიევიჩი ბელარუსიდან პირადი საქმეების გამო გაემგზავრა.

ბელარუსში მიმდინარე ბოლოდროინდელ პროცესებს ექსპერტი **ალექსანდრე როჯერსი** აანალიზებს და ამბობს, რომ პროტასევიჩი თავისი ნებით კი არ წავიდა Telegram-არხის მთავარი რედაქტორის პოსტიდან, არამედ მას ზედმეტი ლაპარაკისა და უცოდინარობისთვის ჭიტლაყი ამოჰკრეს კურატორებმა.

მეორე მხრივ, უკვე ნათელია, რომ ბელარუსში სახელმწიფო გადატრიალება ვერ მოახერხეს და, როგორც ჩანს, უახლოეს ხანში ვერც მოახერხებენ, ამიტომ ახლა აქტიურად განვითარდება პროცესები რამდენიმე მიმართულებით. Nexta-ს (და მის მსგავს პროექტებს) დაფინანსებას შეუმცირებენ ან სრულად შეუწყვეტენ (2019 წელს ასე დახურეს პროექტი „ქარტია-97“), ამასთანავე, დაიწყებენ განტევების ვაცის ძებნას ბელარუსში სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობის გამო.

ის, ვინც ჭკვიანია ბელარუსის ოპოზიციაში, უკვე გულმოდგინედ ემიჯნება ჩაფლავებულ სახელმწიფო გადატრიალებას. საკოორდინაციო საბჭო დაიშალა, მისი წევრები ქვეყნიდან გარბიან... დარჩა მხოლოდ „პრეზიდენტი სვეტა“ (სვეტლანა ტიხანოვსკაია), რომელიც ლიტვამ პრეზიდენტის ტიტულით დააჯილდოვა და რომელსაც გასაქცევი არ აქვს ლიტვურ-პოლიტიკური წყალქვეშა ნავიდან.

**Ru-an.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**


სვეტლანა ტიხანოვსკაია

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გამგებელნი სახელმწიფო ბედისანი იძახიან, რომ ერი პოლიტიკისათვის არის ქვეყანაზედ გაჩენილი და ამიტომაც თქვენ სუო; სახელმწიფოს გულშემატკივარნი ერის მოყვარენი-კი პასუხად ეუბნებიან: უკაცრავად, პოლიტიკაა ერისათვის გაჩენილი და არა ერი პოლიტიკისათვისაო. სწორედ მოგახსენოთ, მთელი პოლიტიკური ისტორია ევროპისა ამ ორთა მოძლვრებათა ერთმანეთთან ბრძოლაა და სხვა არაფერი“.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# «დღევანდელი ევროპა ჰგავს იმ კაცსა, რომელიც გარედამ მტერს უყენებს თვალსა და შიგნიდამ მოყვარესა»

**ინტერნეტსივრციდან თუ ტელერადიომაუწყებლობისა და პრესის საშუალებით საზოგადოება სისტემატიურად იღებს უამრავ ინფორმაციას დღევანდელი ევროპის მდგომარეობაზე. სხვადასხვა ინფორმაცია ჩვენი გაზეთის ყოველ ნომერშიც იბეჭდება. ილია ჭავჭავაძის წერილები, რომლებზეც ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ, ილიას ეპოქის ევროპულ ქვეყნებს შეეხება, მათ ურთიერთდამოკიდებულებას.**

**ილია ერთგან წერს, თუ რა „ძლიერია ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავის ქვეყნის სიყვარული ასე ამხნევებს, ასე ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ, გულზე ხელს კი არ აკრებინებს, როგორც იმედგადაწყვეტილს, სასოებადაკარგულს, არამედ იმოდენად ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მისძრავ-მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი“. თუმცა იქვე დასძენს, პორტუგალიაც და ინგლისიც მოცემულ შემთხვევაში დამპყრობელია, ხოლო ის ქვეყანა, რომელსაც ისინი ერთმანეთს ედავებიან, „ორთაშუა მომწყვდეულან და უილაჯობით ვაის გაურბიან, იმის არ მცოდნენი, რომ ვუის შეეყრებიან. ერთისა და მეორისაგან იმ გზითვე იჩაგრებიან, რა გზითაც დღეს იჩაგრება პორტუგალია ინგლისისაგან. სამართალიო, იძახის პორტუგალია. ქვეყანაზე რომ სამართალი იყოს, ინგლისსაც პირში ჩალას გამოავლებდა და პორტუგალიასაც. საიდამ მოსულხართ, იქავ წადითო, თქვენ იქ ხელი არა გაქვთ, იქაური პატრონები იქაურივე მკვიდრნი არიან და თქვენ რაზე შესჩენიხართ ჭიასავით“. ქვეყანაზე სამართალი დღეს მაინც რომ იყოს, ქართველებსაც გვეტყოდნენ უცხოელი „მეგობრები“ — ეს თქვენი ქვეყანაა და იცხოვრეთ, როგორც გინდათო; არ „შემოგვაჩერდებოდნენ ჭიასავით“ და არ მოგვიწევდა სხვის დაკრულზე ცეკვა...**

**მაგრამ სად არის ეს სამართალი? როგორც ილია ამბობს, „იგი თვალწინ ლამპარსავით უნთია ადამიანს მარტო იმ დრომდე, ვიდრე გახელებული ძალა არ მოვა და ერთის შებერვით არ ჩააქრობს ხოლმე“.**

**არის თუ არა დღეს ეს „გახელებული ძალა“ ევროპა?**

**ამ კითხვაზე პასუხი თქვენთვის მოგვინდვია, მკითხველო. ჩვენ კი ილიას წერილების მეშვეობით გაგაცნობთ, როგორი იყო ევროპა 130 წლის წინათ. ის ევროპა, რომელმაც შვა კაცობრიობის მტერი — ფაშიზმი, რამდენად ჰგავს ამჟამინდელს თავისი ზრახვებითა და პრობლემებით და რა ძალას წარმოადგენს დღეს მსოფლიოს პოლიტიკურ ველზე, ძნელი მისახვედრი არ არის. დიახ, დღევანდელი ევროპაც ჰგავს იმ კაცს, რომელიც გარედან მტერს უყენებს თვალს და შიგნით — მოყვარეს.**



## «რაც დრო მიდის, ევროპაში უფრო და უფრო ძლიერდება ერთა შორის დაუნდობლობა და მძულვარება»

## მილიტარობა ევროპაში

დღევანდელი ევროპა ჰგავს იმ კაცსა, რომელიც გარედამ მტერს უყენებს თვალსა და შიგნიდამ მოყვარესა. მართლა-და მთელი ევროპა რომ მოიაროთ, ერთ სახელმწიფოს ვერა ჰნახავთ, რომ გული გულის ადგილასა ჰქონდეს. ყველას მუშტი მოღერებული უჭირავს მტრის თვალის დასაყენებლად, და ამავე დროს გულში რომ ჩაჰხედოთ, ბევრს იმისთანას ჰნახავთ, რომ მოყვარეს თვალი უდგება. **გაუჭირდა ევროპის ხალხსა ცხოვრება. უკეთესი ნაწილი ერისა და მოზრდილი ლუკმა ერის ქონებისა იღუპება დღეყოველ და ამ ნაწილს ერისას და ერის დიდძალს ქონებას ჰყლაპავს იგი გაუმაძღარი ვეშაპი, რომელსაც შეთოფიარაღებულს მშვიდობიანობას ეძახიან.** ამ გზით მშვიდობიანობის დაცვა ერთი დიდი უბედურებაა ევროპისა და ეს უბედურება მოუვლინა ამ ბრწყინვალედ განათლებულ ქვეყანას თ. ბისმარკმა და მისმა მეტისმეტად გაკადნიერებულმა და მოურიდებელმა პოლიტიკამ.

საითაც-კი მიიხედავთ, რაზმი რაზმზედ ეწყობა, ჯარებს, რაც ძალი და ღონე აქვთ, უმატებენ, თოფსა და ზარბაზანს და ტყვია-წამალს ამზადებენ და მაინც გვეფიცებიან, რომ მშვიდობიანობის მეტი გულში არა გვაქვს-რაო. ვერ წარმოიდგენთ, რა აუარებელი ფული ამოდის ევროპის მკვიდრთა ჯიბისაგან და რა აუარებელი იხარჯება ამ შეთოფიარალებული მშვიდობიანობისათვის. ვერაფერი მშვიდობიანობაა, თუკი კაცი იძულებულია, ხელი ხმალზედ ევლოს დღემუდამ და ისე ჰპატრონობდეს თავის-თავსა. ტყუილად-კი არა სთქვა მონტესკიემ, რომ „სჯობია უბედურის ომის განსაცდელს მიეცეს კაცი, ვიდრე ფული გაიღოს მშვიდობიანობის დასაცავადო“. ამას გამგებელნი ევროპისა ისე ნათლად ვერა ჰხედვენ, როგორც თითონ მკვიდრნი თავის თავზე ჰგრძნობენ.

ევროპის მკვიდრთა მუხლი ეკეცებათ დღევანდელის დღის სიმძიმის ქვეშ, სული შეეხუთათ, არაქათი აღარა აქვთ. აი ის შიგნითი მხარე დღევანდელის ევროპისა, რომელიც მოყვარეს თვალს უყენებს.

შეიხედეთ ერთი **გერმანიაში**, რა ყოფა აქვთ პარლამენტში ერთის მხრიდამ ბისმარკსა და მის დამქაშებსა და მეორის მხრით გერმანიის ერის გულშემატკივართა. ტყუილად ეძებენ თ. ბისმარკი და მისი ავანჩავანები ამის მიზეზს იმაში, ვითომც პირადი შური და მტრობა აგეშებდეს მის მოპირდაპირეებს, როცა ეგრე მიესევიან ხოლმე თ. ბისმარკსა. აი, აიღეთ თუნდა **საფრანგეთი.** განა მოსალოდნელია, რომ ამისთანა ქვეყანაში ერთი ვიღაცა პამპულა გენერალი გამოტყვრეს და იძახოდეს: მე ვარ მხსნელი საფრანგეთისა ჭირთაგან და ვაი-ვაგლახისაგანაო. მოდით და მე განგისვენებთ თქვენო, და ერიც იჯერებდეს და სახსნელად კალთაზედ ხელსა სჭიდებდეს! განა დასაჯერებელია ყოველივე ეს, თუ ერი იმ ყოფაში არა ჰგრძნობდეს თავსა, როცა კაცს, სხვა გზა რომ არა აქვს, ხავსს ეჭიდება დარჩობისაგან თავის დასახწევად.

აბა მიჰხედეთ, რა საცოდავად ჰღაღადებს **იტალიის** ერი უქონლობისა და უილაჯობისაგან, — გავწყალდით, ლუკმა პური აღარ შეგვრჩაო. ნუთუ იმისათვის მოვიპოვეთ თავისუფლება და ერთობა, რომ ამ ყოფაში ჩავცვივნილიყავითო! მოგვაშორეთ ეგ რაღაც ჭირი გერმანიაა, რომელმაც ეს უბედურება აგვკიდა ზურგზედ და სული ველარ მოგვიბრუნებიაო.

არც-კი **ავსტრიაა** უკეთესს დღეში. აქაც-კი ერი ჰდრტვინავს და ჰკვნესის დღევანდელის დღის გაჭირვებისაგან და გულამღვრეულად გასცქერის გერმანიას, რომელმაც ეს დღე მოუვლინა მთელს ევროპას ერთად და ავსტრიას საკუთრივ. **ეს დასისა და დასის ერთმანეთთან ბრძოლა და ეს ამათი პარლამენტებსა და სხვა სარბიელზედ ერთმანეთის წეწვა და გლეჯა სულ ერთის სათავიდამ მოდის. ყველაფერი ეს რომ გაფხიკოთ, გასცხრილოთ, ძირს დარჩება ორი ერთმანეთის მოპირისპირე მოძღვრება, ორივ ერთნაირად უჯათი და ერთნაირად სამართლიანი-კი არა. გამგებელნი სახელმწიფო ბედისანი იძახიან, რომ ერი პოლიტიკისათვის არის ქვეყანაზედ გაჩენილი და ამიტომაც თქვენ სუო; სახელმწიფოს გულშემატკივარნი ერის მოყვარენი-კი პასუხად ეუბნებიან: უკაცრავად, პოლიტიკაა ერისათვის გაჩენილი და არა ერი პოლიტიკისათვისაო. სწორედ მოგახსენოთ, მთელი პოლიტიკური ისტორია ევროპისა ამ ორთა მოძღვრებათა ერთმანეთთან ბრძოლაა და სხვა არაფერი.** ყოველივე სხვა მოძღვრება თითქმის აქ მიდის და აქედამ მოდის. დროთა მდინარეობაში ხან ერთი მოძღვრებაა ქვეშ და ხან მეორე, რადგანაც დღემუდამ ჭიდილში არიან, ხოლო დღეს-კი ევროპის ერი თ. ბისმარკის წყალობით იმ მოძღვრების ქვეშ არის, რომელიც ჰქადაგებს, ჯერ პოლიტიკა და მერე ერიო. აქ გაწირული ერია, და რაღა საკვირველია, რომ იგი ზოგან ჰტოკავს, ზოგან შფოთავს, და ხანაც იმისთანა პამპულას მოეჭიდება ხოლმე კალთაზედ, როგორც ბულანჟეა და სხვა ამისთანა ცრუპენტელა და ჩიტირეკია გენერალი.

**ტფილისი, 16 იანვარი, 1889 წელი**

## ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი

ერთაშორისი დაუნდობლობა, ომი და სისხლის ღვრა რომ კაცობრიობის ბედნიერებისა და კეთილდღეობის სულის შემხუთავი და დამღუპავია, ეს დიდი ხანია შეგნებული აქვსთ მეცნიერებისა და მწერლობის წარმომადგენელთ. იმისდა მიუხედავად, რომ ეგ აზრი მეტად ადვილი გასაგებია, **მთელი ევროპა მუდამ იმასა ცდილობს, რომ საომრად მოემზადოს;** ამ განზრახვით ევროპის სახელმწიფონი არავითარს ხარჯსა და საშუალებას არა ჰზოგავენ მხოლოდ იმიტომ, რომ აუარებელი ჯარი იყოლიონ. ასორმოცდაათ წელიწადზე მეტია, რაც საფრანგეთის გამოჩენილი ფილოსოფოსი მონტესკიე სჩიოდა, რომ ევროპა თანდათან უმატებს ჯარებსა და თოფ-იარაღს, ამისათვის არა ჰზოგავს არავითარ ხარჯს და ამითი თავს იღარიბებს და იღატაკებსო. მონტესკიეს სიტყვას არავინ გაუფრთხილებია და დღეს ევროპის სახელმწიფონი თოფ-იარაღში სხედან და მზად არიან ერთმანეთი სისხლის მორევში დაარჩონ.

**ევროპის ამგვარს ყოფა-მდგომარეობას ერის გაღარიბება, გაღატაკება მოსდევს. ამჟამად ევროპას თექვსმეტ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავს. ამ მოკლე ხანში ოც მილიონამდე შეისრულებს.** ერთის სიტყვით, მთელს ევროპას თოფ-იარაღის ქვეშ ჰყავს ერთი მერვედი მთელის მუშა, მწარმოებელის ხალხისა. ეს ერთი მერვედი წლიდგან წლამდე არაფერს აკეთებს, მხოლოდ სამხედრო ხელობაში ვარჯიშობს და თავის თანამოძმეთა ნაშროhმითა და ნაღვაწით იკვებება. საფრანგეთი, რომელსაც ოთხ მილიონამდე ჯარისკაცი ჰყავს, ჯარსა და ფლოტს ანდომებს წელიწადში 900 მილიონ ფრანკზე მეტს. ეს ფული ყველა მკვიდრზე რომ გავანაწილოთ, გამოვა, რომ თითო მკვიდრი ჯარისა და ფლოტის შესანახად იხდის წელიწადში 24 ფრანკსა და ნახევარს. ინგლისის თითო მკვიდრი იხდის წელიწადში 21 ფრანკს, და გერმანიისა 12 C-ს. ეხლა ვნახოთ, რამდენი ჯარი ჰყავს ჩრდილო ამერიკის შტატებს და რამდენი ეხარჯება. ამ შტატებს ჰყავს მხოლოდ 27.000 ჯარისკაცი. ამ მცირე ჯარის შესანახად თითო მკვიდრი წელიწადში იხდის 4 C ფრანკს. როგორც ჰხედავთ, ამერიკის მხედრობა ბევრად ჩამორჩენია ევროპისას. სამაგიეროდ ერის სიმდიდრე და კეთილდღეობა ამერიკის შტატებისა იმდენად სჯობნის ევროპისას, რომ ვაჭრობასა და მრეწველობაში შტატები ყოველისფრით წარმატებულნი არიან ევროპაზე და თანდათან იმორჩილებენ ევროპას. თუ საქმე ამგვარად წავიდა, იმედია, რომ შტატები ეკონომიურად სულ ერთიანად დაიმორჩილებენ ევროპას, რომელიც აუცილებლად გაკოტრდება. მაშინ, როდესაც შტატები თანდათან იხდიან სახელმწიფო ვალებს, ევროპის სახელმწიფონი-კი თანდათან ვალებში სცვივიან.

**რაც დრო მიდის, ევროპაში უფრო და უფრო ძლიერდება ერთა შორის დაუნდობლობა და მძულვარება.** ▶

**ქვეყანაზე სამართალი დღეს მაინც რომ იყოს, ქართველებსაც გვეტყოდნენ უცხოელი «მეგობრები» — ეს თქვენი ქვეყანაა და იცხოვრეთ, როგორც გინდათო... მაგრამ სად არის ეს სამართალი? როგორც ილია ამბობს, «იგი თვალწინ ლამპარსავით უნთია ადამიანს მარტო იმ დრომდე, ვიდრე გახელებული ძალა არ მოვა და ერთის შებერვით არ ჩააქრობს ხოლმე». არის თუ არა დღეს ეს «გახელებული ძალა» ევროპა?**

# „დღეს-კი ევროპის ერი... იმ მოძღვრების ქვეშ არის, რომელიც ჰქადაგებს, ჯერ პოლიტიკა და მერე ერიო. აქ გაწირული ერია, და რაღა საკვირველია, რომ იგი ზოგან ჰტოკავს, ზოგან შფოთავს“.

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ამ მხრით ამერიკა სრულიად სხვა სურათს წარმოგვიდგენს. ამერიკის სახელმწიფოთ აზრად აქვს სახელმწიფოთა ძმური კავშირი დაადგინონ, რისათვისაც ქალაქ ნიუიორკში კონგრესი შეიკრიბება. ამ კონგრესზე ლაპარაკი ექნებათ იმის შესახებ, თუ რა პირობითა და რა საშუალებით უნდა შეერთდნენ ამერიკის სახელმწიფონი ისე, რომ არც ერთი სახელმწიფო ამერიკისა არ დაიჩაგროს. სხვათა შორის, კონგრესზე ისიც გადასწყდება, რომ სახელმწიფოებმა ყოველივე შფოთი, უსიამოვნება და ანგარიში მორიგეობითა და მშვიდობიანად გაათავონ ხოლმე. უეჭველია, რომ რაკი ამერიკის სახელმწიფონი ძმურად მორიგდებიან, მხედრობით გატაცებულს ევროპას კიდევ უფრო დასცემს ეკონომიურად და მსოფლიო მეთაურობასაც დაიმკვიდრებს ამერიკა.

**ტფილისი, 25 თებერვალი, 1889 წელი**

## «ევროპის მკვიდრთა მუხლი ეკეცებათ დღევანდელის დღის სიმძიმის ქვეშ, სული შეეხუთათ, არაქათი აღარა აქვთ. აი ის შიგნითი მხარე დღევანდელის ევროპისა, რომელიც მოყვარეს თვალს უყენებს»









## ევროპის დიდი და პატარა ონავრები

დასავლეთს ევროპას, დიდ ატლანტიკის ოკეანეს პირად, ისპანიის გვერდით, არის ერთი პატარა სახელმწიფო — **პორტუგალია.** ეს დღეს პატარა და ულონო სახელმწიფო ერთს დროს დიდ ამბავში ყოფილა. მისი გაბედულნი და გულსრულნი მკვიდრნი ერთს დროს განთქმულნი იყვნენ ზღვებზე სავაჭროდ სიარულითა და დიდძალი სიმდიდრე და ქონება შეჰქონდათ თავის ქვეყანაში. ამ ბედნიერ ხანაში პორტუგალიამ ბევრი ადგილი დაიჭირა თავის გათამამებულ მკვიდრთა გულმოდგინებით და მხნეობითა და ბევრი ახალშენი (კოლონია) აიჩინა შორეულ ქვეყნებში, საცა-კი მიაწვდინა თავისი ხომალდი, თავისი გემი.

ერთი დრო არავის შერჩენიაო, ნათქვამია. ბევრმა ისტორიულმა მიზეზმა უკან დააყენა ეს ერთს დროს ცოტად თუ ბევრად გაღონიერებული ქვეყანა და ჩვენს დროს იქამდე დააქვევითა, რომ როცა ევროპის საქმეთა აშლილობა ასე თუ ისეააწიოკებს ევროპას, პორტუგალიის ხსენებაცკი არსად არის ხოლმე: არც მისი მოყვრობაა ვისთვისმე სახარბიელო და არც მისი მტრობა საფიქრებელი. ერთი მუჭა ქვეყანაა და ერთი მუჭა ხალხი, და რა სათვალავსა და ანგარიშში მოსატანია ევროპისათვის, საცა მარტო დიდს მუშტსა და გრძელს მკლავსა აქვს ხმა და პატივი. ამ პატარა ქვეყანას თავისი საკუთარი მეფე ჰყავს და თავისი საკუთარი კონსტიტუცია აქვს და იყო დღეს-აქამომდე თავისთავად, ცოტად თუ ბევრად კმაყოფილი და ყოვლად უნაღვლელი გარედამ, თავის საკმაოდ შეღავათიან კონსტიტუციის მფარველობის ქვეშ. ჰპატრონობდა ავად თუ კარგად იმ ქვეყნებს, რომელიც ერთს დროს დაეჭირა და რომელთაგანაც ბევრი აღარა შეარჩინეს-რა დიდმა სვავებმა. ერთი ამისთანა ძველადვე დაჭერილი ადგილი ჰქონდა პორტუგალიას აფრიკაშიაც. ეჭირა ეს ქვეყანა, თუმცა ბევრს არას ჰრჩებოდა და უქმად ეგდო ასე, რომ თითქმის თავმინებებული იყო პორტუგალიისაგან. როცა-კი გერმანიამ და ინგლისმა ამ ბოლოს ხანებში თავიანთი ხარბი თვალი აფრიკას მიჰმართეს, დაიჭირეს ადგილები და დაიწყეს აქეთ-იქით გაწევა, პატარა პორტუგალიაც შეფუცხუნდა, — იმ ჩემ მიერ უპატრონოდ დაგდებულ მამულს ხელი არავინ ჩაავლოსო და შეუდგა იმ მამულის შერჩენის თადარიგსა. თურმე ნუ იტყვით, იქაურ მკვიდრთა როგორღაც შესჩენიან ინგლისელები, მოუნადირნიათ იმათი გული ბევრგვარის ოსტატობით, დაჰპირებიან მფარველობას, და მფარველობის ნიშნად თავისი ბაირაღებიც დაურიგებიათ. ერთი მაიორი პორტუგალიის მხედრობისა რომ მისულა იქ ეხლახან პორტუგალიის სახელით, ინგლისელთაგან გულმოცემულ მკვიდრთა შორის დაუჭერიათ პორტუგალიის ბატონობა. საქმე საომრად გამხდარა. პორტუგალიის მაიორს დაუმარცხებია მკვიდრნი და ინგლისელთაგან ბოძებული ბაირაღები ორიოდე დაუყრევინებია. იწყინა ეს ამბავი ინგლისმა, როგორ თუ შენ გააუპატიურე ჩემი ბაირაღებიო: როგორ თუ გაჰბედე და ჩემ კალთის ქვეშ მყოფი ქვეყანა გამილახეო, შეუთვალა პორტუგალიას ინგლისმა. აბა ეს ღონიერი და ძლიერი ინგლისი ერთის მხრით და ეს ულონო პორტუგალია — მეორეს მხრით!.. მოდი და ნუ მოიბუზები. რადა ჰნებულობ ეგრე ცხარედ ლაპარაკსაო, უპასუხა პორტუგალიამ კრძალვით: სამართალი ხომ აქ არის, ამოვარჩიოთ შუაკაცები და ვისაც აკუთვნებენ იმ ქვეყანას, აკუთვნონო. ნეტა ღონიერი და ძლიერი ინგლისი რად იკადრებდა სამართალს, როცა მოპირისპირედ ულონო პატარა პორტუგალია უდგა. საცა ერთის მხრით პირდაღებული ვეშაპია და მეორეს მხრით — მობუზული კრავი, იქ, ეხლანდელს დროში, სამართალს დაეკითხებაღა ვინმე?.. განათლებულმა ინგლისმა ეს იუარა და შეუთვალა, ხელი აიღე, თორემ მიწასთან გაგასწორებო. „ძალა შესწევს ქადილსა“ და საწყალმა პორტუგალიამ ხმა გაიკმინდა.

ერი პორტუგალიისა აიმღვრა, აირია, გულზე მოვიდა, რომ ინგლისმა თავისი ძლიერი მუშტი მოუღერა ულონოსა და სუსტს პორტუგალიასა და არ-დასათმობი დაათმობინა. პორტუგალიის ერმა ძალიან კარგად იცის, რომ ძალა აღმართსა ჰხნავს, რომ ინგლისთან გამკლავება ქვეყნის დაღუპვა და გათახსირება იქნება. ომი ვერ გაუბედა ხმალდახმალ, მაგრამ გულმოდგინე მამულიშვილობამ სხვარიგ ომისათვის გამოაღებინა ხელი პორტუგალიის ერსა. ეს უნდა ვიცოდეთ, რომ ინგლისს პორტუგალიაში დიდი ვაჭრობა აქვს. აი, სწორედ აქ იყარეს ჯავრი ინგლისელებისა. თუ ხმალით ვერას დავაკლებთ, ჯიბეს ხომ ცოტად თუ ბევრად მოვაჭრითო, — სთქვეს და აიღეს და ყოველივე აღებ-მიცემობა ამოჰკვეთეს ინგლისთან. დააკეტვინეს რაც მაღაზიები და სავაჭროები ჰქონდათ ინგლისელებს დიდს ქალაქებში, მარტო ოთხს თუ ხუთს სოვდაგარს ლონდონში შეკვეთილი ჰქონიათ ათის მილიონის საქონელი და დეპეშით შეუთვლიათ — შეკვეთილზე ხელი აგვიღიაო. ამისთანავე დეპეშას ჰგზავნიან ლონდონში სხვა სოვდაგრებიცა. ვისაც-კი სადმე ინგლისელი ჰყოლია საქმეზე, დაუთხოვნია; ვისაც შვილები ჰყოლია ლონდონში გასაზრდელად მიბარებული, ყველას უკანვე წამოუყვანია. ერთის სიტყვით, რასაც და ვისაც-კი ინგლისისა რამ აცხია, ყველას შემოსწყრომიან, ყველას მოჰრიდებიან. გარდა ამისა, რომ კვლავაც ულონობის გამო არ დაიჩაგრონ ვისგანმე, მამულიშვილობით აფრთოვანებულს ერს მოუწადინებია სამერმისოდ მაინც ღონე მოიცენ და ამისათვის ნებაყოფლობით გაუწერიათ ერთმანეთში ფული, რომ მხედრობა გაიძლიერონ და მოაწყონ ყოველ შემთხვევისათვის. ერთს ძალიან მდიდარს მამულიშვილს შეუწირავს ამისათვის სრული შემოსავალი მთელის ერთის წლისა, და ამბობენ, რომ აუარებელი შესაწევარი მოდის დიდისა და პატარისაგანაო. **ძლიერია ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავის ქვეყნის სიყვარული ასე ამხნევებს, ასე ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ, გულზე ხელს კი არ აკრებინებს, როგორც იმედგადაწყვეტილს, სასოებადაკარგულს, არამედ იმოდენად ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მისძრავ-მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი.** პორტუგალიამ სწორედ ამისთანა დიდგულოვნობა და დიდსულოვნობა გამოიჩინა და ამით მთელის ქვეყნის თანაგრძნობა და პატივი მოიპოვა. პატარაა ეს პორტუგალია, მაგრამ ამ მხრით-კი კარგი ყოფილა!.. თვით ის დავიდარაბა-კი, რომელმაც ეს ამბავი გამოიწვია პორტუგალიაში, მაგდენი არაფერია არც პორტუგალიის და არც ინგლისის სასახელოდ.

## «გაუჭირდა ევროპის ხალხსა ცხოვრება. უკეთესი ნაწილი ერისა და მოზრდილი ლუკმა ერის ქონებისა ილუპება დღეყოველ და ამ ნაწილს ერისას და ერის დიდძალს ქონებას ჰყლაპავს იგი გაუმაძღარი ვეშაპი, რომელსაც შეთოფიარაღებულს მშვიდობიანობას ეძახიან. ამ გზით მშვიდობიანობის დაცვა ერთი დიდი უბედურებაა ევროპისა»

ერთი კაცმა ჰკითხოს ერთსაცა და მეორესაც, ნეტა ვის ტაბლაზე ჰჩხუბობენ? იმ ქვეყანას, რომელსაც ესენი ერთმანეთს ედავებიან, თავისი მკვიდრნი, თავისი შვილები ჰყავს, და ან ინგლისს რა ხელი აქვს, ან პორტუგალიას. იქაურებს თავისი ქვეყანა თავისთვის უნდათ, და რაო ჩემოო? რა თქმა უნდა, ერთმაცა და მეორემაც რომ თავი დაანებონ, იქაურნი ორსავ ხელით ღმერთს მადლობას შესწირვენ, კარგად თუ ავად ამ წუთისსოფელს თითონ გაუძღვებიან, არც ერთისაგან, არც მეორისაგან ძალად ცხონებას არ ინდომებენ, მაგრამ რას იზმენ საწყლები? ორთა-შუა მომწყვდეულან და უილაჯობით ვაის გაურბიან, იმის არ მცოდნენი, რომ ვუის შეეყრებიან. ერთისა და მეორისაგან იმ გზითვე იჩაგრებიან, რა გზითაც დღეს იჩაგრება პორტუგალია ინგლისისაგან. სამართალიო, იძახის პორტუგალია. ქვეყანაზე რომ სამართალი იყოს, ინგლისსაც პირში ჩალას გამოავლებდა და პორტუგალიასაც. საიდამ მოსულხართ, იქავ წადითო, თქვენ იქ ხელი არა გაქვთ, იქაური პატრონები იქაურივე მკვიდრნი არიან და თქვენ რაზე შესჩენიხართ ჭიასავით. მაგრამ სად არის ეს სამართალი? იგი თვალწინ ლამპარსავით უნთია ადამიანს მარტო იმ დრომდე, ვიდრე გახელებული ძალა არ მოვა და ერთის შებერვით არ ჩააქრობს ხოლმე.

**ტფილისი, 20 იანვარი, 1890 წელი**

უბის წიგნაკიდან

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„შეკვეთილში ძვირფასი სასტუმრო კომპლექსი „პარაგრაფი“ აშენდა, ერთ-ერთი საუკეთესო ევროპაში, და ამას ყველა მივესალმებით. მაგრამ ის ერთია, ერთადერთი და, ქობულეთში ისეთივე რომ აშენდეს, სამუშაო ადგილების იმ რაოდენობას, რომელიც 30 სასტუმროს მწყობრში ჩადგომით შეიქმნებოდა, ვერ უზრუნველყოფს, რაგინდ მაღალი დონის იყოს. ეგებ, ასეთ ეჭვს არავითარი საფუძველი არ აქვს, მაგრამ მის გასანეიტრალებლად ერთადერთი რამაა საჭირო — დებულების სასწრაფოდ გადაკეთება და ახალმშენებლობების დაწყება“.**

# ჩანაწერები არაფერზე

(დასასრული. დასაწყისი იხ. №33-35, 2020 წ.)

## „ხვალემ თქვა ხვალისა“

ხვალ დილით წვიმდა ქობულეთში, ისე — გადაღების დაპირებასავით.

ცრიდა.

მავანმა სხვას საცერში გახედა და ჰკითხა, როგორ მხედავ? — როგორც შენო.

მელაპარაკებოდა ბატონი **გოგი გოგიტიძე** და თანდათან იფანტებოდა ბურუსი გაშიფრული ფრაზის, რომლის განმარტებას წუხელ დამპირდა: „ბევრი რამ გაკეთდა ქობულეთში, მაგრამ ბევრი რამ არ უნდა გაკეთებულიყო“.

თბილისით დაიწყო. შთაბეჭდილების გასაძლიერებლად. თანაც გოგიტიძეებს ეხებოდა.

— ჩვენი გვარის განაყოფმა შტომ — გოგიტიძეებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს თურქეთში. მათ შორის პირველი **ნიჰათ გოგიტიძეა**, ოფიციალური მილიარდერი, დღესაც ცოცხალია და ჯანზე გახლავთ. მისი მრავალდარგოვანი ბიზნესის წლიური ბრუნვა 7,5 მილიარდ დოლარზე მეტია.

**ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი განიავებულ-გაყიდული იყო, ჩამოვიდა ეს ადამიანი საქართველოში და შემოგვთავაზა თბილისის რძის კომბინატის (რომელიც იმ დროს არ მუშაობდა), აღდგენა-ამოქმედებაში მილიონობით დოლარის ჩადება. ძალიან მოეწონა საწარმოს მანქანა-დანადგარები (გერმანული იყო, სულ ახალი: ასეთები თურქეთში არ გვაქვსო) და მის ბაზაზე ბავშვთა კვების ქარხნის ამოქმედებას დაგვპირდა, რომელიც უდიდესი იქნებოდა კავკასიაში. თქვა, რომ სრულად გამოიყენებდა, გასაღების იმ ბაზარს, რომელიც მას ათვისებული ჰქონდა, აქედან მიღებული მოგება კი საქართველოს ბიუჯეტის შემოსავალს მნიშვნელოვნად გაზრდიდა.**

გავაკეთებ, ავაწყობ, საზრუნავ საშუალებას მოგცემთ და საქართველოს საჩუქრად დავუტოვებო.

**— რამ შეუშალა ხელი?**

— თბილისის რძის კომბინატის დირექტორმა ნიჰათის მიერ მოსალაპარაკებლად გამოგზავნილ სპეციალისტებს ისეთი კონტრწინადადება შესთავაზა, რომელიც ძალიან ჰგავდა ერთი ტლუ გლეხის სიბრიყვეს, რომელმაც ქილა ერბო იპოვა და გამდიდრებაზე ოცნებამ ისე გაიტაცა, რომ ის ქილა თვითონვე გატეხა: **ნიჰათ გოგიტიძემ 200 ათასი დოლარი მომცეს, კრასნოდარში წიწილებს ვიყიდი, დავზრდი და ქათმის ხორცითა და კვერცხით ვივაჭრებ, დავაგროვებ მილიონებს და რძის კომბინატზე შემდეგ ვილაპარაკოთო.**

ასე ჩაიშალა ეს მასშტაბური და პერსპექტიული ბიზნესპროექტი.

**— ეს „არ გაკეთდას“ რიგიდან.**

— ახლა „გაკეთდაზე“ ჩამოგითვლით ფაქტებს, რომლებიც არ გაკეთებულიყო, უმჯობესი იქნებოდა. რაც, მე რომ მკითხოთ, უმეტესად ქობულეთის ტურისტულ თავისუფალ ეკონომიკურ ზონას შეეხება.

აქ ერთი სასტუმრო რუსეთის მოქალაქემ ააშენა და მუშაობს.

ეს ორი კი...

**ორი ჩონჩხი საშინელებათა ფილმებში საფლავებიდან წამომდგარ თვალებჩაშავებულ მიცვალებულებს რომ ჰგავს, ამ მწვანე სამოთხეში სომეხი ინვესტორების უპასუხისმგებლობის სიმბოლოებად არის ამოჩრილი.**

— დაახლოებით ათი წელიწადია, ასე დგას, მიუხედავად იმისა, რომ ამ ზონის ათვისების დებულებაში გარკვევით არის მითითებული: ინვესტორმა ერთი წლის ვადაში უნდა დაამთავროს მშენებლობა და ობიექტი საექსპლუატაციოდ გაამზადოს. პირობის შეუსრულებლობის გამო აჭარის ეკონომიკის სამინისტროს უნდა ჩამოერთმია სომხეთის მოქალაქეებისთვის მიცემული უფლება, მაგრამ რატომღაც კი არ ჩამოართვეს, არამედ ვადა ორი წლით გაუხანგრძლივეს. ეს დროც გავიდა.

**— მშენებლობის დამთავრებას აქ პირი არ უჩანს.**

**— სამაგიეროდ მე, საქართველოს მოქალაქეს, ნება არ დამრთეს, ჩამედო აქ სამი მილიონი ლარის ინვესტიცია. უარი მითხრეს იმ მოტივით, რომ იცვლება დებულება და უფლების გაცემა შეჩერებულიაო...**

**— სანამ შეცვლილა, ძველი რჩება ძალაში. ხომ ასეა?**

— ასეა, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ რაღაცისთვის თუ ვიღაცისთვის ინახავენ ამ ძვირფას ტერიტორიას. თორემ აქ უკვე დაგეგმილია 30 სასტუმროს აშენება, მიყვანილია ყველა სახის კომუნიკაცია, შექმნილია ინფრასტრუქტურა. საცურაო აუზის მშენებლობაა შეჩერებული მხოლოდ.

ინვესტორები ვერ მიიზიდეს. ამის მთავარი მიზეზი შენობის ერთ წელიწადში დამთავრების მოთხოვნა იყო, რაც ბევრმა განუხორციელებელ ნორმად მიიჩნია.

გოგი გოგიტიძე პარალელს ავლებს: — **შეკვეთილში ძვირფასი სასტუმრო კომპლექსი „პარაგრაფი“ აშენდა, ერთ-ერთი საუკეთესო ევროპაში და ამას ყველა მივესალმებით. მაგრამ ის ერთია, ერთადერთი და, ქობულეთში ისეთივე რომ აშენდეს, სამუშაო ადგილების იმ რაოდენობას, რომელიც 30 სასტუმროს მწყობრში ჩადგომით შეიქმნებოდა, ვერ უზრუნველყოფს, რაგინდ მაღალი დონის იყოს. ეგებ, ასეთ ეჭვს არავითარი საფუძველი არ აქვს, მაგრამ მის გასანეიტრალებლად ერთადერთი რამაა საჭირო — დებულების სასწრაფოდ გადაკეთება და ახალმშენებლობების დაწყება.**

## „საცხოვრებელი ზღვის პირას“

გამონაკლისების დაშვება ქობულეთში იშვიათობა არ იყო.

სანაპირო ზოლს ნაკრძალისგან სამანქანო გზა და ბულვარი გამოჰყოფს.

მთავრდება საოცრად ლამაზი ბულვარის მშენებლობა, უნიკალურის, ათი კილომეტრის სიგრძის.

ბუნებადაცვითი მოთხოვნებიდან გამომდინარე, სანაპიროს ზოლში შენობები არ უნდა ჩაიდგას.



ხალხის შემონაწირით ქობულეთის ცენტრში აგებული უფლის ამაღლების ტაძარი

**ქობულეთში ერთხელ მაინც ნამყოფი ადამიანი გიპასუხებთ, რომ პლაჟზე ჩასვლის (!) მსურველი დაუფლებული უნდა იყოს მეკლდეურობის მინიმალურ ტექნიკას, უშბის აღმოსავლეთ კედელზე თუ არა, სპორტდარბაზში, შვედურ კედელზე მაინც უნდა იყოს ნავარჯიშევი**

მაგრამ ჩადგეს. ნება დართეს (როგორც გამონაკლისი) ჩეხეთის დეველოპერულ კომპანია „მაგნეტიკს“, რომელიც მაინცდამაინც „ფიჭვნარის ზოლში“ აშენებს საცხოვრებელ კომპლექსს და ბანერიც კი აქვს ღობეზე გამოფენილი — „იყიდება ბინა“.

რეკლამა ევროპულ დონეზე! ისე კი არა, დავით აღმაშენებლის ქუჩის შუაწელზე ერთ აქაურ კერძო გამქირავებელს ნაგვის ყუთის თავზე აცაბაცად რომ დაუკიდებია ორი აბრა: Дом квартира და Жилье у моря („სახლი ბინა“ და „საცხოვრებელი ზღვის პირას“). სანაგვე ყუთი — ზღვაზე შვებულებით ჩასული გაჭირვებული მოქალაქეების დასასვენებელი სახლის სიმბოლური მინიშნება. შავი იუმორი, ანუ, უფრო ზუსტად, ანდრეი ვოზნესენსკის ვიზუალური პოეზიის ახალი ჟანრი — ვიდეომა — ტექსტის, ნახატისა და ფოტომონტაჟის რთული კოლაჟი, სინთეზური მეტაფორა, რომელიც ჩვენს შემთხვევაში კოვიდ-19-ის შეღწევადობის უნარით არის აღჭურვილი. ისეთი ძალით, რომ მე, მაგალითად, აბსოლუტურად დამარწმუნა: აქ, ალაზნის ველის სილაღით გაშლილი **თემურ ჭყონიას** „ჯორჯიან პალას ოტელის“ ტერიტორიისა და ფეშენებელური დასასვენებელი კომპლექსის ფონზე მაწანწალად ვარ წარმოდგენილი და ბომჟად.




ფოტო უწარწეროდ

ამბობენ, რომ ზაფხული თვითშეფასების გარდაცვალების ჟამია.

გავყვეთ სანაგვის ორიენტირს პლაჟისკენ, სადაც სადილობამდე „ლეჟანკის“ დაქირავება 3 ლარი ღირს. შარშან ხუთი ღირდა.

გაიაფდა ცხოვრება.

მაგრამ აუცილებლად უნდა იცოდეთ, რომ: **ქობულეთის პლაჟზე მოხვედრის მსურველი, უწინარეს ყოვლისა, დაუფლებული უნდა იყოს... „ცურვის ანა-ბანას“, — იტყვით თქვენ და „არ არის სწორი“, — გიპასუხებთ სიცრუის დეტექტორი, რომელიც ტელესივრცეში ადამიანის პატიოსნების საჯაროდ განმსაზღვრელ სიახლედ დაამკვიდრეს.** მოგებული ფულის ოდენობით გაზომილი ეთიკა.

ვთქვი რამე ახალი? არა. რეალობაა ასეთი: **ქობულეთში ერთხელ მაინც ნამყოფი ადამიანი გიპასუხებთ, რომ პლაჟზე ჩასვლის (!) მსურველი დაუფლებული უნდა იყოს მეკლდეურობის მინიმალურ ტექნიკას, უშბის აღმოსავლეთ კედელზე თუ არა, სპორტდარბაზში, შვედურ კედელზე მაინც უნდა იყოს ნავარჯიშევი.**

ბატონი გოგი გოგიტიძე გაგვარკვევს:

— 1957 წელს გამოცემულ და სხვა ცნობარებში მითითებულია, რომ ქობულეთში 12 კილომეტრზე გადაჭიმული ფიჭვნარის წყალობით შექმნილია განსაკუთრებული მიკროკლიმატი, რომელიც ძალიან უხდება გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულ ადამიანებს. კიდევ ერთი განსაკუთრებული მახასიათებლით არის გამორჩეული ეს კურორტი, კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროზე საუკეთესო, ფართო და დამრეცი პლაჟით, რომელიც ძირითადად დაფარულია წვრილი ფრაქციის ქვიშით.

მაგრამ დიდი ომის დამთავრების შემდეგ, ორმოციანი წლების ბოლოსა და ორმოცდაათიანების დასაწყისში, როცა საბჭოთა კავშირში ფართოდ იყო გაშლილი სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოები, მდინარე აჭყვის ნაპირზე მოწყობილი კარიერის, საიდანაც დღე-ღამის განმავლობაში რკინიგზით გადიოდა ინერტული მასალით დატვირთული 15 ეშელონი (შეიძლება ითქვას, რომ ქალაქი რუსთავი და მეტალურგიული კომბინატი ამ მასალის გამოყენებით აშენდა) ბარბაროსულმა ექსპლუატაციამ ჩვენს კურორტს იმდენად დიდი ზიანი მიაყენა, რომ შემდგომში განხორციელებულმა სარეაბილიტაციო ღონისძიებებმა მდგომარეობა ვერ გამოასწორა: „ფართო და დამრეცი პლაჟი“ მოგონებად დარჩა.

ხოლო გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში თურქეთში მდინარე ჭოროხზე დაწყებულმა ჰიდროელექტროსადგურების კასკადის მშენებლობამ პლაჟის აღდგენის იდეა საერთოდ დაასამარა.

ზღვამ შემოუტია ხმელეთს. თურქეთმა საკომპენსაციო თანხა გადაიხადა *(იმ წლებში საშუალება მომეცა, იაფი ელექტროენერგიის გენერატორად ჭოროხის გარდაქმნისთვის მომეკრა თვალი და გეტყვით, რომ შთაბეჭდილება დამთრგუნველი იყო. — ა.ს.).*

— თავის დროზე ერთ-ერთ მორიგ პარტკონფერენციაზე დავაყენე საკითხი, რომ ინერტული მასალის კარიერები მოეწყოს ისეთ ადგილებში, რომლებსაც მდინარეების — ჩოლოქის, კინტრიშის, ჩაქვისწყლის და ა.შ. — კალაპოტებთან კავშირი არ აქვს, მაგრამ ჩემს შეთავაზებას ყური არავინ ათხოვა, რადგან ამ პრობლემის ფინანსური უზრუნველყოფის საშუალება ქვეყანას იმხანად არ გააჩნდა.

სხვა გზა არჩიეს: ზღვის ნაპირზე ასეული ტონობით ყრიდნენ ბალასტს (ლოდებიან-მიწიანად), რომელიც ზამთრის დიდშტორმობის დროს ზღვას ნაპირთან ახლოს, ფსკერზე ჩაჰქონდა და პლაჟის 4-5 კილომეტრიანი მონაკვეთებით სარგებლობა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა.

გოგიტიძეს დეტალურად აქვს დამუშავებული თავისი იდეის განხორციელების გეგმა, რომელსაც, ახლა მაინც თუ მიიღებენ და აამოქმედებენ, ხომ კარგი, არადა, კაპიკი იქნება ქობულეთის ფასი, — გულდაწყვეტით ამბობს ამ კუთხის პატრიოტი ადამიანი.

**იქით — მდინარე ჭოროხი ბეტონის კალაპოტში მოაქციეს, აქეთ — ფიჭვნარის ზოლს, რომელიც უნიკალურ მიკროკლიმატს ქმნის, გაჩ- ▶**

## ერთმა ქობულეთელმა ინვესტორმა გია ჭყონიამ ემტეესის დასახლებაში შეიძინა მიწის ნაკვეთები, გააშენა უძველესი ქართული ჯიშის ვაზის ზვრები. რთველიც ბარაქიანი აქვს და კარგ ღვინოსაც აყენებს (როგორც მონაყოლიდან გავიგე), რესტორანიც აამუშავა და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, მთაში, ხელშეუხებელი ბუნების წიაღში, 13 კილომეტრის სიგრძის გზა გაჰყავს.

უბის წიგნაკიდან
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეხვა და „ბეტონის ჯუნგლებად“ (მაიაკოვსკი) გადაქცევის პერსპექტივა ემუქრება.**

ქობულეთში უბნები იყო, საითაც არც ერთ ხელისუფალს არასოდეს გაუხედავს: გელაურის დასახლება, ე.წ. ემტეესის (მანქანა-ტრაქტორების სადგური) დასახლება, ტრასის მიმდებარე უბანი... ეს თემა, რუსთაველის ქუჩას რომ დავადექით, მაშინ წამოიჭრა, რომელიც (ქუჩა, რა თქმა უნდა) წლების განმავლობაში ორმოების, გუბეების, თხრილების და ა.შ. ექსპოზიცია უფრო იყო, ვიდრე კომუნიკაციის საშუალება. ახლა მრავლისმნახველი „ფოლკსვაგენით“ ისე მივსრიალებთ, როგორც, მაგალითად, ბერლინერშტრასაზე.

მხოლოდ ქალაქის შემოგარენი კი არა, აქედან ტყეში შეჭრილი გზა ისეა ფილებით მოკირწყლული, როგორც შეძლებული მეპატრონის ახალგარემონტებული სახლის აივნის მოზაიკური იატაკი.

ამას გარდა: სრულად და სრულყოფილად მოგვარდა ქობულეთის ოდინდელი პრობლემა — განახლდა ქალაქის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელი. ამჟამად სოფლებში აგრძელებენ ამ სამუშაოტევად საქმეს. ხოლო გამწმენდი კომპლექსი, რომელიც შეუფერხებლად მუშაობს, საგულდაგულოდ ფილტრავს არცთუ შორეულ წარსულში ზღვაში დაუბრკოლებლად ჩამდინარე სიბინძურეს.

კურორტის შემოგარენში შენდება კარდიონეირო დაავადებათა სარეაბილიტაციო ცენტრი, ხოლო ბუნების წიაღში — კინტრიშისა და მტირალას დაცულ ტერიტორიებზე შესასვლელად უკვე გაყვანილია ასფალტირებული, ფართო გზა. დაწყებულია ქობულეთის, როგორც „მწვანე ქალაქის“, პროექტის განხორციელების სამუშაო.

ერთმა ქობულეთელმა ინვესტორმა **გია ჭყონიამ** ემტეესის დასახლებაში შეიძინა მიწის ნაკვეთები, გააშენა უძველესი ქართული ჯიშის ვაზის ზვრები. რთველიც ბარაქიანი აქვს და კარგ ღვინოსაც აყენებს (როგორც მონაყოლიდან გავიგე), რესტორანიც აამუშავა და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, მთაში, ხელშეუხებელი ბუნების წიაღში, 13 კილომეტრის სიგრძის გზა გაჰყავს. საუკუნოვანი ხეებით, მათ შორის უთხოვარით, გამორჩეულ იქაურ მრავალფეროვან ტყეში ნადირიცაა და ფრინველიც.

შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაშლას აპირებს ედემის ამ ბაღში, რომლის ამოქმედებაც ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს გაზრდის და შეეხიდება.

ამ და კიდევ სხვა სასიკეთო საქმეების ჩამოთვლა ცოტა სარისკო და საჩოთიროა, რადგან დაკვეთილ წერილებს შეიძლება დაემსგავსოს რეპორტაჟების ეს სერია, რაც გულისამრევია.

### სად ვეძებოთ ტალანტები

აქ ვაპირებდი წერტილის დასმას, მაგრამ ჩვენი გაზეთის წინა ნომერში წავიკითხე **დავით მხეიძის** უკომპრომისოდ კრიტიკული, მაგრამ სამართლიანი წერილი „კატასტროფა ფარერებზე — უთავმოყვარეო არსებებმა

## თბილისის «დინამოს» ოქროს ხანის გამორჩეულმა ფეხბურთელმა ვოვა გუცაევმა, დამსახურებულმა და სახელგანთქმულმა ფეხბურთის მაესტრომ მისთვის ჩამორთმეულ ინტერვიუში განმიცხადა: «ფეხბურთი ღარიბების თამაშია» და თავისი თანაგუნდელების (უმეტესად «ნახალოვკელების»), ასევე, მსოფლიო ფეხბურთის დღევანდელი ვარსკვლავების მაგალითებით დამისაბუთა, რომ ასეა და არა სხვაგვარად


ქობულეთის განახლებული უბნის ერთი კუთხე


კარკასების სასაფლაო


„მეკლდეურების“ პლაჟი


გამწმენდი ნაგებობის კომპლექსი

## სრულად და სრულყოფილად მოგვარდა ქობულეთის ოდინდელი პრობლემა — განახლდა ქალაქის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელი. ხოლო გამწმენდი კომპლექსი, რომელიც შეუფერხებლად მუშაობს, საგულდაგულოდ ფილტრავს არცთუ შორეულ წარსულში ზღვაში დაუბრკოლებლად ჩამდინარე სიბინძურეს


ლინდა ანთაძე როგორც კი დროს იხელთებს, ვარჯიშობს


კურორტს პატარა ბავშვივით უვლიან

მთელ ერს სულში ჩაგვაფურთხეს“, რომელიც ფარერის კუნძულების ფეხბურთის მოყვარულების გუნდ „კლაკსვიკთან“ თბილისის „დინამოს“ 6:1 სამარცხვინო წაგებას ეხებოდა.

და **გამახსენდა, რომ ბატონ გოგი გოგიტიძეს თავის „ომეგაში“ სამუშაოდ შეკედლებული ჰყავს ლინდა ანთაძე — აჭარის ქალთა ფეხბურთის ნაკრები გუნდის წევრი, ამით სპორტის ამ სახეობას მატერიალურად (რამდენსაც გასწვდება) ეხმარება. სასადილოში მიმტანად მუშაობს. მისთვის ჩამორთმეულ სახელდახელო ინტერვიუს შემოგთავაზებთ „დინამოს“ „ფარჩაკი“ ფეხბურთელების უთავმოყვარეობის საპირწონედ და მხეიძის წერილის მხარდასაჭერად.**

ამ პატარა გოგოს უკვე აქვს თავისი სპორტული ბიოგრაფია: მინიფეხბურთით დაიწყო, შემდეგ ბათუმში დიდი ფეხბურთით გააგრძელა, „ბათუმი“ ერქვა იმ გუნდს (მწვრთნელები — **ნიკო ბარამიძე** და **ჯუმბერ ბერიძე**), ბათუმის „დინამოშიც“ თამაშობდა (მთავარი მწვრთნელი — **ბაჩანა აბაშიძე,** მენეჯერი — **გივი გაგუა**).

— **ლინდა, ბევრი გოგოა ფეხბურთით გატაცებული?**

— კი, საკმაოდ. ჩემი დეიდაშვილი, კიდევ რამდენიმე ბავშვი ქობულეთიდან ვართ. გუნდში ასე, თვრამეტნი ვიქნებით, კი. ახლა ჩვენზე პატარებსაც ავარჯიშებენ. ჩვენ, დიდები, ვმონაწილეობთ საქართველოს „ქალთა ლიგის“ პირველობაში. გამოდიან „ქუთაისი“, „ლანჩხუთი“, ასეთი გუნდები არიან. თბილისიდანაც მონაწილეობენ. შარშან ძალიან გაგვიჭირდა, მეშვიდე ადგილზე გავედით, იმიტომ, რომ სრულფასოვან ვარჯიშებს ვერ ვატარებდით, გზის ფულიც არ იყო. წინა წლებში მეოთხე-მეხუთე ადგილებზე გავდიოდით.

— **სავარჯიშო მოედანი გაქვთ?**

— არა. ბათუმში, თუ იცით, „მარინა“, იქ არის ერთი ხელოვნურსაფარიანი მოედანი. კორდებიანი.

ჩვენთან რომ ჩამოდიან სათამაშოდ გუნდები, ჩაისუბანში ვილებთ, იქაც არ არის კარგი მოედანი, მაგრამ სხვა სტადიონებთან შედარებით უკეთესია.

(სოხუმის (ლტოლვილების) გუნდთან 29 აგვისტოს ბათუმში გამართული შეხვედრა, რომელიც ამ ბლიცინტერვიუს შემდეგ გაიმართა, ფრედ 1:1 დაამთავრეს).

— **შენ დაცვაში თამაშობ, მეოთხე ნომრის ადგილზე.**

— კი. მეთხუთმეტე ნომრით.

— **საკუთარ კარში ბურთი ხომ არ გაგიტანია?**

— არა *(და პირველად გაიღიმა ამ ბავშვმა ამ საკმაოდ ნაღვლიანი საუბრისას).*

— **მოწინააღმდეგის კარში?**

— კი, მაგრამ ხშირად არა. მიყვარს გოლების გატანა, მაგრამ მირჩევნია, ჩემს გუნდელს მივცე პასი და იმან გაიტანოს. თამაშამდე ორჯერ მაინც რომ შევიკრიბოთ, იმის ფულს გვაძლევენ. ან ერთ მოედანს გვითმობენ ხოლმე, დიდ მოედანს, მაგრამ იმას ხან გასახდელი არ აქვს, ხან — რა. ვილაცის სახლში ვიცვლით ტანსაცმელს.

— **შხაპი?**

— არა. მაგრამ, რაც შეგვიძლია, იმას ვაკეთებთ.

— **სტიპენდია თუ გაქვთ დანიშნული?**

— არა. „ქალთა ლიგა“ რომ ტარდება, ჭამისა და გზის ფულს გვირიცხავენ მხოლოდ. ამისთვის რომ გვეყოს.

— **თქვენ გარდა ბათუმში არის კიდევ ქალთა ფეხბურთის გუნდი?**

— არა.

— **დღეს რომელ ადგილზე ხართ?**

— ჯერჯერობით მესამეზე. პირველი სამი თამაში მოვიგეთ. მცხეთის გუნდს 14-ით ნული მოვუგეთ. ძალიან სუსტი იყო. ახალი. სატრაბახოც არაფერია. ხაშურთან ორით ერთი დავამთავრეთ. მესამე — „ზარზმას“ მოვუგეთ — 3:2. საკმაოდ ძლიერი გუნდი იყო, ჯანიანები. მოედანი არაფრად ვარგოდა.

კიდევ ბევრი ვისაუბრეთ, მაგრამ აღარ გავაგრძელებ, ისედაც დრო დაგაკარგვინეთ.

**თბილისის „დინამოს“ ოქროს ხანის გამორჩეულმა ფეხბურთელმა ვოვა გუცაევმა, რომელიც 1970-იანი წლების დასაწყისში (შეიძლება, ცოტა ადრეც) ქართული ახალგაზრდული გაზეთის რედაქციაში მოიყვანეს და გამაცნეს, როგორც პერსპექტიული ახალგაზრდა — მომავალი პელეაო, ცოტა ხნის წინათ, უკვე ვეტერანმა, ყოველმხრივ დამსახურებულმა და სახელგანთქმულმა ფეხბურთის მაესტრომ მისთვის ჩამორთმეულ ინტერვიუში განმიცხადა: „ფეხბურთი ღარიბების თამაშია“ და თავისი თანაგუნდელების (უმეტესად „ნახალოვკელების“), ასევე, მსოფლიო ფეხბურთის დღევანდელი ვარსკვლავების მაგალითებით დამისაბუთა, რომ ასეა და არა სხვაგვარად.**

ეგებ დაფიქრდნენ ამაზე ქართული ფეხბურთის მესვეურები და ტალანტები ისეთ სივრცეში ეძებონ, რომელშიც ლინდა ანთაძე იკვალავს გზას.

მეტი არაა ჩვენი მტერი, ვინმემ ყურად იღოს ჩვენი კეთილი სურვილი, მით უფრო, რომ ეს რჩევა იბეჭდება ციკლში, რომლის სათაურია „ჩანაწერები არაფერზე“.

არაფერზე ვის რა რეაქცია შეიძლება ჰქონდეს...

**არმაზ სანებლიძე**
**ქობულეთი — თბილისი**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სამანტა კრისტოფორეტი იტალიის კოსმოსურ სააგენტოში პირველი ქალი-კოსმონავტია, ხოლო ევროპის კოსმოსურ სააგენტოში — მესამე. სამანტა 2014 წლის 24 ნოემბერს გაფრინდა კოსმოსში და 199 დღე-ღამის განმავლობასი მოგზაურობდა. სამანტა საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში თავისი ცხოვრების შესახებ სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ წერდა.**

# 10 გამორჩეული ქალი-კოსმონავტი

ადამიანი საუკუნეების განმავლობაში ცდილობს, რაც შეიძლება მეტი შეიტყოს სამყაროს შესახებ. 1957 წელს საბჭოთა კავშირმა კაცობრიობის ისტორიაში პირველი დედამიწის თანამგზავრი „სპუტნიკ 1“ გაუშვა კოსმოსში. 1961 წლის 12 აპრილს კი იური გაგარინმა ხომალდ „ვოსტოკ 1“-ით პირველად შემოუფრინა დედამიწას და მშვიდობიანად დაეშვა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. 1963 წლიდან ამ უმნიშვნელოვანეს კოსმოსურ მისიას ქალებიც შეუერთდნენ. ამჟამად მსოფლიოში სულ 64 ქალი-კოსმონავტია.



## 1. ვალენტინა ტერეშკოვა. საბჭოთა კავშირი

პირველი ქალი-კოსმონავტი, რომელიც კოსმოსში 1963 წლის 16 ივნისს გაფრინდა ხომალდ „ვოსტოკ 6“-ით. ვალენტინა ერთადერთი ქალია, რომელმაც კოსმოსში მარტო იფრინა და არა ეკიპაჟთან ერთად. შეიძლება ითქვას, რომ ტერეშკოვათი დაიწყო ქალთა კოსმონავტიკის ერა.



## 2. სვეტლანა სავიცკაია. საბჭოთა კავშირი

სვეტლანა სავიცკაია მსოფლიოში პირველი ქალია, რომელიც ღია კოსმოსში გავიდა, და მეორე ქალი-კოსმონავტი ტერეშკოვას შემდეგ. მან ორჯერ იფრინა კოსმოსში — 1982 და 1984 წლებში. სავიცკაიამ კოსმოსში სულ 19 დღე-ღამე და 17 საათი დაჰყო.



## 3. სალი რაიდი. აშშ

პირველი ამერიკელი ასტრონავტი ქალი, რომელიც კოსმოსში პირველად 1983 წლის 18 ივნისს გაფრინდა „ჩელენჯერ STS-7“-ით, მეორედ — 1984 წლის 5 ოქტომბერს. სალი რაიდმა კოსმოსში 18 დღე-ღამე და 7 საათი დაჰყო.



## 4. ანუშე ანსარი. ირანი

ეს ირანელი წარმოშობის ამერიკელი ქალი პირველი კოსმოსური ტურისტი ქალია. 2006 წლის 18 სექტემბერს რუსულ (საბჭოთა) კოსმოდრომ ბაიკონურიდან სტარტი აიღო „სოიუზ TMA-9“-მ, რომლის ეკიპაჟშიც იყვნენ ამერიკელი **მაიკლ ლოპეს ალეგრია,** რუსი **მიხეილ ტიურინი** და ირანელი **ანუშე ანსარი,** რომელიც 8 დღის განმავლობაში მიკროორგანიზმებსა და ეკიპაჟის წევრებზე სამეცნიერო ექსპერიმენტებს ატარებდა საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში. ანუშეს, აგრეთვე, პირველ კოსმოსურ ბლოგერს უწოდებენ.



## 5. ნენსი ჯენ დეივისი. აშშ

ამ ქალმა კოსმოსში 3-ჯერ იფრინა — 1992, 1994 და 1997 წლებში. 1992 წელს ნენსიმ კოსმოსურ ხომალდ STS-47-ით ქმართან, **მაიკ ლისთან,** ერთად იმოგზაურა. ეს იყო პირველი „ოჯახური“ კოსმოსური ფრენა.

## 6. ჰელენ შარმენი. დიდი ბრიტანეთი



პირველი ქალი-კოსმონავტი დიდი ბრიტანეთიდან. ის იყო „სოიუზ TM-12“-ის ეკიპაჟის წევრი, რომელიც კოსმოსში 1991 წლის 18 მაისს გაფრინდა.

**ჰელენ შარმენი** პროფესიით ქიმიკოსია და საკონდიტრო ფაბრიკაში ტექნოლოგად მუშაობდა, მაგრამ ბედნიერი გარემოებების წყალობით, 13 ათას მონაწილეთა შორის ამოარჩიეს კოსმოსური ექსპედიციიისთვის.



## 7. პეგი უიტსონი. აშშ

კოსმოსური ორბიტული სადგურის პირველი ქალი-მეთაური **პეგი უიტსონი,** რომელმაც სამჯერ იფრინა კოსმოსში, გამორჩეულია იმით, რომ 10-ჯერ გავიდა ღია კოსმოსში. ამ გასვლებს კი, ჯამში, 60 საათი და 19 წუთი მოანდომა. ამას გარდა, მას ეკუთვნის დედამიწის ორბიტაზე ყველაზე ხანგრძლივად ყოფნის რეკორდი — 665 დღე-ღამე.



## 8. აილინ მარი კოლინზი. აშშ

გარდა იმისა, რომ აილინმა თავის კარიერაში 4-ჯერ იფრინა (1995, 1997, 1999 და 2005 წლებში) კოსმოსში, ის პირველი ქალია, რომელიც კოსმოსურ ხომალდს მეთაურობდა.

## 9. მეი კეროლ ჯეიმსონი. აშშ



აფროამერიკელი მეი კეროლ ჯეიმსონი პირველი შავკანიანი ქალი-ასტრონავტია. აღსანიშნავია, რომ ის ეპიზოდურ როლს ასრულებს ფანტასტიკურ სერიალ „ვარსკვლავურ გზაში“.



## 10. სამანტა კრისტოფორეტი. იტალია

სამანტა კრისტოფორეტი იტალიის კოსმოსურ სააგენტოში პირველი ქალი-კოსმონავტია, ხოლო ევროპის კოსმოსურ სააგენტოში — მესამე. სამანტა 2014 წლის 24 ნოემბერს გაფრინდა კოსმოსში და 199 დღე-ღამის განმავლობასი მოგზაურობდა.

სამანტა საერთაშორისო კოსმოსურ სადგურში თავისი ცხოვრების შესახებ სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ წერდა.

მოამზადა ნიკა კორინთელმა

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მარგარეტმა თვითონ გახსნა ეკლესია იდეური მიმდევრებისთვის. მას ახლა ვებგვერდიც აქვს, ტელეარხიც და იუთუბარხიც. შესაძლოა, სწორედ რელიგიურმა რწმენამ იქონია გავლენა კორტის დამოკიდებულებაზე სექსუალური უმცირესობების მიმართ, ის ხომ დაუნდობლად ბომბავდა საზოგადოებას მწვავე გამონათქვამებით მას შემდეგ, რაც ორმოცდაათიანელთა რიგებში გაწევრდა.**

# მარგარეტ კორტი — ყველაზე ტიტულოვანი ჩოგბურთელი, რომელიც ლგბტ თემის მთავარ მტრად იქცა

**ავსტრალიელმა მარგარეტ ჯინ კორტმა (დაიბადა 1942 წლის 16 ივლისს) ჩოგბურთში მიაღწია ყველაფერს, რაზეც ოცნებობს ყველა გოგონა, მან 7 წლისამ აიღო ხელში ჩოგანი და კორტს მიაშურა.**

მარგარეტ კორტმა „დიდი სლემის“ 62 ტურნირი მოიგო და დაამყარა რამდენიმე რეკორდი, რომლებსაც, ჩანს, კარგა ხანს ვერავინ დაამხობს. იმდენი ტიტული, რამდენიც მარგარეტს აქვს, არავის მოუპოვებია. მან ერთეულთა თანრიგში 24 ჯილდო მოიგო, 19 ქალ წყვილთა და ამდენივე შერეული წყვილების თანრიგში. ამერიკელი **სერენა უილიამსი** ახლოს იყო ავსტრალიელი ჩოგბურთელის რეკორდთან ერთეულთა თანრიგში, მაგრამ 22 გამარჯვებაზე შეჩერდა. ამასთანავე, მარგარეტ კორტი ისტორიაში ერთადერთია, ვინც ორჯერ გაიმარჯვა ორ სხვადასხვა თანრიგში — ქალთა და შერეულში. სწორედ ბრწყინვალე კარიერის გამო აქვს მარგარეტ კორტს უფლება, ილაპარაკოს ის, რაც მოესურვება. **თუ უმცროს უილიამსს შეუძლია ილაპარაკოს შავკანიანთა უფლებების შელახვაზე, რატომ არ შეუძლია მარგარეტს ილაპარაკოს გეებსა და ლესბოსელებზე?**

ამ წერილში ყურადღებას არ გავამახვილებთ ლეგენდარული ჩოგბურთელის კარიერაზე და პირდაპირ გადავალთ პრობლემის არსზე. **მარგარეტ კორტი, დიდი ხანია, თანამიმდევრულად აკრიტიკებს მათ, ვინც, მისი აზრით, ანგრევს ტრადიციული ოჯახის საფუძველს და მიდის ბუნების კანონების წინააღმდეგ.** მარგარეტი დარწმუნებულია, რომ გეები და ლესბოსელები ლახავენ ჩვეულებრივი მოქალაქეების უფლებებს. **პლანეტის ყველაზე ტიტულოვანი ჩოგბურთელის განცხადებით, არატრადიციული ქორწინებები ეშმაკის ხრიკებია.**

„ამჟამად ჩოგბურთში უამრავი ლესბოსელია, როცა მე ვთამაშობდი, მხოლოდ ორი იყო, მაგრამ ლიდერთა შორის, და ისინი ახალგაზრდა გოგონებს წვეულებებსა და სხვადასხვა გასართობ ღონისძიებებზე ეპატიჟებოდნენ. ცნობილია, რომ ამა თუ იმ ჯგუფში ლიდერები მაგალითს აძლევენ დანარჩენებს. ამჟამად ამ თემაზე ბევრი ლიტერატურაა. ბავშვებს თავს ახვევენ რაღაც-რაღაცებს. მედიცინამ უკვე დაამტკიცა, რომ ადამიანის ცნობიერება ბრძოლის ველია, ამიტომ დავწერე წიგნი „ავარჯიშე ტვინი“. ეს ყველაფერი ბიბლიიდან მოდის. უფალი ბევრს ლაპარაკობად იმაზე, რა გავლენას ახდენს ჩვენი ცნობიერება ემოციებზე, გრძნობებზე. **გოგონას შეუძლია იფიქროს, რომ ის ბიჭია და ეს გავლენას ვერ იქონიებს მის ემოციებსა და გრძნობებზე. ეს ყველაფერი ეშმაკისეულია. ზუსტად ასე იქცეოდა ჰიტლერი — იპყრობდა ბავშვების გონებას. ამჟამადაც ყველა ამის გაკეთებას ცდილობს“.**

მარგარეტი მორწმუნეა. 1970-იან წლებში გატაცებული იყო ორმოცდაათიანელთა მოძღვრებით. ეს პროტესტანტიზმის განშტოებაა და XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა აშშ-ში. მოგვიანებით მარგარეტმა თვითონ გახსნა ეკლესია იდეური მიმდევრებისთვის. მას ახლა ვებგვერდიც აქვს, ტელეარხიც და იუთუბარხიც. შესაძლოა, სწორედ რელიგიურმა რწმენამ იქონია გავლენა კორტის დამოკიდებულებაზე სექსუალური უმცირესობების მიმართ, ის ხომ დაუნდობლად ბომბავდა საზოგადოებას მწვავე გამონათქვამებით მას შემდეგ, რაც ორმოცდაათიანელთა რიგებში გაწევრდა.

მარგარეტ კორტს მწვავედ უპირისპირდება „დიდი სლემის“ ტურნირების 18-გზის გამარჯვებული, წარმოშობით ჩეხი ამერიკელი ჩოგბურთელი **მარტინა ნავრატილოვა,** რომელმაც პირველმა განაცხადა საჯაროდ, რომ ლესბოსელია. მარტინა წლების განმავლობაში ცხოვრობს ყოფილ „მის სსრკ“-თან — **იულია ლემიგოვასთან** ერთად. მარტინამ ავსტრალიელებს მოუწოდა, ერთ-ერთი კორტისთვის, რომელიც 2003 წლიდან მარგარეტ კორტის სახელს ატარებს, სახელი შეეცვალათ.

კორტმა საპასუხო განცხადებაში მიწასთან გაასწორა ამერიკელთა ცხოვრების სტილი და მარტინა ნავრატილოვაც. **„მე „დიდი სლემის“ ყველაზე მეტი ტურნირი მოვიგე, ვიდრე ნებისმიერმა ჩოგბურთელმა — მამაკაცმა თუ ქალმა. თუ კორტს სახელს გადაარქმევენ, ეს უსამართლობა იქნება. ეჭვი არ მეპარება, რომ პეტიციისთვის 100 ათას ხელმოწერას შეაგროვებენ, რადგან ამ ყველაფრის უკან დიდძალი ფული დგას და ეს მოდის ამერიკიდან. ვფიქრობ, იქ გეილობი არსებობს და, მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობაში არიან, ფული საკმარისად აქვთ. მე თავდასხმის ობიექტად მაქციეს. ცდილობენ, გამანადგურონ სხვადასხვა გზით, მათ შორის ჩოგბურთის მეშვეობითაც.** ჩემი ძმისშვილი, მარგარეტ კორტის სახელობის საჩოგბურთო აკადემიის მმართველი, უამრავ მუქარის წერილს იღებს ინტერნეტში. რაც შეეხება მარტინას, მას ურჩევნია, ყურადღება მიაპყროს იმას, რაც მის ქვეყანაში ხდება და ნუ ერევა ჩვენი ქვეყნის საქმეებში. მან არ იცის, რას ვაკეთებ ახლა, რით ვარ დაკავებული. პირადად მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს — ამ ვითარებაში მას, უბრალოდ, რუპორად იყენებენ, მაგრამ ის უნდა დაინტერესდეს თავისი ქვეყნის საქმეებით“.

სახელგანთქმულ ავსტრალიელ ჩოგბურთელს ე.წ. ტოლერანტულმა საჩოგბურთო საზოგადოებამაც შეუტია. მარგარეტის წინააღმდეგ ბუნტს შეუერთდნენ მისი თანამემამულეები — **სამანტა სტოსური** და **კეისი დელაკვა**, რომელიც, უკვე კარგა ხანია, ცხოვრობს მეგობარ ქალ **ამანდა ჯადთან** და ზრდის 2 ბავშვს. დელაკვა და კორტი, დიდი ხანია, მტრობენ ერთმანეთს, მაგრამ დაპირისპირება მარგარეტმა დაიწყო. **ერთ-ერთ განცხადებაში მან უარყოფით მაგალითად დაასახელა დელაკვას ლესბოსური ოჯახი და განაცხადა, რომ „სწორედ ასეთი კავშირები წარმოშობს უმამო ბავშვებს და კლავს ტრადიციულ ოჯახურ ფასეულობებს“.**

ავსტრალია განთქმულია შემწყნარებლობით ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების მიმართ და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ გეებისა და ლესბოსელების ქორწინებას მხარი დაუჭირეს არა მხოლოდ საზოგადოების რიგითმა წევრებმა (ავსტრალიელთა 60%-მა), არამედ ჩოგბურთელებმაც, მაგალითად, **ნიკ კირიოსმა.**

ცხადია, მარგარეტ კორტი დისკომფორტს განიცდის მშობლიურ ქვეყანაში, სადაც თამაშის წესები ისეთი არ არის, როგორც ჩოგბურთის კორტზე, სადაც ის იყო ბრწყინვალე სპორტსმენი, რომელსაც ბევრი ბაძავდა, მისი სწრაფვა გამარჯვებისკენ კი ყველას აღაფრთოვანებდა.

**მარგარეტ კორტი ავსტრალიაში ახლა საკმაოდ ბევრს არ მოწონს მხოლოდ იმიტომ, რომ თავის აზრს, რომელიც მკვეთრად განსხვავდება სხვებისგან, დაუფარავად გამოხატავს, მაგრამ ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი ჩოგბურთელი, 4 შვილის დედა, მზად არის თავისი თვალსაზრისისა და ტრადიციული ფასეულობების დასაცავად.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



მარგარეტ კორტი





**მარგარეტ კორტი, დიდი ხანია, თანამიმდევრულად აკრიტიკებს მათ, ვინც, მისი აზრით, ანგრევს ტრადიციული ოჯახის საფუძველს და მიდის ბუნების კანონების წინააღმდეგ. ის დარწმუნებულია, რომ გეები და ლესბოსელები ლახავენ ჩვეულებრივი მოქალაქეების უფლებებს**






მარტინა ნავრატილოვამ და ჯონ მაკინროიმ მარგარეტ კორტის სახელობის კორტისთვის სახელის გადარქმევა მოითხოვეს

# დეკანოზი ანდრია ჯალმაიძე — დავით გარეჯზე: დიდ ეჭვს იწვევდა ძველი კომისიის შემადგენლობა, ყველა სადავო, საეჭვო საკითხი იყო დასაზუსტებელი, საქართველოს საზიანოდ გადაწყვეტილი





**საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, დეკანოზი ანდრია ჯალმაიძე გამოეხმაურა საქართველოს პროკურატურის განცხადებას, რომლის თანახმადაც, უცხო ქვეყნისთვის საქართველოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემის მცდელობაზე გამოძიება მიმდინარეობს.**

როგორც ჯალმაიძემ აღნიშნა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისიის ძველი შემადგენლობა ეჭვს იწვევდა.

„ეს, ალბათ, ძიების საკითხია უფრო, ახალი მომხდარი ამბავია და დაწვრილებით ვერაფერს გეტყვით. უშუალოდ ვინც იყო დაკითხვაზე, მათ შეუძლიათ უფრო დაზუსტებით მოყვნენ ყველაფერი. ადრე ვსაუბრობდით ამაზე, რომ დიდ ეჭვს იწვევდა ძველი კომისიის შემადგენლობა. რომ კომისიის მუშაობა იყო არაეფექტიანი, ახლა იმის უკან რა მექანიზმია და ვის რა პასუხისმგებლობა ეკისრება, გაარკვევენ. ყველა სადავო, საეჭვო საკითხი იყო დასაზუსტებელი, გადაწყვეტილი საქართველოს საზიანოდ. წინა კომისია ცოტა ხნის წინათ გაუქმდა. ახლა განახლებული კომისია მუშაობს და, იმედი გვაქვს, რომ იმ პრინციპული მიდგომიდან გამომდინარე, რომელსაც ვხედავთ, რაღაც შედეგი იქნება. დაველოდოთ, როცა დადგება ამის დრო“, — განაცხადა მან.

ჯალმაიძის განმარტებით, როდესაც დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსზეა საუბარი, საპატრიარქოს ქონებასა და კუთვნილებაზეა საუბარი.

„ეკლესიის პოზიცია ერთმნიშვნელოვნია — ეს ჩვენი ძირძველი სიწმინდეებია და საპატრიარქოს კუთვნილებაა. ნაწილობრივ გვაქვს ინფორმაცია რუკებზე, მაგრამ უნდა დაველოდოთ გამოძიებას, იმ ინსტანციას, რომლის ხელშიც გაცილებით მეტი ინფორმაციაა“, — აღნიშნა ჯალმაიძემ.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ უცხო ქვეყნისთვის საქართველოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემისკენ მიმართულ ქმედებაზე გამოძიება დაიწყო. პროკურატურის განცხადებით, გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილობითი ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრების დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისიის საქმიანობას. როგორც პროკურატურაში აცხადებენ, თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციით, კომისიის მიერ საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის გარკვეული მონაკვეთები აზერბაიჯანთან შეთანხმებით არამართლზომიერად, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული ინტერესების საზიანოდ დადგინდა.

alt-info.com



# კიევში აშშ-ის საელჩოს თანამშრომელი ცემით მოკლეს

**აშშ-ის საელჩოს თანამშრომელი ქალი სანვერ ნიკაელო თავის ქალის მძიმე ტრავმით მიიყვანეს საავადმყოფოში. ექიმების დიდი ძალიხმევის მიუხედავად, ქალი გარდაიცვალა.**

უკრაინის ეროვნული პოლიციის მონაცემებით, უგონო მდგომარეობაში მყოფი ქალი კიევის შევჩენკოს რაიონის სარკინიგზო ხაზთან იპოვეს. პოლიცია ვარაუდობს, რომ სანვერ ნიკაელო ცემის შედეგად იყო ტრავმირებული.

„საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შედეგად სამართალდამცველებმა გაარკვიეს, რომ ქალი ნაცემია 30-40 წლის მამაკაცის მიერ, რომლის სიმაღლეც 190-200 სმ-ია. გრძელდება მისი ძებნა“, — ნათქვამია პოლიციის მიერ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ცნობაში. ერთ-ერთი გამოცემა კი წერს, რომ ნიკაელოს შეიძლება მატარებელი დაეჯახა.

**iz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძე**

# რომის პაპი: კაპიტალიზმის «ჯადოსნურმა თეორიებმა» კრახი განიცადა და მსოფლიოს სჭირდება ახალი ტიპის პოლიტიკა



## «კერძო საკუთრება არ შეიძლება, მიჩნეული იყოს, როგორც აბსოლუტური უფლება ყველა შემთხვევაში, როცა ზოგი მფლანგველობით ცხოვრობს, სხვებს კი არაფერი აქვთ»

**რომის პაპი ფრანცისკეს განცხადებით, კორონავირუსის პანდემიამ დაადასტურა, რომ საბაზრო კაპიტალიზმზე „ჯადოსნურმა თეორიებმა“ კრახი განიცადა და რომ მსოფლიოს სჭირდება ახალი ტიპის პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს დიალოგსა და სოლიდარობას და უარყოფს ომს ნებისმიერ ფასად.** პაპის ღია მიმართვაში საუბარია ისეთ საკითხებზე, როგორიც არის ძმობა, იმიგრაცია, მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფსკრული, ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობა, დისბალანსი ჯანდაცვის სისტემაში და მზარდი პოლიტიკური პოლარიზაცია ბევრ ქვეყანაში.

ფრანცისკემ ასევე აღნიშნა, რომ კერძო საკუთრება არ შეიძლება მიჩნეული იყოს, როგორც აბსოლუტური უფლება ყველა შემთხვევაში, როცა ზოგი ფუფუნებაში ცხოვრობს, სხვებს არაფერი აქვთ. ამ ყველაფრის ფონზე ინგლისში აკრძალეს სახელმძღვანელოები, რომლებშიც კაპიტალიზმია გაკრიტიკებული.

alt-info.com

# ყირგიზეთის დედაქალაქში დემონსტრანტებმა მთავრობის შენობა დაიკავეს



**ყირგიზეთის დედაქალაქ ბიშკეკში მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეებმა მთავრობის შენობა დაიკავეს.**

ყირგიზეთში საპროტესტო აქციები 5 ოქტომბრიდან მიმდინარეობს. დემონსტრანტები აპროტესტებენ არჩევნების შედეგებს, რომლის მიხედვითაც 7%-იანი ბარიერის გადალახვა 16 პარტიიდან მხოლოდ ოთხმა შეძლო — პრეზიდენტ **სოორონბაი ჟეენბეკოვთან** დაახლოებულმა პარტიებმა. აქციის მონაწილეები შედეგების გაუქმებასა და არჩევნების ხელახლა დანიშვნას მოითხოვენ. პოლიციამ აქციის დასაშლელად წყლის ჭავლი და ცრემლმდენი აირი გამოიყენა. დაშლის მიუხედავად, მოქალაქეები პროტესტის გამოსახატავად ხელახლა შეიკრიბნენ, შემდეგ კი პარლამენტსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შეიჭრნენ. აქციების მიმდინარეობისას 1 ადამიანი დაიღუპა და 590 დაშავდა.

# აღმოსავლეთ ევროპამ გააცნობიერა, რომ ნატოსა და რუსეთის კონფლიქტში ფრონტის ზონად იქცა




**„რუსეთსა და ნატოს შორის საგარეოპოლიტიკურ პინგ-პონგში ყველაზე მეტად წაგებულია აღმოსავლეთი ევროპა, რომელიც ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა. ცივი ომის ეპოქაში გამართულად მომუშავე შეკავების მექანიზმი, საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის დეგრადაციის გამო, სულ უფრო ხშირად ფერხდება“, — წერს ბულგარული გამოცემა „დუმა“.**

ბოლო პერიოდში რუსეთსა და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს შორის დაპირისპირების ძირითადი მოვლენები აღმოსავლეთ ევროპაში ხდება — ევროპის დასავლეთი ნაწილი კი ზურგშია. პოლიტიკურ კონტექსტში ეს საკმაოდ მოსახერხებელია, რადგან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოსახლეობას არ აქვს „სამხედრო განგაშის“ განცდა, მას აქვს მხოლოდ აპათია და ისტორიული წყენა მოსკოვის მიმართ. დაძაბულობას კიდევ უფრო ამძაფრებს აშშ-ის გასვლა ე.წ. ღია ცის შეთანხმებიდან, რომლითაც შესაძლებელია შეიარაღების გაკონტროლება ჰაერიდან. ბულგარელი ანალიტიკოსის — **სიმეონ ნიკოლოვის** აზრით, ვაშინგტონის ამ დემარშის გამო ყველაზე მეტად იზარალებენ შეთანხმებაზე ხელმომწერი ევროპის ქვეყნები, მათ შორის ბულგარეთი. ამრიგად, **აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა გააცნობიერეს, რომ ნატოსა და რუსეთს შორის კონფლიქტში, ფაქტობრივად, ფრონტის ზონად იქცნენ.**

ამას, სავარაუდოდ, მოჰყვება სტრატეგიული შემტევი შეიარაღების შემცირების შესახებ შეთანხმების გაგრძელებაზე აშშ-ის უარი. ამ შეთანხმების მოქმედების ვადა 2021 წლის თებერვალში იწურება. ევროპის რამდენიმე ქვეყანა აშშ-ის შეთანხმების გაგრძელებისკენ მოუწოდებს.

აღმოსავლეთ ევროპას, აგრეთვე, ემუქრება შედეგი აშშ-ის გასვლისა საშუალო და მცირე სიშორის მოქმედების რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმებიდან. **რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობის სწრაფად გაფუჭებით ყველაზე მეტად ზარალდება ევროპა, რომელსაც, ამასთანავე, არ სურს, იყოს აშშ-ის უარის მძევალი მსოფლიოში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობაზე.**

**topcor.ru- ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძე**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009